# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 18 აპრილი 1998 №57 (592) ფასი 50 თეთრი

# ფინალი: აზოტი — ვითა

## მცირე ფინალი: სდასუ — დინამო



აზოტი — სდასუ. ზაზა გაბისონია ყველაზე მაღლა

საქართველოს მე-7 ჩემპიონატი.
პლეი ოფი. ნახევარფინალური სერიის მეოთხე მატჩი.
სპორტის სასახლე. 17 აპრილი

## აზოტი 3:1 სდასუ

**აზოტი — სდასუ 88:76 (34:31)**

აზოტი: გაბისონია (2), გოგობერიშვილი (26), ბერუაშვილი (6), ბოისა (8), ჯაფარიძე (29); ნიკლაური (10), კიკვიძე (5), კოჭლამაზაშვილი, კვჭაყმაძე (2)
სდასუ: ჩერქეზიშვილი (8), ჩხეიძე (5), სანაძე (27), ნაცვლიშვილი (5), ოთიურიძე (16); მგალობლიშვილი (14), აბულაძე (1), მუშკუდიანი, ახობაძე
მსაჯები: მაჩალაძე, ბერეკაშვილი

რუსთავის „აზოტი“ ფინალშია! ამას ყველა ელოდა, თუმცა ქებას სდასუ-ც იმსახურებს, რომელმაც წლევანდელი სეზონის ლიდერს დიდი ბრძოლა გაუმართა. რუსთაველებმა ჩინებული თამაში აჩვენეს და დაძაბულ ბრძოლაში დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე.

მატჩი კი სხვანაირად დაიწყო. სანაძე თითქოს წინა თამაშს აგრძელებსო, უკვე მეთხუთმეტე წამზე სამქულიანით ხსნის ანგარიშს. შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით კიდევ ორ ასეთივე ტყორცნას ახორციელებს და მატჩის დაწყებიდან 3 წუთის შემდეგ სდასუ უკვე 7 ქულითაა წინ 11:4. რუსთაველები ნერვიულობენ, ეს იმ ეპიზოდიდანაც კარგად ჩანს, როცა ფარქვეშიდან ჯაფარიძე, გაბისონია და ბერუაშვილი ზედიზედ ვერ აგდებენ ბურთს კალათში. ხმელიძეს ჯაფარიძის ნაცვლად კიკვიძე შემოჰყავს და ბადრის სამქულიანით „აზოტი“ ანგარიშს ათანაბრებს, იქვე ბოისა უმატებს და მეშვიდე წუთზე რუსთაველები პირველად წინაურდებიან 14:12. თუმცა მცირე ხნით. ჩინებულად თამაშობს მგალობლიშვილი და მისი ზედიზედ სამი ზუსტი ტყორცნით სდასუ კვლავ ლიდერია მატჩში 19:14.

აქ მოედანზე ბრუნდება ჯაფარიძე და ის და გოგობერიშვილი უკვე სერიოზულად ჰკიდებენ საქმეს ხელს: რამაზი გადაცემას ჭრის და ჩინებული პასით გაჰყავს ირაკლი ფარზე. შემდეგ თვითონ ამთავრებს გარღვევას შედეგიანად და ბოლოს ირაკლი ჩვეულ სტილში ტენის ბურთს კალათში 22:19 რუსთაველთა სასარგებლოდ. სანაძე კვლავ დაუკავებელია და სდასუ დევნას განაგრძობს, მაგრამ ჯაფარიძეს ველარ აჩერებენ, თუმცა ტაიმის ბოლო ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობს. სდასუ-ს ბოლო წუთზე აქვს შანსი, ტაიმი მოიგოს, მაგრამ ჩერქეზიშვილი, რომელსაც იმ დღეს თამაში არ წაუვიდა, კარგავს ბურთს და წიკლაურს შესვენებაზე „აზოტი“ სამქულიანი სხვაობით გაჰყავს 34:31.

იხილეთ მერვე გვერდი

*ჩვენი მარადი ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ თავს უეჭველად რაღაც ფარსავია. სამშაბათს „დილასთან“ სათასო ნახევარფინალში შინაური მარცხი არ მოენელებინა, რომ გუშინ*

## დინამო კოლხეთმაც დაამარცხა

*ფოთში თბილისელებს დავით ყიფიანმა ვერ უთავკაცა, გულმა შეუტიათ. „დინამოს“ მწვრთნელს ბოლო დროს სანერვიულო კერძოც და საზოგადოც მოემატა. კაცნი ვართ, რა გასკვირია, რომ ვერ გაეძლო.*

**23 ტური**

**16 აპრილი**
ლოკომოტივი 2:1 რუსთავი

**17 აპრილი**
სიონი 3:0 ვიტ ჯორჯია
ტორპედო 3:0 მერანი
ოდიში 2:2 მარგვეთი
ბათუმი 2:0 დილა
თსუ 2:1 სამგურალი
კოლხეთი 3:1 დინამო
მაღაროელი 2:0 გურია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 18 | 2 | 2 | 60:10 | 51 |
| ბათუმი | 23 | 14 | 5 | 4 | 49:16 | 47 |
| კოლხეთი | 23 | 14 | 4 | 5 | 45:19 | 46 |
| ტორპედო | 23 | 13 | 6 | 4 | 40:20 | 45 |
| ოდიში | 22 | 13 | 3 | 6 | 35:30 | 42 |
| თსუ | 23 | 11 | 6 | 6 | 30:16 | 39 |
| ლოკომოტივი | 23 | 9 | 6 | 8 | 26:29 | 33 |
| მერანი | 23 | 9 | 6 | 8 | 26:30 | 28 |
| დილა | 23 | 8 | 3 | 12 | 21:29 | 27 |
| სიონი | 23 | 8 | 6 | 9 | 36:29 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 23 | 6 | 7 | 10 | 20:28 | 25 |
| რუსთავი | 22 | 7 | 1 | 14 | 21:36 | 22 |
| სამგურალი | 23 | 5 | 5 | 13 | 21:45 | 20 |
| გურია | 23 | 4 | 7 | 12 | 22:45 | 19 |
| მაღაროელი | 22 | 4 | 3 | 15 | 19:50 | 15 |
| მარგვეთი | 23 | 1 | 6 | 16 | 16:55 | 9 |

„დინამოს“, „მერანს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე გვერდზე

### გერმანია

ვერდერი — კიოლნი 3:0; დუისბურგი — ვოლფსბურგი 2:2
მეორე ბუნდესლიგა. ზანქტ პაული — ნიურნბერგი 0:0; მაინცი — კოტბუსი 0:0; უნტერჰახინგი — ლაიპციგი 1:1

### საფრანგეთი

კანი — ლანსი 0:2; მეცი — ნანტი 3:2

### პორტუგალია

სპორტინგი — სეტუბალი 2:1

### ჰოლანდია

მაასტრიხტი — სიტარდი 1:4

### ინგლისი

პირველი დივიზიონი. მიდლსბრო — სიტი 1:0

### თურქეთი

გენჩლერბირლიგი — ბურსა 1:1

# ხუთი მილიონი სიტისთვის

## ქინქლაძე ცალი ფეხით ამსტერდამშია

„აიაქსი“ თანახმაა — გიორგი ქინქლაძეში ხუთ მილიონ გირვანქას იხდის.

„მანჩესტერ სიტი“ თანახმაა, გიორგი ქინქლაძე გაყიდოს.

„ევერტონის“ მწვრთნელი ჰოვარდ კენდალი ნაწყენია — ქინქლაძეს რად ყიდით, სამი მილიონი გამზადებული მქონდაო.

თვითონ გიორგიმ არაფერი იცის.

აი, ფრაზები, რომლებითაც გუშინ კვლავ აჭრელდა ინგლისური პრესა. ამსტერდამის „აიაქსმა“ „სიტის“ წერილი გაუგზავნა — ჯანდაბას თქვენი თავი, ყაბულს ვართ — ხუთი მილიონი გირვანქა ჩვენზეა, ოღონდ ქართველი ფეხბურთელი დაგვითმეთო. თავის მხრივ, ინგლისური გუნდის დირექტორმა დენის სტიუარტმა განაცხადა; ამ ბიჭს ჩვენთან დარჩენა აღარ სურს და მაქსიმალურად ვცდილობთ, ახალ კლუბში გადასვლაში დავეხმაროთო. მან „აიაქსის“ ახალი წინადადება კი დაადასტურა, მაგრამ საბოლოო პასუხი არ უთქვამს. აქაურ გაზეთებში კი შავით თეთრზე წერია — „სიტი“ თანახმაა, ქინქი „აიაქსს“ დაუთმოსო. მოკლედ, წუთი წუთზეა მოსალოდნელი, ქინქლაძის ახალი ტრანსფერის გაფორმებას მოვესწროთ.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილია, მაგრამ „სიტის“ უფროსობა საბოლოო, კონკრეტულ პასუხს ჯერჯერობით არ ამხელს.

აბა, ასეთი ამბის გამგონს გული როგორღა მომითმენდა — გუშინვე გიოს ველაპარაკე, რომელსაც არაფერი სცოდნია, თუმცა კი მითხრა — დღეს ხელმეორედ შევხვდები „აიაქსის“ ხელმძღვანელობას პირად ანაზღაურებაზე და სხვა საკითხებზე მოსალაპარაკებლადო.

რადგან გიომ ეს მითხრა, ვფიქრობ, ქინქლაძის „აიაქსში“ გადასვლა გადაწყვეტილია, ოფიციალური დასტურიღაა საჭირო. ყოველივე ამას ძლიერ განიცდიან მანჩესტერელი ფანები, უჭირთ ქინქისთან განშორება, რასაც გიოც გრძნობს და ამბობს — ჩემპიონატის ბოლომდე სამი ტური დარჩა, „მიდლსბროს“ და „სტოკ სიტის“ სტუმრად ვეთამაშებით, „ქუინზ პარკს“ კი ვმასპინძლობთ. „მიდლსბროსთან“ რომ ვითამაშო და წავაგოთ, ვიცი, როილი ყველაფერს მე დამაბრალებს. არ მსურს, ასე მოხდეს. ჰოდა, შევხედავ, გამოსათხოვარი თამაშის ჩატარება მინდა, თუ „სიტის“ საქმეები კარგად აეწყო, მაშინ „ქუინზ პარკთან“ ვითამაშებ. უკვე ხუთი დღეა, ვარჯიში განვაახლე, სრულიად გამოვჯანმრთელდი ტრავმის მერე — დაამატა გიომ.

როდის ითამაშებს, ვისთან და როგორ, ქინქლაძე თავად გაარკვევს. ფაქტი კია, მანჩესტერში ძლიერ ნაღვლობენ, „სიტის“ ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელთან რომ მოუწევთ განშორება.

**დავით მჭედლიშვილი**
**ლონდონიდან**

„ბელშინა“, „ქოჯაელი“, აეკ-ი... ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივისგან“ თასების თასზე ძლეულთა ნუსხა „შტუტგარტმა“ გაწყვიტა. ჩვენებური ბევრს ეცადა, გერმანელებს პირველ მატჩში გოლიც გაუტანა, მეორეში სისხლიც დასდინდა, არბიტრმა ექიმთან ძალით გაგზავნა, მაგრამ რუსულ გუნდს რომ ფინალში თამაში არ ეწერა,

# რა ჯანაშიას ბრალია



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბადრი კეთილაძის მოსკოვური ფოტოები იხილეთ მეხუთე გვერდზე

მომდევნო „სარბიელი“ სამშაბათს გამოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ფოთი**
**„ფაზისი"**
**17 აპრილი**

**კოლხეთი 3:1 დინამო**

**კოლხეთი:** ქვაჩახია, მიქაბერიძე (ჩხენკელი 68), ქუტიძე, გიორგაძე, გიორგობიანი, ღალანიძე, დ. ნოზაძე, ინალიშვილი (გოროზია 87), ვ. გვასალია, წივწივაძე, მ. ქობულაძე
**დინამო:** ზოიძე, ლობჟანიძე (ქემოკლიძე 85), გუჩუა, ჯელაძე, ცქიტიშვილი, კვარაცხელია, კიკნაძე, ალექსიძე (პეტრიაშვილი 75), აშვეთია, მუჯირი, ნიტაიშვილი (ხომერიკი 55)
0:1 ალექსიძე (15), 1:1 ღალანიძე (25), 2:1 გვასალია (42), 3:1 ნოზაძე (82პ)
**გაფრთხილება:** გუჩუა, ალექსიძე, წივწივაძე, ჯელაძე
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

# შფოთი არ გახეირებს...

**იუზა კაციტაძე** ფოთიდან

როგორც იცით, სამი დღის წინ „დინამომ", ერთობ მოულოდნელად, თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი დათმო „დილასთან". მანამდე კი ჩემპიონატის ლიდერს ზედიზედ მოუწია უახლოეს მდევრებთან შებრძოლებამ. „ტორპედო" და „ბათუმი" თბილისელებმა შედარებით იოლად სძლიეს, ამჯერად კი მათ „კოლხეთი" გადაელობა. ეს შეხვედრა თავისი მნიშვნელობითაც და სირთულითაც უწინდელთ არ ჩამოუვარდებოდა. „დინამოს" თუკი ვინმესთან უჭირს თამაში, პირველ ყოვლისა, სწორედ კოლხებთან — იგი აქამდე ხუთჯერ დამარცხებულა. სატურნირო მდგომარეობა თავისთავად, მაგრამ ამ მატჩისადმი ინტერესს ისიც ალვიძებდა, რომ მიმდინარე გათამაშების მეორე წრეში ერთიც და მეორეც წაუგებლად ასპარეზობდა („დინამო" უდანაკარგოდაც). გავსებით არა, მაგრამ 70-80 პროცენტით კი ნაღდად შეივსო „ფაზისი". ბოლო დროის ასეთი დასწრება ფოთში არც ალრიცხულა. დიახ, ხალხი ფეხბურთზე მოვიდა და გუნდებისგან საკადრის თამაშს ელოდა, ამათაც ხელს არაფერი უშლიდათ, ერთის გარდა: გუშინ ფოთში და, საერთოდ, დასავლეთში, ძლიერი ქარი ქროდა.

ათი წუთი ურთიერთდაზვერვაში გავიდა, ბურთმა ძირითადად მინდვრის შუაგულში იტრიალა. მერე ისევ მასპინძლებმა გამოიღეს ხელი. ნოზაძემ მარცხენა ფრთაზე გუჩუა გააბოროტა, კარის ხაზამდე ჩაალწია და იქედან გრძელი გადაცემა გაუკეთა წივწივაძეს, ამან კი ბურთი დასარტყმელად ვერ მოირგო. რალაც ნახევარ წუთში ზოიძემ საჯარიმოდან დარტყმული აულო ღალანიძეს, მაგრამ ბურთი წინ დაუვარდა, დამმატებელი კი არავინ გამოჩნდა. „დინამომ", რაღა თქმა უნდა, მიიღო გამოწვევა და აღარც დაახანა, პირველსავე იერიშში დასაჯა თამამი კოლხები. ალექსიძემ ულამაზესი გოლი შეაგდო — დაახლოებით 20 მეტრიდან ყუმბარისებურად გაისრულა, ქვაჩახია არც განძრეულა. მასპინძლები, ცოტა არ იყოს, დაიბნენ და ექვს წუთში კინაღამ მეორეც მიიღეს. აშვეთიამ მოედნის ცენტრთან ახლოს კოლხთა ნახევარზე ქუტიძეს აჯობა, თავად უნდა გაჭრილიყო კარისკენ, მაგრამ კიკნაძეს მიაწოდა, ეს კი ამ დროს თამაშგარეში იმყოფებოდა.

კოლხთა გაჭირვების ტალკვესი ვინ არის? ღალანიძე! ჰოდა, ზაველმა ახლაც იყოჩაღა. დაახლებით 20-22 მეტრიდან ნოზაძის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა უნაკლოდ შეასრულა — ზოიძეს მარცხენა ცხრიანში შეუგდო. აქედან თამაში ისევ გათანაბრდა, ტემპმა კი საგრძნობლად იმატა. 33-ე წუთზე ალექსიძემ აშვეთია მოძებნა მასპინძელთა საჯარიმოში, მიხომ დაბალ ნახტომში მოასწრო თავური, მაგრამ ოდნავ ააცილა. სამაგიეროდ, გვასალიას გაუმართლა. იღბალი ჰქონია. თაურით ისე გაგზავნა ბურთი „დინამოს" კარისკენ, გატანას, ალბათ, არც ფიქრობდა, მაგრამ ზოიძის პოზიციურ შეცდომას ქარის ფაქტორი დაერთო — ბურთმა ჰაერში რკალი მოხაზა და კარიდან ოდნავ წინ გამოსული გოლკიპერის ზურგსუკან ჩაეშვა. ტაიმის მიწურულს დინამოელები ღალანიძის ჯარიმას გადაურჩნენ, ბურთი ახლოს ასცდა ძელს.

ბუნებრივია, „დინამო" მარცხს ვერ შეეგუებოდა. მეორე ტაიმის საწყისი წუთებიც მათი უპირატესობით მიმდინარეობდა. კოლხებმა მთელი გუნდით დაიხიეს უკან, რამაც სტუმრებს ამოცანა გაურთულა. მხოლოდ 56-ე წუთზე იყო, აშვეთიამ რომ იმარჯვა, მცველებს დაასწრო და ეფექტურად, ვარდნაში დაარტყა, მაგრამ ქვაჩახია ადგილზე დაუხვდა ბურთს. ამის მერე მასპინძლებმა დაცვაში ჯდომა გადაიფიქრეს და თავადაც შეუტიეს. 65-ე წუთზე ინალიშვილი — წივწივაძე — ნოზაძის კომბინაციის შემდეგ დინამოელებმა მხოლოდ კუთხურზე მოგერიებით განმუხტეს სიტუაცია. მერე ისევ ნოზაძემ ააფორიაქა თბილისელთა დაცვა. 74-ე წუთზე კუთხურიდან ღალანიძის ჩაწოდებულს წივწივაძის თაური მოჰყვა. — ზოიძემ იყოჩაღა. მასპინძლებმა, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნათო, უფრო უმატეს ტემპს. ჩემპიონსაც ძლიერ გაუჭირდა. „დინამოს" შფოთვა დაეტყო, აღარც უხეშობას თაკილობდა. გუჩუამ გიორგაძე გაამწარა, ჯელაძემ კი აშკარად ჩაწიხლა გვასალია. კაცმა რომ თქვას, ორივე გაძევების ღირსი იყო, მაგრამ ჯელაძეს ყვითელი აკმარეს, გუჩუასთვის კი არც ეს „გაიმეტეს", მას მანამდე აეკიდებინა გაფრთხილება და მეორე გაძევებას ნიშნავდა.

ბოლო წუთებში უფრო ფსიქოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობდა. კოლხებმა აქაც აჯობეს მეტოქეს და მესამე გოლითაც „დაასაჩუქრეს". ნოზაძის გადაცემის შემდეგ ჩხენკელი გადიოდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ გუჩუამ წააქცია. 11-მეტრიანი ამ მატჩში კოლხთაგან საუკეთესომ, ნოზაძემ შეასრულა. სხვათა შორის, „დინამო" ფოთს მთავარი მწვრთნელის გარეშე უყიფიანოდ ეწვია.

**ქუთაისი**
**„გივი კილაძე"**
**17 აპრილი**

**ტორპედო 3:0 მერანი**

**ტორპედო:** მამარდაშვილი, შეყრილაძე (ლ. ქობულაძე 87), ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მალაკელიძე, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე 85), კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (გ. შენგელია 71), ჩხაიძე
**მერანი:** ნაჭყებია, ივანიშვილი (ინიაშვილი 60), ე. ალადაშვილი, დავითიძე, ბუხრიკიძე, გეწაძე, კაპანაძე (ქინქარაული 73), აბაზაძე, ა. ხორხელი, მესხი (მერაია 67), დავითაშვილი
1:0 ჯანაშია (51), 2:0 ჯანაშია (60), 3:0 ჯანაშია (63)
**გაფრთხილება:** დავითაშვილი, კვეტენაძე
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

# ჯანაშია, ქარი, ქარი...

**დავით დათიაშვილი** ქუთაისიდან

მეორე წრეში „ტორპედო" ტურიდან ტურამდე აუმჯობესებს თამაშს და თავის სატურნირო მდგომარეობას და თუ ასე გააგრძელა, ალბათ, უფეას ნანატრ საგზურსაც არ გაუშვებს ხელიდან.

ქუთაისელებმა ეს მატჩიც სრულიად დაუზვერავად დაიწყეს და უკვე მესამე წუთზე მეგრელაძეს შეეძლო ანგარიშის გახსნა. არ გასულა ორი წუთი და ჯანაშიას მიერ მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულმა ბურთმა ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა მეგრელაძე. მისი დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

ტაიმის ნახევარი ისე მიილია, სახიფათო მომენტი არც ერთ კართან აღარ შექმნილა, ძირითადად მოედნის შუაგულში მიმდინარეობდა ბრძოლა. განსაკუთრებით დათო ჯანაშია აქტიურობდა, რომელიც ფლანგური გარღვევებით აწიოკებდა მეტოქის მცველებს. მე-20 წუთზე ისევ ჯანაშიამ ჩააწოდა კარისკენ, მაგრამ ჩხეტიანის დარტყმა ოდნავ უზუსტო გამოდგა. ამას მაშინვე მოჰყვა სტუმართა შეტევა. საჯარიმოში კარგად შევიდა კაპანაძე, თუმცა რეალური საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან.

34-ე წუთზე მეტოქის საჯარიმოში მარჯვენა ფრთიდან შეჭრილმა ჯანაშიამ კარის შორეული კუთხისკენ დაარტყა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. იგი ყველა შეტევის სულისჩამდგმელი გახლდათ და ტაიმის მიწურულსაც კარგად მიაწოდა საჯარიმოში მყოფ მეგრელაძეს, რომლის თაურიც სულ ოდნავ გადასცდა ხარიხას. პირველ ტაიმში ანგარიშის გახსნის უფრო რეალური შესაძლებლობა „ტორპედოს" აღარ ჰქონია.

მატჩი ძლიერ ქარში მიმდინარეობდა, რომელიც მეორე ტაიმისთვის კიდევ უფრო გაძლიერდა. თუმცა ასეთ ამინდს ჩვეულმა ქუთაისელებმა მეორე ტაიმიც შტურმით დაიწყეს და დიდი უპირატესობითაც წარმართეს. გოლები კი ასე გავიდა: 51-ე წუთზე ჯანაშიამ მარჯვენა ფლანგზე ჩამოიშორა მეურვეები, საჯარიმოში შეიდა და კარისკენ მოჭრილი ბურთი გაგზავნა. ბურთისთვის ერთდროულად იბრძოლეს მეგრელაძემ, ერთ-ერთმა მერანელმა მცველმა და მეკარემ, იგი კი, ისე, რომ არავის შეხებია, კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში ამოჩნდა.

61-ე წუთზე ჩხაიძემ განახორციელა ჩვეული რეიდი მარცხენა ფლანგზე, რიგრიგობით გასცდა მეტოქის მცველებს და საჯარიმოში შესულმა გამოზომილი პასი გადასცა ჯანაშიას, რომელმაც თავისი შანსი არ დაკარგა.

სამი წუთის შემდეგ გასული ბურთი თითქმის პირველის ანალოგიური იყო. ოღონდ ახლა ასისტენტობა ჩხეტიანმა იტვირთა, დათომაც მშვიდად შეასრულა ჰეთ-თრიქი. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ჯანაშიას საუკეთესო თამაში იყო „ტორპედოში" დაბრუნების შემდეგ.

საქმე ამით მოთავდა და მაინცდამაინც არც ერთმა გუნდმა აღარ გამოიდო თავი. ამ გამარჯვებით „ტორპედომ" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ევროპისკენ.

**მცხეთა**
**„არმაზი"**
**17 აპრილი**

**თსუ 2:1 სამგურალი**

**თსუ:** ბათიაშვილი, ყოლბაია, კვიტატიანი, კობიაშვილი, შალამბერიძე, გემეზაშვილი, მაზიაშვილი, კ. მელქაძე, რუსია, გიორგი ქორიძე, როსტიაშვილი
**სამგურალი:** სტურუა, მახვილაძე, გ. თევზაძე, შველიძე, ჭელიძე, ფრანგიშვილი (კ. ჯანაშია 69), ძაგნიძე, ი. ხაჭაპურიძე, მოსიკაშვილი (ფხაკაძე 76), ხურცილავა (ვ. ქუთათელაძე 62), თევდორაძე
0:1 თევდორაძე (15), 1:1, 2:1 მაზიაშვილი (48, 60)
**გაფრთხილება:** კვიტატიანი, ჭელიძე
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

# მთავრდება თუ იწყება?

**კობა ინასარიძე** მცხეთიდან

ჩემპიონატის ბოლო მოახლოვდა. მოახლოვდა ის დროც, როცა სპორტულ პრინციპზე მეტად აღებ-მიცემობა, ანუ ჩაწყობა და წინასწარ გარიგებული მატჩები ფასობს. ყოველ შემთხვევაში აქამდე ჩატარებულ რვა ჩემპიონატში ასე გახლდათ, თითქმის განწირულები დაიმედებულთ ქულის დათმობას ევედრებოდნენ, მედალთა მომლოდინენი კი უკვე განწირულთ მოძღვრავდნენ — ზედმეტად ნურც თქვენ გაირჯებით, ნურც ჩვენ გვანერვიულებთო. ვშიშობთ, მიმდინარე ჩემპიონატშიც იგივე განმეორდეს. ეს იმას სთხოვს, ის სხვას, ჰოდა, ქართველთა ჩემპიონატებისთვის ჩვეული რამ მოხდება — ტური არ ჩაივლის, რვა თამაშიდან ოთხს მაინც არ ეტყობ წინასწარ რომაა გარიგებული. ზოგს ადრინდელი ვალის გასტუმრება მართებს, ზოგიც სამი ქულის საპასუხოდ წამგებს მესამესთან უჩარხავს საჭირო ანგარიშს და ასე გრძელდება, გრძელდება... ამასობაში ჩემპიონატიც დასრულდება, ძველი წყენა — „გადაგდებაც" დაავიწყდებათ, ახალი სეზონიდან კი ჩარხი უწინდებურად დატრიალდება. ამ საქმეში მთავარი მარიფათია. ვისაც ასეთი ხელმძღვანელთაგანი გუნდში ურევია და ცოტაც ავტორიტეტი აქვს, მორჩა, მათ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, როცა მოუნდებათ, მაშინ იხეირებენ. ვისაც არა, მუდამ მაჩანჩალად დარჩება. წერე და იკითხე, ჩაწყობილი მატჩები რომ ადარდებდეთ, ამას აქამდეც მოუვლიდნენ, მაგრამ... ჰო, ერთიც. მგონი, მთავარი დამავიწყდა — მსაჯი — ყველაზე იოლი გზა სასურველი მიზნის მისაღწევად. ერთ ცემას ყველა გაუძლებს, სანაცვლოდ კი რაც ხდება, ყველამ იცის.

დაჩემებას რა აზრი აქვს, მაინც უარყოფენ, ეგებ აქეთაც დაგვდანაშაულონ.

არა, ვერ ვიტყვით, გუშინდელი მატჩიც ასეთი იყოო, მაგრამ მაინც მეტად საეჭვოა, „არმაზზე", პირველ ტაიმში სუფთა ბურთაობა გაჩაღებულიყო. აკი დაწინაურდა კიდეც „სამგურალი", თევდორაძის დარტყმულის შემდეგ. აკი ასეთი ეპიზოდიც დაახლოებით შვიდ-რვაჯერ შეიქმნა, როცა სტუდენტებმა წარმოუდგენელი მომენტები გააცუდეს. ღმერთმა ინებოს, ვცდებოდეთ და ყველაფერი ჩვენივე ფანტაზიის ნაყოფი იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ დარწმუნებამდე ცოტაღა გვიკლია. შესვენებაზე, ეტყობა, რაღაც მოხდა, ერთმა მეორეს ვერ გაუგო, მეორემ მესამეს და... თსუ ისე ათამაშდა, სტუმრებს უბრძოლველად გოჯს აღარ უთმობდა. ხისტად თამაშობდნენ, მეტოქე ფეხბურთელებიც საეჭვოდ კამათობდნენ ერთმანეთში. ჩვეულებრივი, რიგითი ბრძოლისას ცოტას ენას კბილს მაინც დააჭერდნენ. შესვენებამდე გაბელია საკმაოდ მშვიდი გახლდათ, სკამიდან ერთხელაც არ წამომდგარა, მეორე ტაიმში კი ისევე იქცეოდა, როგორც სჩვევია ხოლმე. მატჩი ახალგანახლებული იყო, მაზიაშვილმა ორჯერ რომ გაისროლა. ორივე მიზანში მოარტყა, ერთხელაც ძელიდან ასხლეტილი შევარდა კარში, მეორედ სტურუამ წაატანა თითები ბურთს და ძალა აღარ ეყო, კარი ეხსნა. თსუ-ს გასამებაც შეეძლო, მაგრამ ლორთქიფანიძემ რუსიას წაქცევისთვის პენალტი არ იყოო, თქვა, დანარჩენ ეპიზოდებში კი სტუდენტები, დიდი მონდომების მიუხედავად, ვერ ხეირობდნენ. თუმცა, შესვენებამდე გაცუდებული მომენტები მაინც სხვა გახლდათ...

[illegible] ფოტო



სამგურალელი ჭელიძე კარს მამუკა რუსიას შეტევისგან იცავს

**ზუგდიდი**
**ცენტრალური**
**17 აპრილი**

**ოდიში 2:2 მარგვეთი**

**ოდიში:** გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ცქიფურიშვილი, ტყემალაძე, ებრალიძე, ჩადუნელი, ენდელაძე, გელა ქორიძე, სიდამონიძე, კალანდაძე
**მარგვეთი:** ნიქაბერიძე, გოგაძე, ჟვანია, კაკაბაძე, ლონლაძე, კაციაშვილი, ქურციკიძე (ბოგვერაძე), მალალურაძე (თხელიძე), მუმლაძე, მაღრაძე, შავგულიძე
1:0 კალანდაძე (1), 1:1, 1:2 შავგულიძე (3, 8), 2:2 კალანდაძე (52პ)
**გაფრთხილება:** სიდამონიძე, ენდელაძე, გოგაძე, ლონლაძე, კაციაშვილი, ქურციკიძე
**გაძევება:** ლონლაძე (68), ცქიფურიშვილი (68)
**მსაჯი:** ს. შალამბერიძე (თბილისი)

**რომან გაბისონია** ზუგდიდიდან

# ცივი შხაპი ოდიშელებს

მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდელებს წამყვანი მოთამაშეები — სოლოლაშვილი, ბარქაია, ისიანი, გლუნჩაძე და ქოიავა აკლდნენ, მათი დამარცხება მაინც ნაკლებმოსალოდნელი იყო. მეტოქე ხომ საფეხბურთო ელიტას არ მიეკუთვნებოდა. „მარგვეთი", რომელიც ორიოდ წლის წინ ევროტურნირებში მონაწილეობდა, ახლა პირველი ჯგუფიდან გავარდნის მთავარი კანდიდატია, მასპინძლები კი ერთ-ერთი ევროსაგზურისთვის იბრძვიან და მიზანთანაც ისე ახლოს იყვნენ, როგორც არასდროს.

მასპინძლებმა პირველი წუთიდანვე შეუტიეს მეტოქეს და შედეგიანადაც — კალანდაძემ ანგარიში გახსნა — 1:0 ოდიშელთა სასარგებლოდ. მაგრამ... მესამე წუთზე მარგვეთელმა შავგულიძემ ცოტა ქარის დახმარებით, მაგრამ მაინც შეუსრულა მასპინძლებს „ხმელი ფოთოლი" — 1:1, ხოლო ცოტა მოგვიანებით მანვე ისარგებლა ახვლედიანის უხეში შეცდომით და თავისი გუნდი წინ გაიყვანა — 1:2. ეს უკვე სენსაციის ტოლფასი იყო. დაბნეულმა მასპინძლებმა ტაიმის დამთავრებამდე ვერაფერი მოახერხეს, მეორე ნახევარი კი ძალიან აქტიურად დაიწყეს.

48-ე წუთზე ახვლედიანს საკუთარი შეცდომის გამოსასწორებლად ცოტა დააკლდა — წამოიწყო შესანიშნავი გარღვევა მარცხენა ფრთაზე, გვერდი აუარა რამდენიმე მცველს და ზუსტად გადასცა კარის წინ ეულად მდგარ კალანდაძეს, მაგრამ ამ უკანასკნელს ბურთი ფეხიდან აეჭრა. ორიოდე წუთის შემდეგ კი სამსვლიანი კომბინაცია: ებრალიძე — ენდელაძე — ჩადუნელი ამ უკანასკნელის ახლო კუთხეში ძლიერი დარტყმით ჩამთავრდა. ბურთი ოდნავ ასცდა კარს. 52-ე წუთზე უკვე კალანდაძემ გაიყვანა ახვლედიანი მეკარესთან პირისპირ, მაგრამ კვლავ მცირე უზუსტობა. შემდეგ სტუმრები საჯარიმოში ენდელაძეს ეუხეშნენ. დაინიშნა პენალტი. კალანდაძის დარტყმა და ანგარიში გათანაბრდა — 2:2. ამის შემდეგ მასპინძლებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს მარგველთა კარზე, ანგარიშის გაზრდის არაერთი შანსიც ჰქონდათ, მაგრამ ვერა და ვერ იხეირეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქორიძის ყუმბარისებური გასროლა 24-26 მეტრიდან და ლურსმანაშვილის კუთხურიდან დარტყმული თავური მატჩის მიწურულს. სტუმრებს ხარიხაც წამოეშველათ, თავსაც კარგად იცავდნენ და სახიფათო კონტრშეტევასაც ახორციელებდნენ. კერძოდ, ქურციკიძეს 65-ეზე და მიხეილ მუმლაძეს 81-ე წუწთზე შეეძლოთ თავიანთი გუნდის დაწინაურება.

ეს ერთობ დაძაბული თამაში ფრედ, 2:2 დასრულდა. მატჩი კიდევ იმით იყო აღსანიშნავი, რომ მსაჯმა სოსო შალამბერიძემ უხვად დაარიგა ყვითელი და წითელი ბარათები. სამწუხაროდ, ზოგ გულშემატკივარს ნერვებმა უმტყუნა და ცდილობდნენ, სათამაშო მოედანზე გამოეხატა თავისი ემოციები, მაგრამ სამართალდამცავებმა ამის საშუალება არ მისცეს.

**ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტის განცხადება**

უნივერსიტეტის რექტორატი აცნობებს ამავე უნივერსიტეტთან არსებულ სყკ. „რწმენას" წევრებს, ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტ ფეხბურთელებს ვარდანიძეს, ყიფშიძეს, ბიწაძეს, მელუას, ქობულაძეს, გედენიძეს, ჩხეტიანს, პაპუაშვილს, ქუთათელაძეს, ხაჭაპურიძეს, ვეკუას, შველიძეს, ჩუბინიძეს, გელაშვილს, დარსაძეს, ფრანგიშვილს, ს. გიგიაძეს, გ. გიგიაძეს, ფოფხაძეს, მუმლაძეს, რომ მიმდინარე წლის 23 აპრილს დღის 12 საათზე გამოცხადდნენ უნივერსიტეტში სწავლების ინდივიდუალური გრაფიკის გასაგრძელებლად.

თბილისი
„26 მაისი"
16 აპრილი

**ლოკომოტივი 2:1 რუსთავი**

**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, ამბიძე, ზ. არჩვაძე, ბარნოვი, კაკუბავა, ქვარცხავა, ჟორჟიკაშვილი (დათუაძე 46), ყაველაშვილი, კოტორაშვილი (ერაძე 88), გოდერძიშვილი, ხუციშვილი (გ. კვეტენაძე 60)
**რუსთავი:** კოროშინაძე, მენთეშაშვილი, პატარიძე (ბოკერია 76), კუდინოვი, მ. სახვაძე (ლაბაძე 85), ცომაია, გამცემლიძე, ბ. შენგელია, ჩუხუა, ყიფიანი, კ. ალადაშვილი
1:0 გოდერძიშვილი (54), 1:1 გამცემლიძე (59), 2:1 გოდერძიშვილი (64)
**გაფრთხილება:** არჩვაძე
**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

# როცა ქულაც ოქროა

**კობა ინასარიძე**

ვაკეში მარცხის შემდეგ „რუსთავს" საქმე მეტად გაურთულდა. უკვე სავსებით რეალურია, ჯგუფში დასარჩენად რომელიმე თავის მსგავს გუნდს გაეჯიბროს. წარმოიდგინეთ, რუსთაველებს კიდევ შვიდი მატჩი აქვთ ჩასატარებელი, ამათგან ექვსი ისეთ გუნდებთან, რომელთაც საკუთარი თავი გასჭირვებიათ და რუსთაველებს რას დაუთმობენ. „ტორპედო", „ბათუმი", „კოლხეთი", „ოდიში", ვიცე-ჩემპიონობისთვის იბრძვიან, ხოლო „გურია" და „სამგურალი" ჯგუფში დასარჩენ ბრძოლაში ამათი უშუალო მეტოქენი არიან. თითოეული გუნდისთვის ქულას ოქროს ფასი აქვს. ერთი „ვიტ ჯორჯიაა", მშვიდად ყოფნა რომ შეუძლია, თუმცა, ალბათ მეტი პრესტიჟისთვის ესაც ბოლომდე ითამაშს, მით უმეტეს, რუსთავს შინ მასპინძლობს.

ამიტომაც ვაკეში თუნდაც ქულის მოპოვება სტუმრებს ოდნავ მაინც შვებას მოჰგვრიდათ, მაგრამ რკინიგზელთათვის რუსთაველთა გასაჭირი სულ ერთი გამოდგა — ითამაშეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. ეტყობა, საერთოდ გადაავიწყდათ, მათ იმდღევანდელ მეტოქეს ცალი ფეხი მეორე ჯგუფში რომ აქვს და გამარჯვებით საქმეს კიდევ უფრო ურთულებდნენ.

თუმცა, პირველ ტაიმში რუსთაველთათვის ავის მომასწავებელი არაფერი ჩანდა. დროდადრო კი მასპინძლების კარს ისე უტევდნენ, თითქოს გოლიც უნდა გასულიყო, მაგრამ ვერაფრით მოახერხეს. ვერც „ლოკომოტივმა" შექმნა სახეირო. ამასობაში მაჭარაძემაც ჩასტვინა და გუნდებს დასასვენებლად წარუძღვა. თემურ მახარაძემ ვეტერანი ჟორჟიკაშვილი დათუაძეთი შეცვალა, თავდასხმა გააძლიერა, შედეგად ორი გოლი მიიღო, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა, მწვრთნელობა რომ კარგად ხელეწიფება. გაიოზ დარსაძეც კარგადაა ჩახედული თავკაცობის საიდუმლოში, მაგრამ მის გუნდს რაღაც აკლია, ალბათ, შეთამაშება. ვეტერანთა და ახალგაზრდათა სრულფასოვან სინთეზს დრო სჭირდება, რომელიც დარსაძეს საკმარისი არ ჰქონდა. ჰოდა, ყველაფერი შედეგიდანაც ჩანს. შესვენების შემდეგ რკინიგზელები გაცილებით მწვავედ ათამაშდნენ. საგოლე მომენტებითაც მრავლად დაემუქრნენ რუსთაველებს, იმ მრავალთაგან კი ორი გოლად გარდასახეს. ჯერ კაკუბავას კუთხურიდან ჩაწოდებული ამბიძემ თავით დაუგდო, აწ უკვე ყოფილ მერანელ გოდერძიშვილს და გოლიც გავიდა, ხუთიოდ წუთში გამცემლიძემ ლამაზად და, რაც მთავარია, შედეგიანად შესრულებული ჯარიმით თავისიანებს რუსთავში ქულის წაღების იმედი კვლავ დაუბრუნა, ხოლო მორიგი ხუთი წუთის მერე კოტორაშვილის გონივრულმა პასმა და გოდერძიშვილის დუბლმა რუსთაველებს ისევ ცენტრიდან დააწყებინა თამაში. დარჩენილი დრო სტუმრებმა შეტევას მოახმარეს. უტევდნენ, მაგრამ სახეიროს ვერაფერს წააწყდნენ. მათ შორის გამოსარჩევი კი ჩუხუას მომენტი გახლდათ, ბოლოს წინა წუთზე მეკარესთან ფაქტობრივად პირისპირ დარჩენილს რომ გაუცუდდა. ოდნავ ადრე მსგავს, ოღონდ უფრო რეალურ სიტუაციაში დათუაძეც მოხვდა, მაგრამ სტუმრების არასწორად შექმნილი ხელოვნური თამაშგარე უგოლოდ დასრულდა.

მურმან [illegible] ფოტო



ექს-ლოკომოტიველი აწ რუსთაველი გამცემლიძე ქვარცხავას გაურბის

ჭიათურა
„მაღაროელი"
17 აპრილი

**მაღაროელი 2:0 გურია**

**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, შ. ბიწაძე, მ. გაბრიჭიძე, ბარამიძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, ჯ. სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი
**გურია:** გოგუა, ფაცურია, ლორია, კუკულაძე, პატარაია, თიბილაშვილი, ქიქავა, განევი, ხოსროშვილი, ჯ. ბერიძე, ბულუხია
1:0 მწყერაშვილი (53), 2:0 შეყლაშვილი (87)
**გაფრთხილება:** კიპაროიძე, ბუიშვილი, პატარაია
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ბესიკ ჯანგავაძე ჭიათურიდან**

# გოგუას უმადლოდნენ

უკვე მერამდენე წელია, ლანჩხუთის „გურიას" ქრონიკულად უჭირს. მუდმივ აუტსაიდერად ქცეულმა ვერა და ვერ დააღწია თავი გაჭირვების მარწუხებს. ახლაც გუნდი იმდენად სავალალო მდგომარეობაშია, რომ ფეხბურთელები გაქცევია — სახლებში დაქსაქსულან. ერთად შეკრება ოდენ თამაშის დღეს შეძლეს და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელები თამაშზე დაიყაბულა. როგორც გაირკვა, კლუბის პრეზიდენტობა ლანჩხუთის გამგებელმა შეითავსა და გუნდს დახმარებაც აღუთქვა. ასეა, დაპირებები და მხოლოდ დაპირებები, ეს უკვე მერამდენედ. დრო გადის, საშველი კი არაა.

აქამდე თუ გურულები ახერხებდნენ ჯგუფში ადგილის შენარჩუნებას, ახლა საეჭვოა, ისინი ვინმემ ან რამემ იხსნას, თუმცა გამორიცხული არაფერია, ფეხბურთში სასწაულიც კი ხდება.

სტუმრები სათამაშოდ ექვსი ძირითადი მოთამაშის გარეშე გამოვიდნენ, მიზეზი — სათამაშო ბუცების უქონლობააო.

თავშივე ვიტყვი, რომ გურულთა ასეთ უსახურ თამაშს არავინ ელოდა. ყველა იმედოვნებდა, რომ უშუალო კონკურენტთან პაექრობა უშელავათოდ, დაძაბულ ბრძოლაში წარიმართებოდა. მსგავსი არაფერი მომხდარა. პირველიდან ბოლო წუთამდე მინდორზე მასპინძლები დომინირებდნენ. ასე განსაჯეთ, სტუმრებს კარის მიმართულებით ერთხელაც არ დაურტყამთ. მეორე ნახევრის ბოლო ათ წუთს კი ბურთი ცენტრამდეც ვერ ამოჰქონდათ, ან რა აზრი ჰქონდა, როცა წინ გამქცევი არავინ იყო. ასე წინ და უკან სიარულსა და ბურთის უმისამართო მოგერიებაში გალიეს გურულებმა მთელი თამაში და თუ მატჩი ორნიშნაციფრიანი ანგარიშით არ დამთავრდა, ამას გოგუას უნდა უმადლოდნენ. მასპინძლებმა უკვე მეორე წუთზე შექმნეს ხელსაყრელი მომენტი, როცა პენალტის ნიშნულთან შეყლაშვილმა მკერდით მიიღო ბურთი, შემობრუნდა, ზუსტადაც დაარტყა, მაგრამ მეკარემ სასწაულებრივ აუღო. რამდენიმე წუთში იგივე შეყლაშვილმა სამი-ოთხი მეტრიდან უხეიროდ დაარტყა, ხოლო ბუიშვილი — კავთელაძე — მწყერაშვილის გათამაშებული კომბინაციის დამაგვირგვინებელ დარტყმას გოგუა ბოლო მომენტში თითებით შესწვდა. გოგუამ ამის შემდეგაც არაერთხელ იხსნა საკუთარი კარი სამხარაძის, ბუიშვილის, შეყლაშვილის სახიფათო დარტყმებისგან.

მასპინძლებს გუშინ ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ. მეტოქეს სისწრაფეშიც ჯაბნიდნენ, ტექნიკაშიც და მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავად გარჯის სურვილშიაც. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნახევარი ფრედ დამთავრდა, ჭიათურელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. შესვენებამდე თუ შეყლაშვილი აქტიურობდა, მეორეში ლიდერის როლი ბარამიძემ იტვირთა. მან დასაწყისშივე ორჯერ სახიფათოდ დაარტყა სტუმართა კარის მიმართულებით, რომელთაგან ერთ-ერთმა კარის ხარიხა შეაზანზარა. ხოლო მისი მესამედ წამოწყებული კომბინაცია გოლით დამთავრდა: ბარამიძემ ზუსტი, გამოზომილი გადაცემით მწყერაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა და ამანაც თანაგუნდელები არ გააწბილა. ისედაც უნიათოდ მოთამაშე სტუმრები გაშვებული გოლის შემდეგ კიდევ უფრო აირივნენ. ერთი ხანობა თითქოს შეტევის ორგანიზებაც სცადეს, მაგრამ ისევ თვითონ დაისაჯნენ: ბუიშვილის მარცხენა ფრთიდან გამჭოლად ჩაწოდებული შეყლაშვილმა „დაკეტა" და ჭიათურელთა გამარჯვება უფრო განამტკიცა.

ბათუმი
„დინამო"
17 აპრილი

**ბათუმი 2:0 დილა**

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე (რომანაძე 77), სიჭინავა, გ. შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, მაჭუტაძე, კანტიძე (მჟავანაძე 75), ზირაქიშვილი (აფხაზავა 46)
**დილა:** თ. ილურიძე, ხოხობაშვილი, ჯ. გაგნიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, ნკრიალაშვილი (მ. მინდიაშვილი 46), ციცქიშვილი (თაყაძე 70), ბ. ჩიტაია, ხორგუაშვილი, გ. ჩიტაია
1:0 თორლაშვილი (48), 2:0 სიჭინავა (68)
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

# დილა არც ბათუმს შეეპუა

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

მას შემდეგ, რაც „დილამ" თასის ნახევარფინალში „დინამოს" სტუმრად ძლევა მოახერხა, გორელთა მიმართ დამოკიდებულება სრულიად შეიცვალა. არა, მათ თამაშს წლევანდელ სეზონში ურიგო არ ეთქმის, მაგრამ საქართველოს უცვლელი ჩემპიონის თბილისში დამარცხება, ისიც თასის ნახევარფინალში, ხუმრობა ნამდვილად არ გახლავთ.

სტუმართა შემადგენლობის გაცნობისას კაცი იყოდა, ესენი ბათუმში საბრძოლველად ნამდვილად არ ჩამოსულანო. მართლაც, სამი დღის წინანდელი თბილისური მატჩისგან განსხვავებით, გუნდი საგრძნობლად გადახალისებული ჩანდა. სტუმართა დამრიგებელმა ერთბაშად ძირითადის ხუთ ფეხბურთელს მისცა დასვენების საშუალება. მოკლედ, ყველა ელოდა, რომ „ბათუმი" უპრობლემოდ გაირჯებოდა, მაგრამ არც მთლად ასე იყო საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ცხრილის შუაგულში მყოფ გორელებს განსაკუთრებული სტიმული არ ჰქონდათ, მაინც კარგა გვარიანი ოფლი ალვრევინეს ზღვისპირელებს. თუმცა დასაწყისს ისეთი პირი უჩანდა, ჩემპიონატის განახლების შემდეგ რომ იხილა ბათუმელმა მაყურებელმა. „ბათუმმა" პირველივე წუთებიდან იძალა და უკვე მეხუთე წუთზე შექმნა პირველი ხიფათი სტუმართა კართან, როცა კანტიძემ ერთ ხაზზე მყოფი სტუმართა მცველების პოზიციური შეცდომით ისარგებლა და დიდებული პასი მიაწოდა ზირაქიშვილს, მაგრამ მისი ახლო მანძილიდან დარტყმული ძელმა მოიგერია. პირველი თხუთმეტი წუთი მასპინძელთა აშკარა უპირატესობაში გაილია, მაგრამ ამის შემდეგ „დილა" გამოფხიზლდა და პირველივე კონტრშეტევა ლამის გოლად აქცია — მარცხნიდან ციცქიშვილის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ მასპინძელთა მცველები შეცდნენ და უმეთვალყურეოდ მიტოვებულ ბექა ჩიტაიას ხუთიოდ მეტრიდან დაარტყმევინეს, მაგრამ ნიკა ტოგონიძემ სასწაულებრივად იხსნა ბათუმელთა კარი. სტუმრები თანდათან გააქტიურდნენ, მასპინძლებს დიდი ბრძოლა გაუმართეს და მატჩი საკმაოდ თვალსასეირო სანახავი გახადეს. ზემოხსენებული ეპიზოდიდან ათიოდ წუთში კვლავ ტოგონიძემ იყოჩაღა, ციცქიშვილის შორეულ უხერხულ დარტყმას ჯეროვნად დაუხვდა და ლამაზ ნახტომში უკუაგდო. 32-ე წუთზე კი სტუმრები გადაურჩნენ აშკარა გოლს, როცა მაჭუტაძის საჯარიმოს წინა ხაზიდან დარტყმული და კანტიძის დამატებული, მცველებისგან ასხლეტილი ბურთი ღლონტს მიუვიდა. მან წაქცეულ ილურიძეს ბურთის თავზე გადაგდება მოუნდომა, მაგრამ უხეიროდ დარტყმული დაუცველ კარს ააცდინა. ამის შემდეგ ტემპი შენელდა და პირველ ტაიმში ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

აი, მეორე ნახევრის პირველი ათი წუთი კი მეტად დრამატული გამოდგა. ტაიმი ხეირიანად არც დაწყებულიყო, რომ მასპინძელთა შეტევას როსტომ თორლაშვილის ჩვეული გასროლა მოჰყვა ოცი მეტრიდან და ანგარიშიც გაიხსნა. გაშვებულ გოლს „დილა" თითქოს უნდა დაებნია, მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა. ცენტრიდან გათამაშებული ბურთი მარჯვენა ფრთაზე მყოფ ხორგუაშვილს მიუვიდა, მან კი კარგად ჩამოიცილა მეურვე და ბურთი საჯარიმოში გადაგზავნა, სადაც მარცხნიდან შეჭრილმა მახარე მინდიაშვილმა ივარგა, დაასწრო შეყილაძეს და შეუჩერებლივ უზადოდ დაარტყა. ამაოდ — ჩინებულად მოთამაშე ტოგონიძეს ვერაფერი მოუხერხა. მოკლედ, „დილა" ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. 68-ე წუთზე კი მეორე გოლიც გაუშვა: მაჭუტაძემ საჯარიმოს მარჯვენა კიდესთან ახლოს მყოფ სიჭინავას დაუგორა ბურთი, რომლის ულამაზესი დარტყმულიც ხარიხას მოხვდა და კარში ალმოჩნდა. გოლამდე ათიოდ წუთით ადრეც სიჭინავას შეეძლო, შორეული დარტყმით ეხეირა, მაგრამ ილურიძეს საკუთარი კარის მარჯვენა ძელი მოევლინა მშველელად.

მეორე გოლმა სტუმრები საბოლოოდ გატეხა და დარჩენილი დრო ფორმალობადღა იქცა. მაგრამ, დამარცხების მიუხედავად, გორელებმა საკმაოდ კარგი, ბრძოლისუნარიანი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს და გვარიანად ანერვიულეს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი. მოკლედ, „დილას" ავტორიტეტებისა ნამდვილად არ ეშინია.

ბოლნისი
„თამაზ სტეფანია"
17 აპრილი

**სიონი 3:0 ვიტ ჯორჯია**

**სიონი:** დალაქიშვილი, გ. ჩომახიძე, შაკიაშვილი (დ. ბერიძე 61), ყიფშიძე, კ. წიკლაური, მ. სამხარაძე, გოგოლაძე, ჯ. წიკლაური, ტყავაძე, ჯაგიდისი (ჯ. ჯაფარიძე 72), ლ. გაგუა (ფოფხაძე 83)
**ვიტ ჯორჯია:** დავით ჯანელიძე, გ. ილურიძე, კველიშვილი, ქობონელიძე, მ. ბურდული, დვალიშვილი, რუხაძე (ალავიძე 67), დ. ჯაფარიძე (ჯ. ქუთათელაძე 46), ლ. ნოზაძე, ჭუმბურიძე (ნადირაძე 46), გოჩაშვილი
1:0 სამხარაძე (35), 2:0 შაკიაშვილი (45), 3:0 ჯაფარიძე (90)
**გაფრთხილება:** ბერიძე, ილურიძე
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან**

„მორკინალისა" და „სიონის" საპირველწრეო შერკინება მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. გუშინ კი ბოლნისელებმა „ვიტ ჯორჯიასთან" სრულფასოვანი რევანში აიღეს. მართალია, გუგუშვილის გუნდმა ამ ხნის მანძილზე მრავალმხრივი ცვლილებები განიცადა, მაგრამ არა მგონია, ვიტელებს ოდესმე ასეთი ცუდი ფეხბურთი ეთამაშოთ. გუგუშვილიც, ალბათ, სინანულით გაიხსენებდა გარდასულ დღეებს.

„ვიტ ჯორჯიას" ფიზიკურად ბევრი გუნდი ვერ დაჯაბნის. სირბილი, იცოცხლეთ, მაგარი იციან, მაგრამ საფეხბურთო აზროვნებისა რა მოგახსენოთ. მეტსაც გეტყვით, ბოლნისიდან სტუმრებს სამი ქულის წაღება მართებდათ, იმიტომ, რომ მთელი თამაშის მანძილზე არაერთი სახიფათო მომენტის შექმნა შეეძლოთ. გამარჯვება რომ მოიპოვოთ, გამართული ფეხბურთი უნდა ითამაშო, ვიტელებს კი ეს არ ძალუძთ. ისინი ტლანქად ირჯებიან.

„სიონს" კი ჰყავს შეტევაში ტყავაძე, ჯაგიდისი, გაგუა, ჯაბა წიკლაური. ამათ თამაში იციან და არც ზუსტი პასი ეშლებათ. გამოცდილებაც თავისას აკეთებს. ბოლნისელები იქნებ მეტოქეზე ნაკლებად მოძარაობენ, მაგრამ ბურთს საჭირო ადგილზე ხვდებიან და საჭირო მიმართულებასაც აძლევენ.

მატჩი თავიდანვე ქაოსურად დაიწყო. მასპინძლები შეტევათა ორგანიზებას ცდილობდნენ სტუმრები კი იგერიებდნენ,

# ფეხბურთმა ძმობა არ იცის

უმეტესად, მათი თავდამსხმელის, გოჩაშვილის მისამართით. მას შაკიაშვილი მეურვეობდა და ყოველმხრივ დაჯაბნა კიდეც. გაუგებარია, რატომ თამაშობდა რუხაძე ფლანგზე. ფეხბურთელი, რომელსაც ასეთი მონაცემები აქვს, მოედნის შუაში უნდა ილვწოდეს და შეტევათა დალაგება ევალებოდეს. ჭუმბურიძე და კევლიშვილი კი ინდომებდნენ, მაგრამ მძიმე გრუნტთან და მოწინააღმდეგესთან ჭიდილში ვერაფერი გააწყვეს. ვიტელები ერთი-ორჯერ მეკარემაც გადაარჩინათ, მაგრამ მერე ჯანელიძეც ვერას გახდა.

ტაიმის მიწურულს ვეტერანთა გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ტყავაძემ და ჯაგიდისმა ბურთი უნარიანად გაითამაშეს და ჯაბა წიკლაური ჯანელიძესთან პირისპირ დარჩა. თავდამსხმელმა ბურთი ვერ დაიმორჩილა, უფრო სწორად, მცველმა ხელი შეუშალა, მაგრამ სამხარაძემ დარტყმა მოახერხა და ანგარიში გაიხსნა.

გაშვებულმა გოლმა სტუმრები ოდნავ გააცოცხლა. თითქოს უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ არჩილ შაკიაშვილმა იყოჩაღა. შაკას მიერ თავით გატანილი გოლი ბოლნისელებს არც გაუკვირდებათ, მაგრამ მისი დრიბლინგი და ფეხით შეგდებული გასაოცარი იყო. სტოპერმა თავისი ნახევრიდან წამოღებული ბურთი ბრძოლით მიიტანა მოწინააღმდეგის საჯარიმომდე და ჯანელიძეს მარჯვენა კუთხეში აუღებელი დაურტყა.

მეორე ტაიმი კი სტუმრებს საწყალებლად გაუხდათ, რაკი „სიონს" საქმე მომთავრებული ჰქონდა. შილაკაძის საფინალო სასტვენამდე ტყავაძემ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. საჯარიმოში შეჭრილი იოლად გაუსწორდა მცველს, პატარა პაუზა და ბურთი ელგუჯა ჯაფარიძის ფეხთან მიგორდა. პასი ზუსტი იყო, დარტყმულიც — უნაკლო.

აღსანიშნავია ისიც, რომ გუშინ ბოლნისში ძმები ჯაფარიძეები თამაშობდნენ. ორივე ბოლნისელი გახლავთ, მაგრამ დათო ვიტელთა ღირსებას იცავდა, გუჯა კი — „სიონისას". ორივემ თითო ტაიმი დაჰყო მოედანზე, თუმცა გუჯამ ძმას აჯობა, მისმა გუნდმაც მოიგო და თავადაც გოლი გაიტანა.



სარბიელის არქივიდან

ასეთი სეზონის შემდეგ შოთაზე განცხრომა-დასვენება ალალია

# ეს გოლი იმ დიდი გოლის ნაწილია!..

ბავშვობაში ერთი ფოტო მქონდა, ალბათ ჟურნალიდან ამოჭრილი, რომელიც 1982 წლის საფეხბურთო სეზონის წინ ფრანგულმა კლუბმა „პარი სენ ჟერმენმა“ სრული შემადგენლობით გადაიღო. მახსოვს, პირველ რიგში კმაყოფილი სახით იჯდა ფეხბურთელი, რომელიც საოცრად ჰგავდა დავით ყიფიანს. იმდენად ჰგავდა, რომ მე, იმთავითვე გარეწრობისადმი მიდრეკილი, დაჟინებით ვუხსნიდი ჩემს მეგობრებს, ეს ულვაშდამშვენებული კაცი ნამდვილად დავით ყიფიანია-მეთქი. სწორედ იმ დროს თბილისში ხშირად გაიგონებდით ხოლმე საუბარს რომელიმე ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელის საზღვარგარეთ, სახელოვან კლუბში მიწვევაზე და მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით, ეს მხოლოდ ჩვენი ოცნება იყო და მას არსად გაუშვებდნენ ასე იოლად, ბოლოს თავად დავიჯერე, რომ იმ ფოტოდან სწორედ დავით ყიფიანი გვიღიმოდა. როგორც ჩანს, მართლა ძალიან გვინდოდა, რომ რომელიმე ქართველ ფეხბურთელს უცხოურ კლუბში, თუნდაც ცოტა ხნით გაებრწყინა და ჩემივე მოგონილი ტყუილი ამიტომაც დავიჯერე სიამოვნებით.

ახლა კი, ამ ბავშვობის სევდას იმიტომ ვიგონებ, რომ ჩვენ ცოტა უცნაურად, ერთგვარი სიმშვიდითა და თავისთავადობით მივიღეთ შოთა არველაძის ჩემპიონობა. შოთა არველაძე „აიაქსის“ შემადგენლობაში ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა და ჩვენთვის ეს უკვე ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია. ეს არ გვიკვირს და აღარც იმას ვიხსენებთ, რამდენიმე წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ქართველი ფეხბურთელი „აიაქსის“ ძირითადში რამდენიმე ჰეთ-თრიკის ავტორი იქნებაო, უბრალოდ, გაგვეღიმებოდა. წლევანდელი სეზონი კი შოთა არველაძემ საუცხოოდ ჩაატარა, მიუხედავად იმისა, რომ ვერაფრით გავიგე, „სპარტაკთან“ პირველ მატჩში რატომ მოატყუა შოთიკომ მეკარე, როცა მეორე გოლის გატანა შეეძლო, რაც პირადად ჩემთვის, გეორგიევსკის ტრაქტატიდან მოყოლებული, რუსეთის ყველა ტკივილისა და სევდის შემსუბუქება იქნებოდა...

შოთა არველაძემ მართლაც მშვენივრად ჩაატარა სეზონი და „აიაქსის“ ბუნებრივ, უკვე აუცილებელ ნაწილად იქცა. მისი თამაში, პასი, გოლი თუ უბრალოდ მოძრაობა გამორჩეული ხელწერისაა და ქართული ფეხბურთის დიდების შენობას (რომელიც აუცილებლად იქნება) კარგა მოზრდილი აგური უკვე შეაშველა. უფრო მეტიც — შოთიკომ ჰოლანდიურ ფეხბურთში უკვე ისეთი ავტორიტეტისა და პატივისცემის შექმნა დაიწყო, რომ ჰოლანდიის ხელისუფლება და მოსახლეობაც სულგრძელად მოგვიტევებს ყველა იმ წვრილმან დანაშაულს, რაც კი ჩვენმა თანამემამულეებმა ბოლო წლებში ამ კანფეტივით ქვეყანაში ჩაიდინეს.

ეს კი, დამეთანხმებით, სერიოზული საქმეა. მეც, ცოდვა გამხელილი სჯობს და, კარგა ხანს სერიოზულად მეგონა, რომ თურქეთში სტანდარტულზე დიდი ზომის კარები აქვთ და ამიტომაც არ უჭირდა შოთა არველაძეს ბომბარდირობა, როცა იგი „ტრაბზონსპორის“ თავდამსხმელი იყო. მაგრამ მერე დრომ და, უპირველესად, თავად შოთიკომ, დაამტკიცეს, რომ ჩვენს თავდამსხმელს გოლის ალღო არა მარტო თურქეთში აქვს გამძაფრებული და შეუძლია, როგორც გოლეადორი, ნებისმიერი ევროპული თუნდაც ძალზე სახელოვანი მოწინააღმდეგის რისხვა იყოს. შოთიკოს მიერ „უდინეზესთან“ ჩადენილი სასწაულის მესამე დღეს არველაძეების მამას, ბატონ კიჭას (რომელსაც უცნაური სახელი აქვს და ვერ ვიმახსოვრებ), ჩემგან მილოცვა რომ მიიღო, გაეღიმა — კიდევ კარგი, ბავშვობაში, მთელი დღე ბურთს რომ დასდევდნენ, ჩემს ცოლს არ უჯერებდნენ, ფანჯრიდან როცა ეძახდა, ამოდით და ისწავლეთო...

მამაჩემი, ჭადრაკის ნაცვლად ფეხბურთზე რომ შევეყვანე, ვინ იცის, იქნებ ბატონ კიჭასავით ბედნიერი მამა იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, იმაზე ფიქრით მაინც არ მოიკლავდა თავს, ოჯახი როგორ არჩინოსო...

შოთა არველაძე კი ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა და ქართული ფეხბურთის ისტორიის ერთ ულამაზეს ფურცლად იქცა. თუმცა უამრავი გამარჯვება ალბათ ჯერ წინაა და წარმატება მხოლოდ შოთიკოს არ სჭირდება. სჭირდება ნებისმიერ ჩვენგანს, ქართული ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს, ყველა დაავადებულს ამ საოცარი სანახაობით და ყველა ქართველს. დიახ, გამარჯვება სჭირდება ყველა ქართველს, ვისაც უჭირს, სულაც არ ეფეხბურთება, მაგრამ მაინც სიხარულის ცრემლს გრძნობს სევდიან თვალზე, როცა ხელებგაშლილ, ხელებამართულ, უბედნიერეს შოთა არველაძეს ხედავს და იჯერებს — ეს გოლი იმ დიდი გოლის ნაწილია!..

**დათო ტურაშვილი**

# ფორტუნამ არც შოთა დაივიწყა
## შოთა არველაძის ხმა FM 106.9-ზე

ზურაბ ჟვანია, ასლან აბაშიძე, ვაზგენ მანუკიანი, რუსლან აუშევი, ასლან მასხადოვი და შოთა არველაძე. რა აკავშირებთ კავკასიელ პოლიტიკოსებსა და საქართველოს პირველ ფეხბურთელს? ყველანი ულტრამოკლე ტალღებით მაუწყებელ „ფორტუნას“ ყოველკვირეული პირდაპირი რადიოხიდის რესპონდენტები გახლდნენ. შოთა, ჯერჯერობით, ბოლოა მათ შორის, ვინც ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი რადიოარხის ყურადღება დაიმსახურა. მაგრამ ასეა მხოლოდ ჯერჯერობით. გავა დრო და ჩინებული ქართველი მეგოლე (ბოლო ათწლეულში ასე რომ გვაკლდა) გოგა ხაინდრავას გადაცემის სტუმართა სიაში ერთ-ერთი პირველი იქნება.

დღესვე სხვა პოზიცია უჭირავს შოთას ფეხბურთში. იგი საქართველოში პირველია, „აიაქსსა“ და ჰოლანდიაში საუკეთესო. ეს კი ევროპულ თუ მსოფლიო ფეხბურთში ნაბოლარობას როდი ნიშნავს.

კვირას „აიაქსი“ 27-ედ გახდა ნიდერლანდთა სამეფოს ჩემპიონი. ქართველ ფეხბურთელთაგან კი პირველობის პატივი შოთას ერგო. დასავიწყარი არც ისაა, რომ ჩვენებური 7 გოლით უეფას თასის წლევანდელი გათამაშების „უხუთწუთო“ ბომბარდირია. მისი გადასწრების შანსი მხოლოდ რონალდოსღა აქვს, მაგრამ ფინალში ორი გოლის გატანა რონალდოსდარი ფეხბურთელისთვისაც საძნელო საქმეა. ერთადერთი, სადაც შოთამ ვერ იპირველა, ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში. 19 სალიგო გოლის გამტანმა არველაძემ წინ მხოლოდ ბერძენი მახლასი გაუშვა. გვარიანად კი ჩამორჩა, საქართველოს ნაკრების საევროპისჩემპიონატო მეტოქემ 31-ჯერ გაიხარა. თუმცა, შოთას გოლებმა „აიაქსს“ ჩემპიონობა მოუტანა, მახლასისამ კი „ვიტესს“ ჯერჯერობით და ალბათ საბოლოოდაც მხოლოდ ბრინჯაოს მედლები. არსებობს ერთი თუმცაც — ქართველის პრინციპი უპენალტოდ ბომბარდირობაა, რაც თურქეთში შეძლო, ბერძენს კი თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან დარტყმა არ ეთაკილება.



სარბიელის არქივიდან

შოთა ჰოლანდიელ მცველებს ამგვარად ხშირად ჩაუცეკვებს ხოლმე

არავინ დაობს, რომ შოთა მაღალი კლასის თავდამსხმელია. ბევრი უცხოელი ვარსკვლავისგან განსხვავებით ენაწყლიანიცაა და კითხვაზე პასუხის მისაგებად ხელს ჯიბისკენ არ გააქანებს. განა საიმისოდ საკმარი მიზეზი არაა, ხუთშაბათის რადიოხიდის გაღმა სწორედ შოთა რომ მდგარიყო?

შოთა შოთად და ხიდსგამოღმა საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეას“ ხელმომწერები აღმოვჩნდით. თუმცა რატომღაც „გეას“ ქსელიც სრულად არ იყო წარმოდგენილი. „კვირის პალიტრა“, „ახალი თაობა“, „დილის გაზეთი“, „სარბიელი“, „ფორტუნა“ და „გეა“. აი, ვის კითხვებს უპასუხა გუშინწინ შოთა არველაძემ.

— მაშინ, როცა ყველანი პატარები ვიყავით, „აიაქსში“ მოხვედრაზე მხოლოდ თუ ვიოცნებებდით. წლევანდელმა სეზონმა დამარწმუნა, რომ სუპერკლუბში თამაში მეც შემიძლია. აქედან წასვლას ჯერჯერობით არსად ვაპირებ. მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამოვდივართ და ჩემი მთავარი მიზანიც ლიგაში წარმატებული თამაშია — მილოცვის მიღებისთანავე ასე გაფანტა შოთამ თბილისში მოარული ხმები მისი „ბარსელონაში“ შესაძლო გადასვლის შესახებ. შოთამ „აიაქსის“ სატრანსფერო პოლიტიკის სხვა დეტალებიც გაგვანდო — ამსტერდამელები ახალი სეზონისთვის 7 ფეხბურთელის შეძენას აპირებენ და აქედან 4 მცველი იქნება, ხოლო თუ გუნდი ტყუპმა დე ბურებმაც დატოვეს, მცველთა რიცხვი მოიმატებს, რადგან, ცხადია, დაცვა გასაძლიერებელია.

იქნება თუ არა „აიაქსის“ ახალწვეულთა შორის გიორგი ქინქლაძე ან არჩილ არველაძე — ამ კითხვაზე შოთაზე უკეთ პასუხის გაცემა ძნელად თუ ვინმეს შეუძლია.

— მიუხედავად იმისა, რომ „სიტისთან“ გიოს თაობაზე მოლაპარაკებამ ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო, ჰოლანდიელები თავისას ეცდებიან. „აიაქსის“ მწვრთნელი მორტენ ოლსენი ძლიერ დაინტერესებულია ქინქლაძის შეძენით, რაც საფუძველს მაძლევს ვიფიქრო, გიოც აიაქსელი გახდება. რაც შეეხება აჩის, მის „აიაქსში“ გადმოსვლაზე კონკრეტული საუბარი არ ყოფილა. სამაგიეროდ, მიწვევები აქვს ბრიტანეთის და იტალიის ძლიერი კლუბებიდან. ლეგიონერთა თემა შოთამ დემეტრაძეზე, ქეცბაიასა და რეზო არველაძეზე საუბრით ამოწურა.

— დემეტრაძემ ძლიერად დაიწყო, საგოლე პასებიც გააკეთა და ფლანგზე ძლიერი თამაშით ქართველი ბაბანგიდას სახელი დაიგდო. ბოლოხანს კი იმ პრობლემამ იჩინა თავი, რის გამოცვე ვერ თამაშობს თემურ ქეცბაია. „ფეიენოორდს“ დემეტრაძის კონკურენტ ფეხბურთელში დიდი თანხა აქვს გადახდილი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერიც იძულებულია, უპირატესობა სწორედ მას მიანიჭოს.

რაც შეეხება ჩემს უფროს ძმას, რეზოს, ვთვლი, რომ ცოტა დაიჩაგრა. ის იყო ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომელიც ქართველ გულშემატკივრებს უყვარდათ. ახლა რომ რეზო ჩრდილშია, ეს ცოტა ნაკრების მწვრთნელთა ბრალიცაა და ცოტა თავისიც. ვფიქრობ, თუ შანსს კიდევ მისცემენ და მას ვერ გამოიყენებს, დამნაშავე მხოლოდ თვითონვე იქნება. ამ დღეებში აჩისთან ერთად „ჰომბურგის“ მეტად პრინციპულ მატჩს დავესწარი. შვეიცარიიდან ნემსაძე და ყაველაშვილიც იყვნენ გერმანიაში ჩამოსული. რეზის, ჩხეიძეს და კაჭარავას გუნდმა, მეორე ბუნდესლიგაში გადასასვლელად რომ იბრძვის, 4:1 მოიგო და ორი გოლი ჩემმა ძმამ გაიტანა. რეზოს საგაისოდ წინადადებებიც აქვს შოტლანდიური და ინგლისური კლუბებიდან.



სარბიელის არქივიდან

უდინელთა მკვლელები არველაძე და დანი იტალიელთა ძლევით ხარობენ

შოთამ საკუთარი აზრი საქართველოს ნაკრების საევროპისჩემპიონატო შანსებზე და რუსეთთან მოახლოებულ ამხანაგურ მატჩზეც გამოთქვა.

— ორივე წინასთან შედარებით იოლ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ ბრძოლა აქაც დიდი მოგველის. საბერძნეთი და ლამის მთლად პრემიერლიგელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნორვეგია საჩუქარი არაა, მაგრამ ჩვენ მაინც ყველა ღონეს უნდა მივმართოთ ჯგუფიდან გასასვლელად.

რაც შეეხება რუსებთან მატჩს, დრო კი ცუდია შერჩეული — სეზონი დამთავრებულია, მაგრამ ამხანაგური მატჩები ისე გვაკლია, ყველანი დიდი სიამოვნებით ჩამოვალთ. ვფიქრობ, თბილისში ქომაგთა გახარებას შევძლებთ ამ მეტად პრინციპულ მატჩში.

პატარებს, რომელთა კერპი თავად შოთაა, ფეხბურთელმა ურჩია, ბურთი უყვარდეთ და ბევრი ითამაშონ.

— ჩვენ, ქართველებს, ფეხბურთის ნიჭი გვაქვს და ის ბავშვები, დღეს ეზოში რომ თამაშობენ, ცოტა ხანში შეიძლება „მილანში“ აღმოჩნდნენ.

ქართველთა ნიჭიერება რომ გადაჭარბებული არაა, ცხადია. ბავშვობისას ნაოცნებარის ასრულება რომ შესაძლებელია, ამის დასტური თავად „აიაქსის“ ქართველი ვარსკვლავი შოთა არველაძეა.

**ვახტანგ ბზიძაძე**



სარბიელის არქივიდან

რაც გვინახავს, კიდევ ვნახავთ — მორიგი გოლით გახარებული შოთა

# პრინცები ამსტერდამში

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა თასის ნახევარფინალების საპასუხო მატჩების მიმოხილვა

### დორტმუნდი 0:0 რეალი

**დორტმუნდი: კლოსი, ბინცი, როიტერი, ფაიერზინგერი, კრეე (ცორკი 12), ტანკო (დეშეიველი 70), ჰაინრიხი, ბუტი, მიოლერი, რიკენი (ტიმი 75), შაპუიზა**

**რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, სანსი, პანუჩი, რედონდო, კარემბუ, ამავისკა, ზეედორფი (ხოსე მარი 87), რაული (ხაიმე 75), მორიენტესი (ვიქტორი 89)**

— მეტოქემ შესანიშნავად კი ითამაშა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ძლიერმა იმარჯვა. დღეს „რეალი“ „დორტმუნდზე“ ძლიერია. ეს პირველ შეხვედრაშიც დამტკიცდა და ახლაც. ჩვენ ღირსეულად გავედით ფინალში — მადრიდელთა თავკაცმა იუპ ჰაინკესმა „რეალის“ ფინალში გასვლა ლოგიკურად მიიჩნია და მართალიც იყო, მაგრამ „დორტმუნდმა“ ბრწყინვალედ ითამაშაო, რომ თქვა, ალბათ, შეხვედრის მნახველნი არ დაეთანხმებიან.

მასპინძლებს შესანიშნავად ნამდვილად არ უთამაშიათ, ეს გადაჭარბებულია. ისინი უბრალოდ ცდილობდნენ, საჭირო ანგარიშისთვის მიეღწიათ. თუმცა, მეტოქე რომელიც თავის მხრივ განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა, მათთვის გადაულახავი ზღუდე აღმოჩნდა. ოთხშაბათს საღამოს ნათლად გამოჩნდა, რომ „რეალი“ მასპინძელზე მაღლა იდგა, წლევანდელი „დორტმუნდი“ კი, შარშან ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებული გუნდისგან ძალიან განსხვავდებოდა — თამაშზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შემადგენლობაც შეიცვალა.

— „რეალს“ თასის მოპოვების საკმაოდ რეალური შანსი აქვს. გუნდი თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ ხარვეზები მაინც აქვს. მეტოქის სისუსტის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ სამწუხაროა, შანსი რომ ვერ გამოვიყენეთ — დამარცხებულთა იტალიელმა თავკაცმა ნევიო სკალამ „რეალი“ გათამაშების ფავორიტად კი მიიჩნია, მაგრამ არც შეგირდების უნიათობა გამორჩენია — იმათ, ვინც გუშინ ძირითადში დავაყენე, იმედები გამიცრუეს. ცხადია, არა ყველამ, მაგრამ... მე საჯაროდ მათ გაკიცხვას არ ვაპირებ, ეს კლუბის საშინაო საქმეა, მაგრამ დაკვირვებული ხალხი ადვილად შენიშნავდა, ვისაც ვგულისხმობ.

მაინც ვინ აითვალწუნა სკალამ? დარწმუნებით ეს მხოლოდ მწვრთნელმა იცის და სხვა არავინ, მაგრამ ფეხბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივრებს ალბათ არ გამოეპარებოდათ რამდენიმე დორტმუნდელის არასათანადო მოქმედება. ასეთ შეხვედრაში როცა საჭირო დონეზე ვერ დგახარ, გარდა საკუთარი თავისა, კლუბსაც ავნებ.

ოთხშაბათს „დორტმუნდი“ ნამდვილად არ იყო ის გუნდი, თითქმის ერთი წლის წინ მოპოვებული თასის შენარჩუნებას რომ შეძლებდა. „დორტმუნდს“ აკლდა ის, რითაც მუდამ ხასიათდებოდა გერმანული ფეხბურთი — შემართება, ბოლომდე ბრძოლის ჟინი, თავგანწირულობა. ორი შეხვედრის ჯამში მარცხი სხვა მიზეზებთან ერთად ზემოხსენებულმა ასპექტებმაც გამოიწვია.

იმ სხვა მიზეზთაგან ერთ-ერთი კი, ვფიქრობთ, გერმანულ კლუბში მოთამაშე საჭიროზე მეტი ლეგიონერია. ვლადიმირ ბუტს, თავის დროზე „დორტმუნდის“ ახალგაზრდულ გუნდთან ერთად თანატოლთა შორის გერმანიის ჩემპიონატი რომ მოუგია, ბევრი აქებდა, ნიჭიერი მოთამაშეა, დიდი მომავალი აქვსო. ოთხშაბათს ბუტის თამაში მასზე გაცემულ ავანსებში დაგაეჭვებდათ. იბრაჰიმ ტანკო მსოფლიოს ჩემპიონია იუნიორებში, მაგრამ რაც ყმაწვილკაცებში იყო, იმადვე დარჩენილა — ამხელა გუნდის ღირსებას იცავს, „რეალის“ კარისკენ კი ერთხელ ხეირიანად ვერ დაარტყა. ტანკომ გოლიც შეაგდო, თუმცა იმდენად აშკარა იყო თამაშგარე, მსაჯთან კამათი ზედმეტი გახლდათ. ვერც ანდრეას მიოლერი იყო სათანადო დონეზე. მისი რამდენიმე თანაკლუბელიც მოისუსტებდა, ერთადერთი ვიზეც აუგი არ ითქმის მეკარე შტეფან კლოსია.

რახან მსაჯი ვახსენე, აქვე დავძენ, რომ ინგლისელ პოლ დარკინს კვალიფიკაციის კვალობაზე საკმაოზე მეტი შეცდომები მოუვიდა, ერთხელ კი სულაც წესების სრული დაცვით გატანილი მადრიდელთა გოლი გააუქმა. ერთი სიტყვით, თამაში მაინცდამაინც თვალსასეირო რამ ვერ გამოდგა, ამაში თავის წვლილი დარკინსაც მიუძღვის, კაცს, რომელმაც გასულ ზაფხულს თბილისში „დინამო“ — „ლევერკუზენის“ მატჩი განსაჯა.

ძალიან ამბიციური კლუბია „რეალი“. კაცმა რომ თქვას, მას შესწევს უნარი, ყველა ასპარეზზე გამარჯვებისთვის იბრძოლოს და რატომ უნდა იყოს მორიდებულად? თან თუ „რეალის“ „ცისფერსისხლიანობას“ გავიხსენებთ, (რეალს მეორენაირად სამეფო კლუბს უწოდებენ), მადრიდელთა პრეტენზიები გადაჭარბებულად არ უნდა მოგვეჩვენოს:

— „რეალმა“ დაამტკიცა, რომ ევროპის უძლიერესი გუნდთაგანია. ჩვენ ძალგვიძს, გავხდეთ კონტინენტის კლუბთა ჩემპიონები. ბოლო წლების მანძილზე ჩვენ ასეთი შანსი არ გვქონდა და რაკი მოგვეცა, ამის ხელიდან გაშვება არ იქნება. თასი მადრიდში უნდა წავიდეს! — თანამემამულეთა ორჯერ ძლევამ („რეალმა“ მეოთხედფინალში „ლევერკუზენი“ დაამარცხა, ნახევარფინალში კი „დორტმუნდი“) ესპანელთა გერმანელი თავკაცი იუპ ჰაინკესი აღაფრთოვანა.

„რეალს“ დიდი შანსი აქვს, მოიგოს ლიგა. საამისოდ კლუბს ყველაფერი გააჩნია ბრწყინვალე შემსრულებლების ჩათვლით. განა რომელიმე გუნდი, თუნდაც ვარსკვლავებით გაძეძგილი, რობერტო კარლოსზე, ზეედორფზე, კარემბუზე, პანუჩიზე და ბევრ სხვაზე უარს იტყოდა? ალბათ, არა.

და მაინც, შეძლებს „რეალი“ შესწვდეს თასს, რომელზეც აგერ უკვე 32 წელია, ოცნებობს? წინასწარ თქმა ძნელია. დავიცადოთ 20 მაისამდე, ამ. დღეს ხომ ამსტერდამში ფინალთა ფინალია.

### მონაკო 3:2 იუვენტუსი

**მონაკო: ბარტეზი, მარტინი, კრისტანვალი, დიავარა, ლეონარდი (სანიოლი 64), ჯეტუ, ბენარბია, კოლინზი, იკპება (სპეჰარი 70), ტრეზეგე, ანრი**

**იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, ბირინდელი, იულიანო, დიმაში, კონტე, ტაკინარდი, ზიდანი (პეკია 60), პესოტო, დელ პიერო, ინძაგი (ამორუზო 6, დავიდსი 72)**

**0:1 ამორუზო (14), 1:1 ლეონარდი (38), 2:1 ანრი (50), 2:2 დელ პიერო (74), 3:2 სპეჰარი (83)**

— როცა ჯერ კიდევ „ბორდოში“ ვთამაშობდი, მაშინ ტურინში 0:3 წაგების შემდეგ ცოტა დაგვაკლდა მიშელ პლატინის და იმდროინდელი დიდებული „იუვენტუსის“ დასამარცხებლად. ბორდოში მხოლოდ 2:0 ვიმარჯვეთ. ახლაც, მიუხედავად პირველ მატჩში სამი ბურთით დამარცხებისა, ფინალისტის ბედი ნაადრევად გარკვეული სულაც არ არის — „მონაკოს“ მწვრთნელი ჟან ტიგანა წარსულს კი იხსენებდა, მოთამაშეებზეც საუბრობდა, მაგრამ იმ მომენტში, ალბათ, თავადაც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „იუვენტუსის“ ფინალისკენ სვლას ძნელად თუ გადაეღობებოდა.

...შეცვლაზე შესულმა ნიკოლა ამორუზომ ანგარიში გახსნა და ყველაფერი ნათელი გახდა. „იუვენტუსმა“ ერთი ფეხი ფინალში ჩადგა, კიდევ ერთი ნაბიჯის გადასადგმელად კი სულ რაღაც საათნახევარი დასჭირდა. იტალიის ჩემპიონმა ზედიზედ მესამედ დაამარცხა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მეტოქე და ზედიზედ მესამედ გაიკვლია გზა ფინალამდე. ეს რეკორდის გამეორებაა — 1993, 1994 და 1995 წლებში ფაბიო კაპელოს უძლეველმა „მილანმაც“ ზედიზედ სამჯერ უწია ფინალს.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს იქნება უშელავათო ჭიდილი, ტიტანთა ბრძოლა. ჩვენც და „რეალიც“ დღესდღეობით ევროპის უძლიერესი გუნდები ვართ. ამსტერდამში (ჩემპიონთა ლიგის ფინალს სწორედ „აიაქსის“ სარბიელი უმასპინძლებს) ბრწყინვალე მატჩი გაიმართება, ემოციებით აღსავსე! — „იუვენტუსის“ ფრანგი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი დარწმუნებულია, რომ გადამწყვეტი მატჩი ისეთი იქნება, როგორც წესით და რიგით უნდა იყოს.

„მონაკომ“ გარკვეულწილად აღიდგინა შელახული რეპუტაცია. მართლაც თავზარდამცემია ასეთი პრესტიჟული ტურნირის ნახევარფინალში განადგურება.

სტუმართა დაწინაურების შემდეგ მასპინძელთა გულშემატკივრების ფანტაზიები და ოცნებები წამებში დაიმსხვრა, თან ისე, აღდგენა რომ არ ეწერა. რჩებოდა ერთადერთი იმედი, რომ საფრანგეთის ჩემპიონი შავ-თეთრების ძლევას შეძლებდა და გათამაშებას თავაწეული დატოვებდა. მათდა გასახარად, „მონაკომ“ ეს შეძლო.

— ძნელი ამოცანა რომ გვქონდა გადასაჭრელი, ვიცოდით, მაგრამ არც ის გვინდოდა, სულ შევრცხვენილიყავით. მართალია, საბოლოოდ დავმარცხდით, მაგრამ ხანდახან წაქეზებაც სარგებლიანია. ჩვენ ევროპის უძლიერესმა გუნდმა დაგვამარცხა. დღეს „მონაკო“ „იუვენტუსის“ მომგები არაა, თუმცა, ეს დროც დადგება — ფრანგთა მეკარე, ჩემპიონთა ლიგის 1993 წლის გამარჯვებული ფაბიენ ბარტეზი ლოგიკურად მსჯელობდა.

ნახევარფინალებში ბარტეზმა სულ ექვსი გოლი გაუშვა, მაგრამ თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ არც ერთი ბურთი მეკარის ბრალი არ ყოფილა. ტურინში დელ პიერომ ორი პენალტი და ერთი აულებელი ჯარიმა გაიტანა, ზიდანმა ბრწყინვალე მოჭრილი დარტყმით შეაგდო. მონაკოში კი ისედაც ოთხჯერ დალახვრული მეკარე იმავე დელ პიერომ და ამოროზომ კიდევ ორჯერ გაამწარეს.

ალესანდრო დელ პიერო — ტურინის „იუვენტუსის“, იტალიური და საერთოდ მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავი. მოთამაშე რომელიც რაც დრო გადის, სულ უფრო გვხიბლავს თავისი თამაშით, ფეხბურთელი, რომლის მოქმედებაც დროის დინებასთან ერთად უფრო თვალსასეირო ხდება. მან რომ ოთხშაბათს ბარტეზს გოლი გაუტანა, ამგვარი ვინმე სხვას, ჩვეულებრივ ფეხბურთელს განა ხელეწიფებოდა? ალბათ, არა. გადამწყვეტ მომენტში შესანიშნავი გოლების გატანა, და მათით მეტოქის აღფრთოვანება მხოლოდ გამორჩეულებს ძალუძთ. დელ პიერო კი ერთ-ერთი ამათგანია.

— ჩვენ თასი აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ზედიზედ ორი ფინალის წაგება არ იქნება — ბრწყინვალე გოლის ავტორ დელ პიეროს გამარჯვების სწამს.

**ლაშა გოდუაძე**

# ცრემლები წვიმაში

UEFA Cup Winners' Cup

## თასების თასის ნახევარფინალების საპასუხო მატჩების მიმოხილვა

### ლოკომოტივი 0:1 შტუტგარტი

**ლოკომოტივი: ნიგმატულინი, სოლომატინი, ხარლაჩოვი, არიფულინი, ჩუგაინოვი, გურენკო, სმირნოვი, კოსოლაპოვი, მამინოვი, ლოსკოვი (ვესელოვი 60), ჯანაშია**

**შტუტგარტი: ვოლფარტი, ვერლაატი, ბერტოლდი, ჰაბერი, სპენრინგი, პოშნერი, სოლდო, სტოიკოვსკი, ბალაკოვი, აკპობორი (ლიშტეში 84), ბობიჩი**

**0:1 ბობიჩი (25)**

მატჩის დასასრულამდე რამდენიმე წუთით ადრე გერმანელთა გამოცდილ მცველ მარტინ სპენრინგს „ლოკომოტივის“ ქართველ ლეგიონერთან უხეშობა ძვირად უჯდება — დანიელი მსაჯი კიმ მილტონ ნილსენი მას ყვითელი ბარათით სჯის. სპენრინგი კი უმალ ხვდება თასების თასის ფინალს რომ გამოეთხოვა — გაფრთხილება მცველისთვის ამ გათამაშებაში მეორე აღმოჩნდა. ასე რომ, 13 მაისს, სტოკჰოლმში თასთა თასის გადამწყვეტ შეხვედრაში, სპენრინგი „ჩელსის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ზუსტად იმავე მიზეზის გამო „შტუტგარტი“ კიდევ ერთ ფეხბურთელს, კლუბის ჰოლანდიელ კაპიტან ფრანკ ვერლაატს მოისაკლისებს.

ერთადერთი, რაც მასპინძლებმა გერმანელებს ავნეს, სწორედ ზემოხსენებული ორი მოთამაშის ფინალიდან მოკვეთა გახლდათ. სხვა მხრივ გერმანიის თასის მფლობელი „ლოკომოტივს“ სჯობდა. აქედან გამომდინარე, მათი ფინალში გასვლა ლოგიკურიცაა.

— აქ მხოლოდ ერთი რამისთვის ჩამოვედით — გასამარჯვებლად! სხვა შედეგი „შტუტგარტს“ არ დააკმაყოფილებს — სტუმართა ბომბარდირი ფრედი ბობიჩი გუნდის მიზანს სულაც არ ფარავდა. გერმანელებმა საწადელი აისრულეს, აი რუსებმა კი ვერა.

— ჩვენ დავმარცხდით დიად კლუბთან. მეტოქე ძლიერი გუნდია, კარგად თამაშობს და, რაც მთავარია, იცის, სად, როგორ, რა ვითარებაში, რანაირად უნდა ითამაშოს. „ლოკომოტივის“ მარცხის მიზეზი გამოცდილებაცაა — ძლეულთა მწვრთნელმა იური სიომინმა ძალები ჯეროვნად შეაფასა, ერთი ეგ იყო, „შტუტგარტს“ ზედმეტი ხოტბა შეასხა.

„შტუტგარტი“ კარგი კლუბია, რამდენიმე ხნის წინ გერმანიის პირველ გუნდობაზეც ჰქონდა პრეტენზია, მაგრამ ახლა საქმე ასე აღარაა. სიომინის ნათქვამიც, დიად გუნდთან დავმარცხდითო, ეჭვგარეშეა, გადაჭარბებულია. განა კარგსა და დიადს შორის განსხვავება არაა? რუსთა მეტოქე ერთი ჩვეულებრივი გერმანული კლუბია, ისეთი, რაც არ უნდა სუსტი იყოს, ბოლო წუთამდე ბრძოლას რომ არ წყვეტს. აწ უკვე თასთა თასის ფინალისტ „შტუტგარტს“ გულშემატკივარი სუსტს ნამდვილად ვერ უწოდებს, თუმც ძლიერიც არ ეთქმის.

ზემოთ ბობიჩი ვახსენეთ. „შტუტგარტის“ უპირველესმა ბომბარდირმა, ბუნდესლიგაში 12 გოლის გატანა რომ მოუსწრია, მეორე შეხვედრაშიც წესი აუგო „ლოკომოტივს“, არადა, მოსკოველები საპასუხო მატჩამდე ჯონათან აკპობორისთან ერთად ყველაზე მეტად სწორედ მას უფრთხოდნენ.

25-ე წუთზე ბობიჩის ზუსტად დარტყმულმა ლოკომოტიველებს ერთობ გაურთულა საქმე. შეხვედრის შემდგომ კი აღმოჩნდა, რომ გოლმა მასპინძლები სულაც ფინალისკენ მიმავალ გზას ჩამოაშორა.

— როცა წლების მანძილზე ელი ევროთასებზე თამაშს, მერე კი უცბად ფინალისთვის ემზადები, ეს ბრწყინვალე შეგრძნებაა. ევროთასის გადამწყვეტ შეხვედრაში არასოდეს მითამაშია. შევეცდებით, „შტუტგარტის“ ადრინდელი წარუმატებლობა ამჯერად თასის მოგებით შევცვალოთ — ეს სიტყვებიც ბობიჩს ეკუთვნის. რაც შეეხება „შტუტგარტის“ წარუმატებლობას, აქ 1989 წელს უეფას თასის ფინალში „ნაპოლისთან“ მარცხი იგულისხმევა.

— სამწუხაროა, რომ ორმა რუსულმა გუნდმა ნახევარფინალში დატოვა ასპარეზობა. ერთ-ერთს ფინალში რომ ეთამაშა, შესანიშნავი იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. „სპარტაკი“ უძლიერესმა „ინტერმა“ დაამარცხა, ჩვენ კი... — სიომინი თავისას არ იშლიდა.

...1972 წელს, თასების თასის ფინალში, მოსკოვის „დინამო“ „გლაზგო რეინჯერსმა“ დაამარცხა. არც მანამდე და არც შემდეგ რუსეთის კლუბებს ევროთასების ფინალში არ უთამაშიათ.



ლოკომოტივი — შტუტგარტი. ბობიჩი (მარჯვნივ) არიფულინსაც ერთი წამით დაასწრო

### ჩელსი 3:1 ვიჩენცა

**ჩელსი: დე გუი, ლე სო, ლებეფი, კლარკი, პოიეტი, ნიუტონი (შარვე 70), დაბერი, მორისი (ჰიუზი 70), უაიზი, ვიალი, ძოლა (მეიერსი 82)**

**ვიჩენცა: ბრივიო, მენდესი, დიკარა, ბელოტი, ვივიანი (სტოვინი 61), შენარდი (დი ნაპოლი 82), ამბროზინი, დი კარლო (ოტერო 82), ამბროზეტი, ზაული, ლუიზო**

**0:1 ლუიზო (32), 1:1 პოიეტი (35), 2:1 ძოლა (52), 3:1 ჰიუზი (76)**

ხუთშაბათს „სტემფორდ ბრიჯზე“ (ჩელსის სტადიონია) მისი უდიდებულესობა ბუნება ძლეულ „ვიჩენცას“ დასტიროდა. ტიროდა ხალხიც. ცრემლი ყოველთვის არაა გაჭირვების ტალკვესი, ხანდახან იგი სიხარულს მოსდევს. ლონდონელთა გადამთიელ მწვრთნელს ჯანლუკა ვიალის სულ ცოტა დააკლდა, აცრემლებულიყო — „ჩელსი“ თასების თასის ფინალში გავიდა.

32-ე წუთზე მასპინძელთა მცველები შეცდნენ, თავდამსხმელ ლამბერტო ზაულის შეჩერება სცადეს, პასკუალე ლუიზოს არსებობა კი თითქოს სულ გადაავიწყდათ. გოლი ზაულის პასით სწორედ ლუიზომ გაიტანა. ამან დე გუი და მასთან ერთად მთელი საჩელსეთი დაამწუხრა, ვიჩენცაში კი საფინალო იმედის ნაპერწკალი გააღვივა. თუმცა...

— შვება დამეუფლა, გრძნობათა მოზღვავებას ვგრძნობ. ძალიან, ძალიან რთული შეხვედრა მოვიგეთ და მიხარია, ფინალში რომ გავედით. სიტყვებით ვერ აღვწერ იმას, რასაც ახლა განვიცდი. „ჩელსი“ იმსახურებდა მოგებას, ჩვენი გამარჯვება კანონზომიერება იყო — მასპინძელთა მოთამაშე მწვრთნელმა, სიხარულისგან აღვსილმა ჯანლუკა ვიალიმ აღარ იცოდა, რა ექნა.

საერთოდ მარცხი მარცხია, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, განადგურებას ისევ 0:1, ან მაქსიმუმ ორბურთიანი წაგება სჯობს. „ჩელსი“ ვიჩენცაში სწორედ ასე „მოიქცა“ — 0:1 დათმო, თან ფინალში გასვლის საკმაოდ რეალური შანსიც შეინარჩუნა.

ამ ნახევარფინალამდე უმეტესობა თასთა თასის უეჭველ ფინალისტად სწორედ ლონდონელებს მიიჩნევდა, მაგრამ ლუიზოს გოლის შემდეგ მავანნი დაეჭვდნენ — „ვიჩენცას“ დაწინაურების შემდეგ მასპინძლებს სამი გოლი უნდა გაეტანათ სტოკჰოლმში თამაშის უფლება რომ მიეღოთ (თასების თასის ფინალი სწორედ შვედეთის დედაქალაქში გაიმართება). ინგლისელებმა მიზანს მიაღწიეს, თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ლონდონელებმა, რადგან გამარჯვებული ინგლისური გუნდის ნახევარზე მეტი ლეგიონერები იყვნენ, სამივე გოლი სწორედ უცხოელებმა შეაგდეს — პოიეტი ურუგვაელია, ძოლა ყველას კარგად მოეხსენება საიდანაა, ვეტერანი მარკ ჰიუზი კი უელსელია.

— ხალხს ალბათ აღარც ვახსოვდი. არადა, იყო დრო, გულშემატკივრების მხარდაჭერას ყველგან, ყველაფერში ვგრძნობდი. ის ჩემი წლები იყო, მაგრამ როგორც ყველაფერმა, იმ დროებამაც უკანმოუხედავად ჩაიარა. მე დავბრუნდი! „ჩელსიმ“ აუცილებლად უნდა მოიგოს თასების თასი — გადამწყვეტი გოლის ავტორი მარკ ჰიუზი, ვისაც ნაკრების შემადგენლობაში ქართველთა წინააღმდეგაც უთამაშია, აღფრთოვანებული გახლდათ. ჰიუზის გოლი მეკარე დე გუის დამსახურებაა. მისი უძლიერესი დარტყმის შემდეგ ბურთი პირდაპირ უელსელს მიუვიდა, თავდამსხმელმა კი გასატანი გაიტანა. რაკი ჰიუზზე და მის გადამწყვეტ გოლზე ვთქვით, აქვე ერთ მნიშვნელოვან ამბავსაც მოგახსენებთ — მასპინძელთა მეორე და მესამე გოლების ავტორებს ძოლას და ჰიუზს თასების თასი ერთხელ უკვე მოუგიათ, შესაბამისად „პარმასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“, გარდა ამისა, ძოლას გოლის თანაავტორ ვიალისაც უმარჯვია ამ გათამაშებაში, როცა ჯერ კიდევ გენუის „სამპდორიას“ ღირსებას იცავდა.

...შორეულ 1971 წელს „ჩელსიმ“ ერთხელ უკვე მოიგო თასების მფლობელთა თასი. ვითომ ხელახალი გამარჯვების ჯერი დადგა? არავინ იცის, მაგრამ იმის თქმა ახლავე შეიძლება, რომ „შტუტგარტის“ დამარცხებისთვის დაწესებული პრემიალური 160 ათასი დოლარი (თითოეულ ფეხბურთელზე) ინგლისელთა გამარჯვების შანსებს საგრძნობლად გაზრდის.

**ლაშა გოდუაძე**

## იუგოსლავია

ბელგრადში, 22 აპრილისთვის დანიშნულ ამხანაგურ შეხვედრაში, სადაც იუგოსლავია კორეას შეებრძოლება, სანაკრებო ფეხბურთს დაუბრუნდება დრაგან სტოიკოვიჩი, რომელიც იაპონურ ჯეი-ლიგაში ასპარეზობს.

იუგოსლაველთა ნაკრების მწვრთნელის, სლობოდან სანტრაჩის განცხადებით, სტოიკოვიჩის ნაკრებში დაბრუნება უკიდურესად მნიშვნელოვანია.

კორეასთან შეხვედრას გამოტოვებს ორი მცველია გორან ჯოროვიჩი და ბრანკო ბრნოვიჩი.

სანტრაჩმა განაცხადა, რომ იმ მოთამაშეთა სიას, საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ წავლენ, მაისის შუა რიცხვებში გამოაცხადებს, ბელგრადში ნიგერიელებთან თამაშის წინ.

მეკარეები: ივიცა კრალი (პარტიზანი), დრაგოე ლეკოვიჩი (სპორტინგი, ესპანეთი).

მცველები: ზორან მირკოვიჩი (ატალანტა, იტალია), მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია, ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (სამპდორია, იტალია), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი, გერმანია), ნისა საველიჩი (ბორდო, საფრანგეთი), ალბერტ რადი (რეალ ბეტისი, ესპანეთი).

ნახევარმცველები: ვლადიმირ იუგოვიჩი (ლაციო, იტალია), დრაგან სტოიკოვიჩი (ნაგოია გრამპუს-8, იაპონია), დეიან სავიჩევიჩი (მილანი, იტალია), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე, ესპანეთი), დეიან გოვერდარიცა (ლეჩე, იტალია), მიროსლავ სტევიჩი (მიუნხენ 1860, გერმანია), დეიან სტანკოვიჩი (ცრვენა ზვეზდა), პერიცა ოგნიენოვიჩი (ცრვენა ზვეზდა).

თავდამსხმელები: პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), ანტო დრობნიაკი (ლანსი, საფრანგეთი), დარკო კოვაჩევიჩი (რეალ სოსიედადი, ესპანეთი), ზორან რანკოვიჩი (ობილიჩი)

## ფუტიქსის დროშით

დარჩა

FRANCE 98

52 დღე

# ფერგი ხომ შოტლანდიელია

ალექს ფერგიუსონი მართალია ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელია, მაგრამ როგორც შოტლანდიელი, თავისი ქვეყნის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მომზადებაში დიდ როლს თამაშობს.

„ოლდ ტრეფორდის“ („იუნაიტედის“ სტადიონია) ბოსი შოტლანდიის ტელევიზიასთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, მონაწილეობას მიიღებს საათიან გადაცემაში, სადაც გააანალიზებს იმ გუნდების თამაშს, სქოთებს წილისყრით რომ ერგნენ.

გადაცემას „ფერგიუსონის ფაილები“ ერქმევა. მასში მაყურებელი მოისმენს სპეციალისტის აზრებს ბრაზილიის, მაროკოს და ნორვეგიის ეროვნული გუნდების შესახებ და ნახავს მათ მიერ ჩატარებული მოსამზადებელი შეხვედრების ფრაგმენტებს.



ალექს ფერგიუსონი

შოტლანდიური ტელევიზიის პრესატაშემ განაცხადა: ჩვენ საზოგადოებას შევთავაზებთ საფეხბურთო ექსპერტის სრულიად ორიგინალურ მოსაზრებებს.

გარდა ტელედახმარებისა, ფერგიუსონი სქოთთა მწვრთნელს კრეიგ ბრაუნსაც გაუწევს კონსულტაციებს. ბრაუნმა თქვა: ჩვენს მოწინააღმდეგეებს რომ შეისწავლის, ალექსს დავურეკავ და ვკითხავ, რა შთაბეჭდილება დარჩა მათზე. იგი ადრეც დაგვხმარებია და ვგონებ, არც ახლა მოიქცევა სხვაგვარად.

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, შოტლანდიელთა იმჟამინდელი მწვრთნელი ჯოკ სტეინი რომ გარდაიცვალა, სწორედ ფერგიუსონი გახლდათ ის კაცი, ვინც დროებითი თავკაცის სტატუსით ჩაუდგა საქმეს სათავეში და გუნდი შესარჩევი შეჯიბრებიდან ფინალურ სტადიაზე გაიყვანა.

## რუმინეთი

ბრიუსელში, ბელგიის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრის წინ, რუმინეთის ნაკრების ხელმძღვანელმა ანგელ იორდანესკუმ, საწვრთნელ ბანაკში 16 უცხოეთში მოთამაშე და 4 „შინაური“ ფეხბურთელი დაიბარა.

ლეგიონერთა შორის არიან ისინიც, ვინც ერთი ხნის წინ ბერძნებთან 1:2 მოგებული თამაში გამოტოვა: თურქული „გალათასარაის“ გამთამაშებელი გეორგ ჰაჯი, იმავე კლუბის ნახევარმცველი, გეორგ პოპესკუ და მცველი იულიან ფილიპესკუ.

იორდანესკუმ ისევ არ გამოიძახა გერმანული „კიოლნის“ თავდამსხმელი იონ ვლადოუ, რომელიც ერთობ განაწყენდა და როგორც გაუწყეთ, განაცხადა მსოფლიოს პირველობაზე არ ვითამაშებო.

მეკარეები: ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), დუმიტრუ სტინგაჩუ (ქოჯაელისფორი, თურქეთი).

მცველები: დან პეტრესკუ (ჩელსი, ინგლისი), დანიელ პროდანი (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ დობოში (აეკი, საფრანგეთი), კრისტიან დულჩა (რაპიდი, რუმინეთი), ტიბორ სელიმეში (ანდერლეხტი, ბელგია), იულიან ფილიპესკუ (გალათასარაი, თურქეთი).

ნახევარმცველები: ალინ სტოიცა (ანდერლეხტი, ბელგია), გეორგ ჰაჯი და გეორგ პოპესკუ (ორივე გალათასარაი, თურქეთი), დენის სერბანი (სტიაუა, რუმინეთი), დორინელ მუნტეანუ (კიოლნი, გერმანია), კონსტანტინ გილჩა (ბარსელონა, ესპანეთი), გაბრიელ პოპესკუ (სალამანკა, ესპანეთი).

თავდამსხმელები: გეორგ კრაიოვეანუ (რეალ სოსიედადი, ესპანეთი), რადუ ნიკულესკუ (ნაციონალი, რუმინეთი), კონსტანტინ ბარშუ (არგესი, რუმინეთი), ვიორელ მოლდოვანი (კოვენტრი, ინგლისი), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი).

## ბულგარეთი

ბულგარეთსა და მაროკოს შორის სოფიაში დანიშნულ ამხანაგურ შეხვედრას გამოტოვებენ მასპინძლები ტრიფონ ივანოვი და ემილ კოსტადინოვი. მწვრთნელმა ხრისტო ბონევმა 20-კაციან ბანაკში კაპიტნისა და ცნობილი თავდამსხმელის არგამოძახება იმით ახსნა, რომ მათ ჯერ სოფიის ცსკა-ში აქვთ პრობლემები მოსაგვარებელი. „მათზე ხელი ჯერ არ მაქვს აღებული“ — განაცხადა ბონევმა.

საქმე ის გახლავთ, რომ ივანოვმა და კოსტადინოვმა ცსკა-ს ფული მოსთხოვეს, მათი თქმით, ის თანხა, რომელიც კლუბს მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაფიცვით დაიმუქრნენ. ამიტომ ცსკა-ს ხელმძღვანელებმა დუეტი ბულგარეთის თასის ნახევარფინალური თამაშის სიიდან ამოაგდო.

შეგახსენებთ, რომ ივანოვი სოფიაში ვენის „აუსტრიამ“ გაასესხა, კოსტადინოვი კი მექსიკურმა „უნამმა“. მიზეზი: ორივეს შინ სურდა მსოფლიოს პირველობისთვის მომზადება.

ნაკრებში არ არის იორდან ლეჩკოვიც. თურქეთის „ბეშიქთაშში“ მოთამაშე მელოტი ნახევარმცველი თებერვლის შემდეგ აღარ გამოუძახიათ ეროვნულ გუნდში.

ივანოვის არყოფნამ ბონევს პეტარ ჰუბჩევის მიწვევა აიძულა. ჰუბჩევის ბოლო სანაკრებო შეხვედრა გახლდათ მატჩი ისრაელთან, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში.

ბულგარეთის ნაკრების ახალწვეულია 21 წლის ზაჰარი სირაკოვი. იგი სოფიის „ლევსკიში“ თამაშობს და შეტევის მოყვარულ მცველადაა ცნობილი. დღეისთვის სირაკოვი ეროვნულ პირველობაზე ოთხი გოლის ავტორია.

მეკარეები: ზდრავკო ზდრავკოვი (ბურსასფორი, თურქეთი, როდოსტინ სტანევი (ცსკა)

მცველები: რადოსტინ კიშიშევი (ლიტექსი), ივაილო პეტკოვი (ლიტექსი), ზაჰარი სირაკოვი (ლევსკი), პეტარ ჰუბჩევი (ტრიერის აინტრახტი, გერმანია), ადალბერტ ზაფიროვი (არმინია, გერმანია), სვეტოსლავ ტოდოროვი (ლიტექსი)

ნახევარმცველები: ანატოლი ნანკოვი (ლოკომოტივი), ივაილო იორდანოვი (სპორტინგი, პორტუგალია), ზლატკო იანკოვი (ბეშიქთაში, თურქეთი), კრასიმირ ბალაკოვი (შტუტგარტი, გერმანია), ილია გრუევი (ნეფტოხიმიკი), სტოიჩო სტოილოვი (ლიტექსი)

თავდამსხმელები: ხრისტო სტოიჩკოვი (ცსკა), ლუბოსლავ პენევი (კომპოსტელა, ესპანეთი), ილიან ილიევი (ბურსასფორი, თურქეთი), მარიან ხრისტოვი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ხრისტო იოვოვი (მიუნხენ 1860, გერმანია), გეორგი ივანოვი (ლევსკი)

## საფრანგეთი

ფრანგები ოთხშაბათს შვედებთან ითამაშებენ და მოედანზე „მარსელის“ თავდამსხმელი კრისტოფ დიუგარი და მიუნხენის „ბაიერნიდან“ მიწვეული ბისენტ ლიზარაზუც ეყოლებათ.

სანამ საბოლოო, 22 კაციან ნაკრებს დაასახელებს, ფრანგთა მწვრთნელმა ემე ჟაკემ გარკვეული ექსპერიმენტები განიზრახა. დიუგარისა და ლიზარაზუს შარშანდელი ოთხთა ტურნირის შემდეგ ეროვნულ გუნდში აღარ უთამაშიათ.



კრისტოფ დიუგარი

ჟაკემ აღარ გამოიძახა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში შეუცვლელი, „ოსერის“ თავდამსხმელი სტეფან გივარში. სამაგიეროდ, მიიწვია ლონდონური „არსენალის“ ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა. „არსენალიდან“ გამოძახებულია ფორვარდი ნიკოლა ანელკაც.

შვედებთან არ ითამაშებენ „მილანის“ ცნობილი ფრანგი ზანგი ნახევარმცველები მარსელ დესაი და იბრაჰიმ ბა. დესაის პოზიციაზე ითამაშებს მონაკოელი მარტინ ჯეტუ. ის ბოლოს ერთი წლის წინ, სწორედ შვედებთან იყო სამფეროვან მაისურში გამოწყობილი.

მეკარეები: ლიონელ შარბონიე (ოსერი), ბერნარ ლამა (ვესტ ჰემი, ინგლისი).

მცველები: ლორან ბლანი (მარსელი), პიერ ლაილი (სამპდორია, იტალია), ბისენტ ლიზარაზუ (ბაიერნი, გერმანია), ლილიან ტურამი (პარმა, იტალია).

ნახევარმცველები: ალან ბოგოსიანი (სამპდორია, იტალია), დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), კრისტიან კარემბუ (რეალი, ესპანეთი), საბრი ლამუში (ოსერი), პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია), მარტინ ჯეტუ (მონაკო).

თავდამსხმელები: ნიკოლა ანელკა (არსენალი, ინგლისი), იური ჯორკაეფი (ინტერი, იტალია), კრისტოფ დიუგარი (მარსელი), რობერ პირსი (მეცი), დავიდ ტრეზეგე (მონაკო).

## მექსიკა

ნაკრების მწვრთნელმა მანუელ ლაპუენტემ თქვა, ჩემი გუნდი ჯერ ძიების პროცესშია და თამაშებსაც ამიტომ ვაგებთო. „შედეგებში მეტისმეტის ამოკითხვას ნუ შეეცდებით“ — ურჩია გულშემატკივრებს ლაპუენტემ — „მთავარი ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რაღაც სიახლეების მიგნებას ვცდილობთ.“

ოთხშაბათს მექსიკა პერუსთან ითამაშებს.

მწვრთნელის აზრით მექსიკის ნაკრებს სძალუძს იასპარეზოს 1986 წლის დარად, როდესაც მეოთხედფინალამდე გაიკაფა გზა.

„მწამს, რომ საფრანგეთში კარგად გამოვალთ“ — ამბობს ლაპუენტე.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მექსიკელთა მეტოქეები არიან ჰოლანდია, ბელგია და კორეა. პირველი მათი შეხვედრა 13 ივნისს, ლიონში, მექსიკელებთან ელოდებათ.

## იტალია

„სკუადრა აძურას“ მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ ხალხი გააოცა: პარმაში პარაგვაისთან სათამაშოდ შედგენილ 19 კაციან გუნდში ჩართო ტურინის „იუვენტუსის“ მცველი მარკ იულიანო.

იულიანო და „ინტერის“ მცველი ლუიჯი სარტორი ის ხალხია, ვისაც აქამდე მაისური-აძურა არ ჩაუცვამთ. ამბობენ ნაკრებში გამოძახებას თავზე მეტად კლუბებს უნდა უმადლოდენო. „იუვენტუსი“ და „ინტერი“ ხომ სერია A-ს ცხრილში პირველ და მეორე ადგილებზე არიან, თანაც ორივე ევროტურნირის ფინალისტია: „იუვეს“ ჩემპიონთა თასის, ხოლო „ინტერი“ უეფას თასის.

23 წლის სარტორი მალდინიმ ნაკრებში მესამედ დაიბარა, მაგრამ მოედანზე დღემდე არ შეუშვია, 24 წლის მარკ იულიანო კი ბანაკაძურაში პირველად ჩავა და დიდი-დიდი მეორე ტაიმში ცოტა ხნით ათამაშონ.

რობერტო ბაჯო გამოძახებული არ არის. რას ნიშნავს ეს? არც მისი ყველაზე აშკარა კონკურენტი, ჯანფრანკო ძოლაა პარმაში დაბარებული, „იუვეს“ ფილიპო ინძაგი კი დაშავებულია.

სავარაუდოა, რომ იტალიელთა შეტევაში ალესანდრო დელ პიერო და კრისტიან ვიერი შეწყვილდებიან.

მეკარეები: ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა).

მცველები: მარკ იულიანო (იუვენტუსი), ალესანდრო ნესტა (ლაციო), ლუიჯი სარტორი (ინტერი), ფაბიო კანავარო (პარმა), პაოლო მალდინი (მილანი), ალესანდრო კოსტაკურტა (მილანი).

ნახევარმცველები: ფრანჩესკო მორიერო (ინტერი), დემეტრიო ალბერტინი (მილანი), რობერტო დი მატეო (ჩელსი, ინგლისი), დინო ბაჯო (პარმა), ლუიჯი დი ბიაჯო (რომა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი).

თავდამსხმელები: კრისტიან ვიერი (ატლეტიკო, ესპანეთი), პიერლუიჯი კაზირაგი (ლაციო), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ენრიკო კიეზა (პარმა), ფაბრიციო რავანელი (მარსელი, საფრანგეთი).

# კამერუნი შეუტევს

ფრანგი კლოდ ლე როი ოთხშაბათს კამერუნის ნაკრების წვრთნას შეუდგა და განაცხადა, რომ შემტევი გუნდის ჩამოყალიბებას აპირებს.

— როგორც საერთოდ მჩვევია, ისე მინდა ვითამაშო. მე ხომ ფეხბურთზე ჩემი შეხედულება მაქვს. მიყვარს შემტევი თამაში და გუნდში საამისო ხალხი მჭირდება — თქვა ლე როიმ, რომელიც ოფიციალურად კამერუნელთა მწვრთნელად მარტში დანიშნეს.

კამერუნის ნაკრებს მანამდე ჟან მანგა ონგენე ედგა სათავეში, მაგრამ თებერვალში, ბურკინა ფასოში ცუდად ნათამაშევი აფრიკის თასის გამო იგი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს, თუმცა ამბობდნენ, ლე როის ხელში მეორე მწვრთნელი გახდებაო.

„მე იმ ხალხს უნდა დავეყრდნო, ვისაც ვიცნობ“ — თქვა ლე როიმ და თავის მთავრობაში მეორე ნომრად „გარუას“ მწვრთნელი ჟულ ნიონგა მიიწვია. ლე როისა და ნიონგას მეგობრობა 1985-88 წლებიდან მოდის, როდესაც ისინი დღევანდელივით კამერუნელთა პირველი და მეორე მწვრთნელები იყვნენ და გუნდს აფრიკის თასი მოაგებინეს.

„როგორც ყოველთვის, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ყველაფერზე, კარგზე თუ ცუდზე პასუხისმგებლობას მე ვიკისრებ“ — განაცხადა ლე როიმ, რომელიც დღევანდლამდე „პარი სენ ჟერმენის“ სპორტულ დირექტორად მუშაობდა.

კამერუნთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის B ჯგუფში არიან იტალია, ჩილე და ავსტრია.

კამერუნი მეოთხედ მონაწილეობს მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე.

## ავსტრია

დორტმუნდის „ბორუსიას“ მოთამაშე ვოლფგანგ ფაიერზინგერი ოთხშაბათს აშშ-ის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას ალბათ გამოტოვებს. ავსტრალიელების მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ჰერბერტ პროჰაზკამ 18-კაციანი გუნდის დასახელების შემდეგ განაცხადა:

— ჩვენი აზრით, ფაიერზინგერისთვის ახლა დასვენება ჯობს, რადგან ჯერ ერთი, ძველ ტრავმებს უფრო ხეირიანადაც იმკურნალებს და გარდა ამისა, სხვა მოთამაშეების გამოცდის საშუალება მოგვეცემა. ხომ უნდა ვიყოთ მზად იმ შემთხვევისთვის, როდესაც ვოლფგანგი რაღაც მიზეზით თამაშს ვერ შეძლებს?

ავსტრალიური გაზეთების ვარაუდით, ფაიერზინგერს თავისუფალი მცველის პოზიციაზე ან ინგლისურ „ლიდსში“ მოთამაშე მარტინ ჰიდენი შეცვლის, ან ფრანგული „კანის“ წევრი ვალტერ კოლერი.

პროჰაზკას ნაკრებმა ამასწინათ უნგრეთთან 2:3 წააგო. იმ შეხვედრის მონაწილეთაგან ამერიკელებთან შეხვედრაში არ იქნებიან ბრემენის „ვერდერის“ ფეხბურთელი, ნახევარმცველი ჰაიმი ფაიფენბერგერი და „გრაცერის“ დიტერ რამუში. ფაიფენბერგერს ზურგის ტრავმა აქვს მოსაშუშებელი, თავდამსხმელ რამუშს კი გილბერტ პრილასნიგისა და მარიო ჰაასისთვის მოუხდა გზის დათმობა. ისინი გრაცის „შტურმის“ მოთამაშეები და შესაბამისად, ავსტრიის ჩემპიონებში გახლავან.

პრილასნიგისთვის ნაკრები მთლად უცხო ხილი არ გახლავთ, მას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში ოთხი შეხვედრა აქვს ჩატარებული, ჰაასი კი ორი წელიწადია ეროვნულ გუნდში აღარ მოუწვევიათ და ისიც, 1996 წლის მარტში, შვეიცარიელთა წინააღმდეგ ერთხელ, 33 წუთით ათამაშეს.

მეკარეები: მიხაელ კონსელი (რომა, იტალია), ფრანც ვოლფარტი (შტუტგარტი, გერმანია).

მცველები: ანტონ პფეფერი (აუსტრია), მარტინ ჰიდენი (ლიდს იუნაიტედი, ინგლისი), ვალტერ კოლერი (კანი, საფრანგეთი), პეტერ შიოტელი (რაპიდი).

ნახევარმცველები: მარტინ ამერჰაუსერი (ზალცბურგი), ანდრეას ჰერცოგი (ვერდერი, გერმანია), დიტმარ კუჰბაუერი (რეალ სოსიედადი, ესპანეთი), რომან მეჰილხი (შტურმი), გილბერტ პრილასნიგი (შტურმი), ჰანს რაინმაირი (შტურმი), მარკუს შოპი (შტურმი), პეტერ შტიოგერი (ლინცი).

თავდამსხმელები: ჰარალდ ჩერნი (მიუნხენ 1860, გერმანია), მარიო ჰაასი (შტურმი), ანტონ პოლსტერი (კიოლნი, გერმანია).

## საუდეთი

საუდელები გუშინ საფრანგეთს გაემგზავრნენ, რათა იქ 45-დღიანი შეკრება ჩაატარონ, ქვეყანასაც მოერგონ და თან საკონტროლო შეხვედრები გამართონ. არაბთა 28-კაციანი გუნდი ძირითადად კლუბებთან სპარინგობისას დახვეწს საკუთარ თამაშს. გეგმაშია გაჯიბრება იამაიკის, იტალიის, ისლანდიისა და ნამიბიის გუნდებთან. ბრაზილიელი მწვრთნელი, ცნობილი კარლოს ალბერტო პარეირა მაისში ინგლისსა და ნორვეგიაშიც აპირებს ამხანაგური თამაშების ჩატარებას.

## ფეხბურთის რუკასთან



**რუმინეთის** ჩემპიონატის 30-ე ტური: ბაკეუ — ფორესტა 0:0, რუსიტა — უნივერსიტატია (კრაიოვა) 2:1, ნაციონალი — რაპიდი 1:2, ჟიული — არჯეში 0:5, ოცელული — დინამო 1:0, ჩაჰლაული — სპორტული სტუდენტეკი 3:1, გლორია — ფარული 4:1, უნივერსიტატია (კლუჟი) — პეტროლული 2:0, სტიაუა — ჩინდია 5:0. პირველობას 71 ქულით დედაქალაქის „რაპიდი" ლიდერობს. ქულით ნაკლები აქვს და მეორე ადგილზეა ბუქარესტისავე „სტიაუა", პიტეშტის „არჯეში" კი 60 ქულით მესამეა.

**ესპანური** გაზეთის „მარკას" ცნობით, „ბარსელონამ" უარყო წინადადება კლუბის კარის სათადარიგო დარაჯის ვიტორ ბაიას „მილანში" შესაძლო გადასვლის თაობაზე. პორტუგალიელი მეკარის გადაბირება მილანელებმა თურმე ერთი თვის წინ მოთ წადინეს, მაგრამ კატალონიელებს თხოვნა ოთხიოდე დღის წინ გაუგზავნეს. იმავე გაზეთის თქმით, მილანელები ბაიაში 13,1 მილიონ დოლარს იხდიდნენ. თუმცა „ბარსელონამ" პორტუგალიელის გაყიდვა მაინც არ ისურვა.

**ისრაელში** გაზეთ „იედიოთ აროონოთმა" გამოკითხვა ჩაატარა, რომელსაც ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა დაესახელებინა. ისრაელში ფეხბურთის გულშემატკივართა აზრი თითქმის დაემთხვა ერთმანეთს — უმეტესობამ ისრაელის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ მორდოხაი შპიგლერი დაასახელა, კაცი, რომელიც ნაკრებში გატანილი გოლებით დღემდე რჩება რეკორდსმენად. მან ისრაელის პირველ გუნდში ნათამაშევ 82 შეხვედრაში 32-ჯერ ისახელა თავი. 70-იანი წლების დასაწყისში შპიგლერი „მარსელშიც" თამაშობდა, 1970 წელს კი — მექსიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოვიდა.

**აშშ-ს** ნაკრების ვეტერანმა ერიკ ვინალდამ, რომელსაც გუნდში ნათამაშევ 98 მატჩში 32 გოლის გატანა მოუხერხებია, მსოფლიოს ჩემპიონატში ზედიზედ მესამე მონაწილეობა საკითხავი გაიხადა. ამერიკის საფეხბურთო ლიგის, იგივე მეიჯორ სოკერ ლიგის კლუბ „სან ხოსე ქლეშში" თამაშისას ვინალდამ ფეხი იტკინა. არადა, იგივე მას სამი წლის წინ დაემართა, როცა ჯერ კიდევ ბუნდესლიგაში თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ ვინალდას ტრავმის სამკურნალოდ ოპერაცია სჭირდება, იგი დაბრუნებას ხუთ ეკვს კვირაში იმედოვნებს.

**ნამიბიის** ნაკრებმა აფრიკის სამხრეთით მდებარე ქვეყნების თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად დაუძახა ახალ ზელანდიაში გადაკარგულ 26 წლის ნამიბიელ კლემენს ხაისენს, რომელიც გარდა იმისა, რომ „კენტერბერში" ბურთაობს, ამავდროულად „ლინკოლნის სახელობის უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია. ნამიბიის ნაკრების თავკაცმა მლუნგასიმ, მეტსახელად პროფესორმა, ნგუბანემ ხაისენზე თქვა, კოჭებზე ეტყობა, დიდი მომავალი აქვსო.

**ბულგარეთის** თასის ნახევარფინალის პირველ შეხვედრებში ლოვეჩის „ლიტექსმა" სტუმრად 3:1 დაამარცხა სოფიის ცსკა, ხოლო მეორე დედაქალაქური გუნდი „ლოკომოტივი" ასევე შინ დამარცხდა სოფიისავე „ლევსკისთან" 1:2. ნახევარფინალის საპასუხო მატჩები 6 მაისს შედგება.

**რუსეთის** თასის ოთხშაბათს გამართულ მეოთხედფინალში ვლადიკავკაზის „ალანიამ" იგორ იანოვსკის, დათო ჩალაძის და გიორგი ბოციევის გოლების წყალობით 3:0 დაამარცხა ყაზანის „რუბინი". 28 და 29 აპრილს ნახევარფინალებში მოსკოვის „სპარტაკი" ვოლგოგრადის „როტორს" უმასპინძლებს, „ალანია" კი დედაქალაქის „ლოკომოტივს" ესტუმრება.

**ნორვეგიელმა** მცველმა ჰენინგ ბერგმა სულ აიღო ნამუსზე ხელი და „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობას სთხოვა, თუ არ მათამაშებთ, თქვენთან მაინც დამტოვეთ, სხვაგან გადასვლა არ მწადიაო. ჰენინგ ბერგმა თითქმის მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

**ბრაზილიელმა** ჟულიო სეზარმა გადაწყვიტა, საკმაოდ ხვავიან ევროპულ კარიერას წერტილი დაუსვას. 35 წლის [illegible] რულებს, შემდგომ კი, თუ შანსი მიეცა, რომელიმე გუნდსაც უთავკაცებს. ბოლო წლებში ჟულიო სეზარი ტურინის „იუვენტუსში" თამაშობდა, ახლა კი დორტმუნდის „ბორუსიას" ღირსებას იცავს.

**უნგრეთის** პირველობის 26-ე ტური: უიპეშტი — BVSC 1:0, დიოშგიორი — შიოკოკი 2:2, ბეკეშჩაბა — ვაცი 0:2, კიშპეშტთ ჰონვედი — დებრეცენი 5:1, ზალაეგერშეგი — რომბათჰეი 0:0, დიორ ეტო — შტადლერი 3:0, მტკ — გამცერი 4:2, ვიდეოტონი — ფერენცვაროში 1:1, ტიშაკეშკი — ვაშაში 0:3. ჩემპიონატს 57 ქულით ერთპიროვნულად „უიპეშტი" ლიდერობს. მეორე ადგილზეა 50-ქულიანი „ფერენცვაროში", მესამე კი ბუდაპეშტის „ვაშაში" — 49 ქულით.

**ინგლისის** პრემიერლიგის კლუბმა „შეფილდ უენსდეიმ" ვერ იქნა და ვერ შეაკოწიწა იტალიელი ფრანჩესკო სანეტის გადასაბირებელი დოკუმენტაცია. 19 წლის აპენინელმა ორიოდ წლის წინ აწ უკვე სერია B-ს გუნდ „ჯენოასთან" არასწორად გაფორმებული კონტრაქტის გამო უამრავი პრობლემა შეიქმნა. ინგლისელებმა იტალიელებს სანეტის გამო უეფაშიც უჩივლეს და ახლა საქმე 28 აპრილს ციურიხში, მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტში გაირჩევა.

**სამხრეთ ამერიკის** კონტინენტზე მიმდინარე ლიბერტადორესის თასის გათამაშების მეორე წრის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. რიო დე ჟანეიროში, ბრაზილიურ დერბიში მასპინძელმა „ვასკუ და გამამ" „კრუზეირო" სძლია 2:1, პარაგვაის „სერო პორტენომ" 1:0 დაამარცხა კოლუმბიური „ამერიკა", კოლუმბიის მეორე გუნდმა „ბუკარამანგამ" შინ წააგო ბოლივიურ „ბოლივართან" 1:2, ეკვადორის „ბარსელონამ" 2:1 მოუგო სტუმარს, ჩილეს „კოლო კოლოს", ურუგვაის „ნასიონალმა" და ბრაზილიურმა „გრემიომ" კი ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ფრედ 1:1 ითამაშეს.

**ჰოლანდიელი** პატრიკ კლუივერტი, რომელმაც ვერ იქნა და ვერ მოიკიდა ფეხი იტალიური „მილანის" შემადგენლობაში, შეიძლება საბურთაოდ ალბიონზე გადაბარგდეს. „არსენალმა" მილანელებს კლუივერტის სანაცვლოდ 18 მილიონი დოლარი შესთავაზა. ექსაიაქსელ თავდამსხმელს თავად არ სურს იტალიის დატოვება, მგრამ კლუბის თავკაცი ფაბიო კაპელო კლუივერტის გუნდში დარჩენის აუცილებლობას ვერ ხედავს.

**ალჟირელმა** ნახევარმცველმა ალი ბენარბიამ, რომელიც ფრანგულ „მონაკოს" ღირსებას იცავს, განაცხადა მომავალ სეზონში პრემიერლიგაში მწადია თამაშიო. 29 წლის ფეხბურთელის მიწვევა რეალურად ჯერჯერობით არც ერთ ინგლისურ გუნდს არ გადაუწყვეტია, თუმცა მისი გადაბირების სურვილი ორმა ლონდონურმა კლუბმა გამოთქვა — „არსენალმა" და „ტოტენჰემ ჰოტსპურმა".

**არგენტინის** ჩემპიონატის მორიგი ტურის გმირად, უკვე ვინ მოთვლის მერამდენედ, პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის შილავერი იქცა. შილავერის გუნდმა „ველეჟ სარსფილდმა" 2:0 დაამარცხა „ხიმნასია", ამასთანავე მეკარემ ერთი გოლი ჯარიმიდან შეაგდო, თან იქითა მეკარეს პენალტიც აუღო.

**ავსტრიელი** ალფრედ რიდლო პირველ მაისს ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში ჩავა და იქაური ფეხბურთის შეფებთან ოფიციალურ ხელშეკრულებას გააფორმებს როგორც ნაკრების მწვრთნელი. 49 წლის რიდლო 1990-92 წლებში ავსტრიის ნაკრებს თავკაცობდა, თავის დროზე კი სამშობლოს, საფრანგეთის და ბელგიის სხვადასხვა გუნდებში ბურთაობდა. რიდლო ვიეტნამამდე ავსტრიის, ეგვიპტის და ირანის ნაკრებებსაც წვრთნიდა. ახალ თანამდებობაზე იგი თვეში 5 ათას დოლარს მიიღებს.

**იტალიის** ნაკრების და „მილანის" ყოფილი მწვრთნელი არიგო საკი მომავალ სეზონში სავარაუდოდ მადრიდის „ატლეტიკოს" გაწვრთნის. უეფას თასზე „ლაციოსთან" მარცხის შემდეგ მადრიდელთა ახლანდელი მწვრთნელის რადომირ ანტიჩის პოზიციები საგრძნობლად შეირყა და სეზონის ბოლოს იგი კლუბის შერეკილი პრეზიდენტის ხესუს ხილი ხილის რისხვას ალბათ ვერ გადაურჩება.

**ჩეხმა** მეკარემ პეტერ კოუბამ გაჭიანურებული მუხლის ტრავმის სამკურნალოდ აკრძალული წამლები გამოიყენა, რაც გუნდის ხელმძღვანელობამ შეიტყო. „კაიზერსლაუტერნის" თავკაცებმა ყოველივე გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს აცნობეს — კოუბა ერთი თვით მოყვევიტ ფეხბურთიდან.

## სატირბორობე
## კითხვა-პასუხი

*— უტატატაა, ხედავ რა ამბავია? „არსენალი" ჩემპიონი ხდება.*

— ეგ რა „არსენალია"? ეგ „არსენალი" კი არა, იტალიური მოდის მაღაზია „არსიანია".

*— რაო, „არსიანიო"?*

— ჰო,.. „არსიანი", რომელმაც ჩვენს ჩაცმულობაზე იზრუნა.

*— შეგეშალა. იქ არც ერთი იტალიელი არ თამაშობს.*

— მართალი ხარ. იტალიური მოდის მაღაზია „არსიანი" უფრო „ჩელსია".

*— თავად იტალიური მოდა რაღა ბედენაა?*

— ფეხბურთელებს რომ თამაში მობეზრდებათ ან დაბერდებიან, ინგლისში მიდიან. აი, ეგ არის იტალიური მოდა.

*— და ვინც არ მიდის?*

— არ არსებობს.

*— აბა იტალიაში ვინღა თამაშობს?*

— იტალიაში სხვები ჩადიან. ვთქვათ, კლუივერტი...

*— აპაპაპა-პა, ეგ არ გამახსენო. მაგაზე ხომ ვილაპარაკეთ. „არსიანი" კიდევ სად არის გახსნილი?*

— უჰ, ბევრგან, მაგრამ ყველაზე დიდი „არსიანი" სურინამელებს აქვთ.

*— ვაჰ. ეგ რა არის?*

— ეგ ერთი საზანგეთია. ჰოლანდიელები ჩავლენ, ზანგის ქალებს ჩაუგორდებიან ლოგინში და...

*— ლოგინებიც აქვთ?*

— ძირითადად ჰამაკები, მაგრამ ეგ არ არის მთავარი... მთავარი ისაა, რომ ჩაუგორდებიან და მერე ეს ზანგის ქალები ნორდინ ვუტერებს აჩენენ.

*— ნორდინ ვუტერი რა არის?*

— ნორდინ ვუტერი არის გულიტს მინუს ფეხბურთი.

*— ვერ გავიგე. და „არსიანი" რაღა შუაშია?*

— „არსიანი" იტალიური მოდის მაღაზიაა თბილისში.

*— სურინამი რაღა შუაშია?*

— რით ვერ გაიგე? ჰოლანდიელები რომ სურინამში ჩავლენ და სურინამელები ჰოლანდიაში ამოვლენ, ედგარ დავიდსი დაიბადება. ამიტომ იტალიელები „ჩელსიში" წავლენ და — არსიანიც" გამოვიდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ინგლისში იტალიური მოდაა. გაიგე?

*— ააა... კი მაგრამ დავიდსი რა მოხელე ჩიქვანია?*

— დავიდსი არის ზეედორფს რომ მივუმატოთ ოთხი ნაწნავი.

*— და თვითონ ზეედორფი ვინღაა?*

— ზეედორფი არის კიკი მუსამპას მივუმატოთ ორი კილოგრამი.

*— ეს ყველაფერი კი „არსენალში" იყრის თავს?*

— „არსენალში" მალე მოიყრის. ჯერ სეზონი უნდა დამთავრდეს.

*— რონალდო როდის წავა ინგლისში სათამაშოდ?*

— როცა დანკან ფერგიუსონი „მილანში" გადავა. რა დროს რონალდოა?

*— როგორ. მთავარი ეგ არის და შენ კიდევ „არსიანიო", თუ „არსენალიო". რონალდო არ არის მთავარი?*

— მთავარია, არ აგვერიოს.

*— რა?*

— „არსენალი" „არსიანში", სოლსკიაერი კანუში და აკპობორი დელ პიეროში.

*— ეგ როგორ უნდა აგვერიოს?*

— „მილანი" ხომ გვერევა „ნაპოლში"? ჰოდა მალე ეგენიც აგვერევა.

*— რონალდო არაფერში აგვერევა.*

— მართალი ხარ. სანამ რონალდოა, „ინტერიც" არ აგვერევა არაფერში.

*— და გაზა?*

— გაზა რა შუაშია?

*— გაზა აგვერევა ვინმეში?*

— გაზა ჩვენ არ აგვერევა, მაგრამ თვითონ კი აერევა.

*— რა?*

— საფრანგეთის თვითმფრინავის რეისი.

# სარბიელი
## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXXI ტური**

18 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — შალკე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მიუნხენ 1860 — ჰერტა | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| არმინია — ბაიერნი | 4,0 | 3,3 | 1,7 |
| ლევერკუზენი — ჰამბურგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| დორტმუნდი — გლადბახი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| ჰანზა — კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტუტგარტი — ბოხუმი | 1,6 | 3,3 | 4,7 |

**გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXVII ტური**

19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| გიუტერსლო — დიუსელდორფი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ფიურტი — ფრაიბურგი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| ცვიკაუ — კიკერსი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| მეპენი — კარლ ცაისი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| ფორტუნა — ვატენშაიდი | 2,0 | 2,7 | 3,6 |

20 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — აინტრახტი | 2,6 | 2,7 | 2,6 |

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXV ტური**

18-20 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — უიმბლდონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბარნსლი — ტოტენჰემი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ვესტ ჰემი — ბლექბერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| საუთჰემპტონი — ასტონ ვილა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ბოლტონი — ლიდსი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ქოვენთრი — ლივერპული | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ჩელსი — შეფილდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ევერტონი — ლესტერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კრ. პალასი — დერბი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| მანჩესტერი — ნიუკასლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XLIV ტური**

18-19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — სვინდონი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| ბრედფორდი — ქუინზ პარკი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| ჩარლტონი — პორტსმუთი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| ჰადერსფილდი — ბრომვიჩი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| იფსვიჩი — პორტ ვეილი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| ოქსფორდი — ტრანმერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| შეფილდი — ბერი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| სტოკპორტი — ნოტინგემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| სტოკი — ნორვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სანდერლენდი — ქრიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ვულვზი — რედინგი | 1,5 | 3,5 | 5,3 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXX ტური. 19 აპრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ფიორენტინა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ბოლონია — მილანი | 2,3 | 2,8 | 2,8 |
| ემპოლი — იუვენტუსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ინტერი — უდინეზე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ლეჩე — პარმა | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ნაპოლი — სამპდორია | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| პიაჩენცა — ბარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რომა — ბრეშა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ვიჩენცა — ლაციო | 3,0 | 2,9 | 2,2 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია B. 18-19 აპრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკონა — პადოვა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კიევო — ლუკეზე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| დი სანგრო — პერუჯა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ფ. ანდრია — კალიარი | 2,8 | 2,8 | 2,3 |
| ფოჯა — მონცა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჯენოა — ვერონა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| პესკარა — ტრევიზო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რავენა — სალერნიტანა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ტორინო — რეჯინა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვენეცია — რეჯანა | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXIV ტური**

18 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — სარაგოსა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |

19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალენსია — სოსიედადი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| დეპორტივო — სალამანკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სპორტინგი — ატლეტიკო | 5,6 | 4,0 | 1,4 |
| ტენერიფე — ბეტისი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მალიორკა — ესპანიოლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| რასინგი — მერიდა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| რეალი — ოვიედო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ვალიადოლიდი — სელტა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ბილბაო — კომპოსტელა | 1,5 | 3,5 | 5,3 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXVIII ტური**

18-19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხაენი — ორენსე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სერესი — ლეიდა | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| ელჩე — ლას პალმასი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| ესტრემადურა — ეიბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ბადახოსი — ალბასეტე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლოგრონიესი — ტოლედო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სევილია — ვილიარეალი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ატლეტიკო B — რაიო | 2,3 | 2,8 | 2,8 |
| ლეგანესი — ერკულესი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ალავესი — ოსასუნა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ლევანტე — ნუმანსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXII ტური.**

18 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — მონპელიე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მონაკო — ტულუზი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ოსერი — მარსელი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| სტრასბური — ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პსჟ — ბორდო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| შატორუ — ლიონი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| რენი — გინგამი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი. XXX ტური.**

18 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოავიშტა — ვარზიმი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| გიმარაეში — პორტუ | 2,7 | 2,8 | 2,4 |

19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალგეირუში — ბელენენსეში | 1,15 | 6,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ბენფიკა — მარიტიმუ | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| შავეში — ამადორა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| რიუ ავე — აკადემიკა | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| ფარენსე — ლეცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბრაგა — კამპომაიორენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**ბელგიის ჩემპიონატი. XXX ტური. 18-19 აპრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვესტერლო — ლოკერენი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ბევერენი — მუსკრონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლიერსი — გენტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ჰარელბეკი — შარლერუა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ანტვერპენი — სტანდარდი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| სტ ტრუიდენი — ანდერლეხტი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| მოლენბეკი — გენკი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| ლომელი — აალსტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი. XXXIII ტური.**

18-19 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — რეინჯერსი | 4,2 | 3,2 | 1,7 |
| კილმარნოკი — დანდი იუნ. | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| დანფერმლ. — ჰიბერნიანი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| სელტიკი — მოზერველი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,6 |
| ჰართსი — სტ ჯონსტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**ავსტრიის ჩემპიონატი. XXX ტური.**

18-19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ადმირა — ლინცერი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| აუსტრია — ლუსტენაუ | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| გრაცერი — რაპიდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რიდი — შტურმი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| ზალცბურგი — ტიროლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი. VIII ტური.**

18-19 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| არაუ — ციურიხი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| გრასჰოპერი — ლუცერნი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| სიონი — ლოზანა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სენტ გალენი — სერვეტი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

**რუსეთის ჩემპიონატი. IV ტური.**

18 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| როტორი — ზენიტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| შინიკი — ჩერნომორეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბალტიკა — ურალანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ტიუმენი — ალანია | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| სპარტა — ჟემჩუჟინა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ცსკა — დინამო | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ტორპედო — ლოკომოტივი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| როსტსელმაში — კრილია | 1,7 | 3,1 | 4,4 |

**თურქეთის ჩემპიონატი**

18 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| დარდანელი — გალათასარაი | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| ტრაბზონი — ისტანბული | 1,8 | 2,9 | 4,2 |

19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — ვანსფორი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ანთალია — ფენერბაჰჩე | 4,4 | 3,4 | 1,6 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი**

18 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — ვოლენდამი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,3 | 3,8 |
| ტილბურგი — ჰერენვენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სპარტა — ნაიმეგენი | 1,7 | 3,3 | 4,0 |

19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედა — ფეიენორდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| უტრეხტი — გრააფსხაპი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გრონინგემი — აიაქსი | 5,0 | 3,6 | 1,5 |

**კვირას, 19 აპრილს, კროკო არ იმუშავებს**

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

გიო ახვლედიანის




# ნეისმიტი ვერ იფიქრებდა

## ოდესღაც კალათბურთი თამაში იყო

ფიზკულტურის მასწავლებელი ნეისმიტი რომ კედელზე კალათს აჭედებდა, სულაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ ჯავშანჟილეტი დასჭირდებოდა. იმ დროს ჯავშანჟილეტი არც არსებობდა. ერთადერთი მსაჯი თავად ნეისმიტი იყო და მოწაფე-მოთამაშეები თავიანთ მოძღვარს ხომ არ შემოჰკრავდნენ ხელს?

კედელზე რომ კალათს აჭედებდა, ნეისმიტმა არ იცოდა, რომ არსებობს კავკასიის ქედი და ამ ქედზე მიფენილია მშვენიერი ქვეყანა საქართველო, რომელიც კალათის კედელზე მიჭედებიდან ასი წლის შემდეგ დამოუკიდებელ ქვეყნად იქცევა და კალათბურთის სიყვარულის გამოისობით ჩემპიონატსაც ჩაატარებს.

ბატონ ნეისმიტს, ამ პატიოსან კაცს, იმის წარმოდგენაც გაუჭირდებოდა, რომ ქვეყნად ფლეი-ოფი იარსებებდა და იმის კი ასჯერ მეტად, რომ საქართველოშიც ენბეური წესით ჩატარდებოდა ეს ფლეიოფი.

მოძღვართმოძღვარმა ნეისმიტმა არც ის იცოდა, რომ ქართული ფლეი-ოფი და საერთოდ დამოუკიდებელი ქართული კალათბურთი მაყურებელს შეიძენდა და გუნდებს თავიანთი ქომაგები ეყოლებოდათ.

და თქვენ წარმოიდგინეთ, ნეისმიტი არ ფიქრობდა კრივისა და კალათბურთის იდუმალ კავშირზე კავკასიის მხარეში. აბა, როგორ იფიქრებდა, რომ ერთ დარბაზში ოქტაგონისა და კალათბურთის შეჯიბრებები მონაცვლეობით ჩატარდებოდა და კალათბურთი მებრძოლებს დაესესხებოდა ფანდებს?

ოდესღაც კალათბურთი თამაში იყო და ქართველებსაც უყვართ ეს თამაში.

დღეს კალათბურთი არის ბრძოლა წესების გარეშე და ძნელად რომ დაინტერესდეს კაცი, მსაჯია მართალი, თუ მოთამაშე. მთავარია, რომ ჩვენს კალათბურთში მუშტი-კრივი დამკვიდრდა. ამდენი წელიწადია ცდილობდა და საბოლოოდ დაიმკვიდრა თავი მუშტმა.

მაგალითად ენბიეი მოჰყავთ, როდმანიო, აივერსონიო, აგერ ჯორდანმაც თავში დაჰკრა ბურთი მოწინააღმდეგეს. კაი ფულსაც გამოვა, როდმანისა არ იყოს. თანაც, ენბიეი, ჰეი, ენბიეი, სადა ბანაობ?

ნეისმიტს ეგონა, რომ თუ კაცი წესებს ისწავლის, მსაჯიც კარგი გამოვა. აბა, იმ ხულკურთხეულმა რა იცოდა, რომ მსაჯს სპრინტსა და კრივში სჭირდება ვარჯიში?

ან კი რა იცოდა, რომ ყველაზე წყნარი კალათბურთელიც კი, გოლიათური, კეთილი იერისა, იმგვარად აბობოქრდება, რომ ტანხმელ რეფერის მუშტებს დააყრის?

ასე იყო და, ალბათ, ასეც იქნება.

მნიშვნელობა აღარა აქვს, ვინ დაიწყო ჩხუბი და რატომ.

მთავარია, რომ ჩხუბი დაიწყო და გრძელდება!

და დაისჯებიან. სასამართლო ექსპერტიზებით და მთელი ამბებით.

ნეისმიტი რომ ჩაქუჩს უკაკუნებდა, ასეთი სიტყვებისა არაფერი გაეგებოდა. საუცხოო რამ მოიგონა, კალათი მიაჭედა კედელს. ჩვენს კალათბურთს კი, რაზან დაუმოყვრდა, უწესო ბრძოლის მსაჯები უფრო გამოადგება. იმათ ჯანიც გამორჩეული აქვთ და გაქცევასაც არსად აპირებენ. უფრო სწორად კი, მუშტითვე შეუძლიათ პასუხი. ცოდვა გამხელილი სჯობს და საკალათბურთო მსაჯები ნელ-ნელა კი ემგვანებიან ოქტაგონის მსაჯებს. ერთი-ორი ისეთიცაა, მოთამაშე და მაყურებელი რომ ვერაფერს გაუბედავს, რადგან საკადრის ხურდას მიიღებს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა შუაშია აქ კალათბურთი?

როგორ არა!

შუაში კი არა, თავშია.

კალათბურთი ხომ ოდესღაც თამაში იყო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

მთავარი სირთულე ის კი არ არის, რომ ჩხუბი ხდება. მთავარი სირთულეა, რომ ჩხუბი და მსაჯების ცემა წესად დამკვიდრდა. ამბობენ, მსაჯებს გამოცდილება და კვალიფიკაცია აკლიათო. კარგით და ამიტომ უნდა გაილახონ?

თუ კვალიფიკაცია აკლიათ, რაღატომ აწვალებენ ამ ხალხს, რატომ უშვებენ მოედანზე?

სხვა არა გვყავსო.

სხვა თუ არა გვყავს, ჩემპიონატი რაღა საჭიროა?

იმისთვის, რომ კალათბურთი არ მოკვდესო.

და მუშტის ცემით მოკვდება კალათბურთი თუ ისე, რაღა მნიშვნელობა აქვს? მუშტებს მაინც ნუ დავადევნებთ.

ეჰ, ოდესღაც კალათბურთი თამაში იყო.

ნეისმიტი კი ვერც კი წარმოიდგენდა, როგორ უნდა გადაიქცეს თამაში ჩხუბად.

# ფინალი: აზოტი — ვითა

# მცირე ფინალი: სდასუ — დინამო

დასაწყისი პირველ გვერდზე

მეორე ნახევარიც სანაძის ზუსტი სამქულიანით იწყება, მაგრამ ამის შემდეგ სათავე დაედო რუსთაველთა შესანიშნავ თამაშს. „აზოტი" ბოლომდე უმატებს ტემპს და ამ სწრაფ თამაშში ჯაფარიძე, გოგობერიშვილი და წიკლაური ჩინებულად აგვირგვინებენ შეტევებს. მეორე ტაიმის ოთხწუთიანი მონაკვეთი „აზოტმა" ათქულიან უპირატესობით მოიგო და ანგარიში 47:34-ია მათ სასარგებლოდ. სდასუ გონს მოეგო, მაგრამ თამაშის სადავეები უკვე მყარად უპყრიათ ხელთ რუსთაველებს. მეათე წუთისათვის „აზოტი" თხუთმეტ ქულას იგებს 55:40. მატჩში გადამწყვეტი წუთები დგება, მაგრამ სდასუ არ დანებდა და არ გააფუჭა თამაში. ოთიურიძე და სანაძე 30 წამში 10 ქულამდე ამცირებენ სხვაობას, მაგრამ გოგობერიშვილს და ჯაფარიძეს კვლავ შეტევაზე მიჰყავს გუნდი. 7,50 წუთით ადრე სხვაობა კვლავ 15 ქულაა 63:48. ასე მიდიან გუნდები ბოლო სამ წუთამდე — 74:60-ია რუსთაველთა სასარგებლოდ და მატჩის ბედიც გადაწყვეტილი ჩანს, მაგრამ სტუდენტები კვლავ პოულობენ ძალებს ანგარიშის შესამცირებლად. სანაძე და ჯიჯო სულ რაღაც ნახევარ წუთში 7 უპასუხო ქულას აგდებენ. ოთარ ხმელიძე დროულად იღებს წუთშესვენებას და გოგობერიშვილის გარღვევები შედეგიანად მთავრდება. 50 წამით ადრე ჩერქეზიშვილი კვლავ ამცირებს სხვაობას 6 ქულამდე 81:75, მაგრამ სდასუ-ს მეტის გაკეთება აღარ ძალუძს. გოგობერიშვილი და ჯაფარიძე ღირსეულად ასრულებენ „აზოტის" გზას ფინალამდე 88:76. გუნდებმა ძალიან კარგი თამაში უჩვენეს მაყურებელს. თამაზ ოქრუაშვილის გუნდმა მართლაც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია რუსთაველებს, მაგრამ ფაქტია, „აზოტი" დღესდღეობით უფრო ძლიერი გუნდია.

ოთარ ხმელიძე, რუსთავის „აზოტის" მწვრთნელი:

— სდასუ ძალიან კარგად გვეთამაშა. ჩვენს წინააღმდეგ დაცვა საზრიადან დააყენა და მოგება გაგვიჭირდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ფინალში დამსახურებულად გავედით. ახლა ყველაფერს ვიღონებთ, რომ ჩემპიონის ტიტული მოვიპოვოთ და რუსთაველი გულშემატკივრები გავახაროთ.

**— ბოისა ლიუბლიანის „ოლიმპიაში" აპირებს გადასვლას, ითამაშებს ფინალურ მატჩებში?**

— ვოვა, ალბათ, მალე წავა ჩვენგან, მაგრამ ფინალურ სერიას აუცილებლად ითამაშებს. რა დროს ბოისას გაშვებაა, როცა ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯია.

„აზოტი" — „ვითას" ფინალური სერია 28, 29 აპრილს და 5 და 6 მაისსაა დაგეგმილი. ფინალი სამ გამარჯვებამდეა, თუ ამ მატჩების შედეგი 2:2 იქნება, მეხუთე მატჩის თარიღს დამატებით გაცნობებთ.

**გია აგლაძე**

## მატჩის საუკეთესო მოთამაშე

## სარბიელის ვერსია

### ირაკლი ჯაფარიძე

ირაკლი წლევანდელ ჩემპიონატს ჩინებულად ატარებს და უდავოდ ერთ-ერთი უძლიერესია (თუ სულ უძლიერესი არა, წინ ფინალებია!) ამ ჩემპიონატში. მაგრამ სდასუ-სთან წინა ორი მატჩი ირაკლიმ მთლად ისე ვერ ითამაშა, როგორც შეშვენის. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რაც მან ამ ორ მატჩში გააკეთა, სხვისთვის საუკეთესო მაჩვენებელი იქნებოდა, მეოთხე მატჩი კი ირაკლიმ ჩვეულ სტილში ჩაატარა და საუკეთესო იყო შეხვედრაში.


გურამ [illegible] ფოტო

— სერია მოსალოდნელზე დაძაბული გამოდგა. პირველი ორი გამარჯვების შემდეგ ჩვენ სათანადოდ ვერ შევაფასეთ სდასუ-ს შესაძლებლობები და აკი წინა მატჩში დავისაჯეთ კიდეც. თუმცა, კონკრეტულად პლეი ოფისთვის მაინც „აზოტი" უფრო მომზადებული აღმოჩნდა. ნუ ეწყინებათ სდასუ-ელებს და დღესდღეობით ჩვენ უფრო ძლიერი გუნდი გვყავს. ფინალში უმძიმესი ბრძოლები გველის „ვითასთან". იმედია, გუნდი შეძლებს მობილიზებას და ჩემპიონობასაც მოვიპოვებთ.

# თსუ მეხუთეა, მაკაბი მეშვიდე

ვერის ბაღი.

საქართველოს მე-7 ჩემპიონატი

მატჩები მე-5 ადგილისთვის

**თსუ — ასკ 2:0**

**(91:80, 93:85)**

ამ წყვილში ფავორიტებად სტუდენტები იყვნენ მიჩნეულნი და პირველი მატჩი მოიგეს კიდეც. თუმცა, არმიელებს რამის იოლად დათმობა არ სჩვევიათ, რაც არაერთხელ დაუმტკიცებიათ და აკი მეორე დღეს ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს. მათ სწრაფად მოიპოვეს უპირატესობა. ჩინებულად მოთამაშე მინაშვილს კარგად აუბა მხარი მოისწრაფიშვილმა და საწყისი 2 წუთი არმიელებმა 8:0 მოიგეს. სტუდენტთაგან პირველი ჭიკო ქლენტი მოეგო გონს. მან ბურთი „დაიჭირა" და თანაგუნდელები კომბინაციურ თამაშზე „გადააწყო". ამის ლოგიკური გაგრძელება მისი ზედიზედ ორი 3-ქულიანიც იყო. ასკ შეეცადა, ბოლომდე გამოეყენებინა თავისი კოზირი — სწრაფი ტემპი და ამან კარგა ხანს შედეგი გამოიღო, მაგრამ მერე სრული ძალით ამოქმედდა ბაბიაშვილი, წოწელიამაც ხელი გამოიღო და ტაიმიც თსუ-ს გამარჯვებით დამთავრდა 52:46.

მეორე ტაიმში არმიელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ უფრო გამოცდილმა სტუდენტებმა უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს.

მატჩები მე-7 ადგილისთვის

**მაკაბი — შევარდენი 2:1**

**(101:82, 96:99, 76:75)**

მე-7 ადგილისთვის პირველი მატჩი „მაკაბიმ" იოლად 101:82 მოიგო, მეორე შეხვედრა კი დრამატული იყო. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა და „შევარდენმა" მხოლოდ მეორე ოვერტაიმში იმარჯვა, რაც ძირითადად გიგაურის (38 ქულა) კარგმა თამაშმა განაპირობა. ორმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა და მესამე, გადამწყვეტი დაინიშნა.

დასაწყისში უფრო აქტიურმა შევარდენელებმა ადვილად აუღეს ალღო „მაკაბის" ზონურ დაცვას, რაც ანგარიშშიც ასახეს. პირველი ტაიმიც მათი იყო 39:37. მეორეში მეტოქეები მონაცვლეობით გადიოდნენ წინ. თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ანგარიში იყო 67:67 და მთავარი მოვლენები ბოლო წამებზე განვითარდა. მაკაბელი ანდღულაძე მინიმუმამდე ამცირებს ანგარიშში სხვაობას 73:74. მერე ორჯონიკიძის ორი სროლიდან ერთია ზუსტი 73:75. 6 წამიღაა დარჩენილი, მაკაბელი ტალაბაძე პერსონალურებს ისვრის. პირველი სროლა ზუსტია, მეორე გაუცუდდა, თუმცა მანვე თავგანწირვით იბრძოლა ფარზე და ბოლო წამზე გამარჯვების მომტანი ორი ქულა შესძინა გუნდს — 76:75.

**გიორგი ბიკაშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი

# ჩიკაგოს ხელები მოეჭრა

**დეტროიტი 87:79 ჩიკაგო**

**(26:9, 22:26, 15:28, 24:16)**

**დეტროიტი: ჰანტერი (2), დუმარსი (17), ჰილი (17), რიდი (2), ბ. უილიამსი (25), სტეკჰაუზი (20), სილი (4), ჯ. უილიამსი, მაჰორნი**

**ჩიკაგო: ჰარპერი (7), ჯორდანი (19), ბარელი (16), როდმანი (2), უენინგტონი, კუკოჩი (15), ბაჩლერი (7), კერი (7), სიმპკინსი (4), ბრაუნი (2)**

ზედიზედ 13 წაუგებელი მატჩის შემდეგ ჩიკაგოს უიღბლობის პერიოდი დაუდგა. ეს სერია ჩემპიონმა თანადივიზიონელ კლივლენდთან შეწყვიტა. ამას მოჰყვა მოგება ნიუ ჯერსისთან და ისევ მარცხი ასევე ცენტრალურ დივიზიონელ მოსისხლე ინდიანასთან. მეზობელ დეტროიტში ჩემპიონები ინდიანასგან სირცხვილნაჭამნი და პიპენმოსაკლისებულნი ჩავიდნენ. სკოტის თირკმელებიდან კენჭები ამოულია და ამიტომ დააკლდა თავისიანებს. ჯორდანიც ვერ იყო მაინცდამაინც ხასიათზე. თუ ჩიკაგოს მარჯვენა ხელი, ჯორდანი, ხასიათზე ვერაა, ხარებს თამაში უჭირთ, ხოლო თუ ამას მარცხენა ხელის, პიპენის არყოფნაც ერთვის, მაშინ ჩემპიონი უეჭველად წასაგებადაა განწირული. ასე იყო დეტროიტშიც, სადაც ჩიკაგოს 22 ათასი კაცით გაძეძგილი „ობურნ ჰილი" დახვდა. დეტროიტმა სტუმრებს მშვენიერი გაკვეთილი ჩაუტარა, განსაკუთრებით პირველ მეოთხედში. ჩიკაგომ მისთვის კოშმარულ ამ 12-წუთეულში მხოლოდ ოთხი ბურთი ჩააგდო (22 სროლიდან) და 9 ქულასღა გამორჩა. დეტროიტი კი ბრწყინვალე იყო. მისი ლიდერი გრანტ ჰილი, რომელმაც 17 ქულასთან ერთად 10 პასი და 9 მოხსნაც გააზერხა, ჯორდანს აეწება და, ფაქტობრივად, ხელი არ გაანძრევინა. მაიკლმა 22 სროლიდან მხოლოდ 7 ჩააგდო, 10 საჯარიმოდან — 5 და სამი სამქულიანი ააცილა. „ეს საუცხოო იყო — ამბობდა თამაშის მერე გრანტ ჰილი — ჯორდანს ჩემზე ბატონობა სურდა, მაგრამ მე ვაჩვენე, რომ მასზე ნაკლები არ ვარ".

15 აპრილი

**კლიპერსი 80:92 გოლდენ სტ.**

**კლიპერსი: როჯერსი (17)**

**გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (27)**

ამ მატჩში მოპაექრე გუნდები მთელი სეზონი იბრძოდნენ, ატლანტის დივიზიონში ბოლო ადგილისთვის თავი რომ დაეღწიათ. მათი ბედი საბოლოოდ პირადმა შეხვედრამ გადაწყვიტა. მასპინძელი კლიპერსი ამ მარცხის შემდეგ საბოლოოდ მოექცა ცხრილის ფსკერზე, რაც გასაკვირი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში ლოსანჯელესელები პლეი ოფში გაძვრნენ. კლიპერსში დიდი ცვლილებები არც შემდეგშია მოსალოდნელი. მისი მძლეველები კი სულ სხვა აზრისანი არიან — „უკეთეს გუნდშიც ვყოფილვარ, მაგრამ ამ ბიჭებს ბევრი შეუძლიათ და შეძლებენ კიდეც. ჩვენ მომავალს იმედით ვუყურებთ" — თქვა „გოლდენ სტეიტის" მწვრთნელმა ფი-ჯეი კარლესიმომ.

**ფინიქსი 96:89 დენვერი**

**ფინიქსი: მაკდაიესი (25), ნეში (24)**

**დენვერი: ელისი (23+11 მოხსნა)**

ზედიზედ ცხრა მატჩის მომგებმა ფინიქსმა ლიგის უსუსტეს გუნდთან შეხვედრა ცოტა დაბნეულად დაიწყო და სტუმრებს ერთი ხანობა 11 ქულით გაუშვა წინ, მაგრამ დროულად მოეგო გონს გუნდის ოლსტარელი გამთამაშებელი ჯეისონ კიდი (14 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი), ვინაც მაკდაიესი და ნეში აიყოლია და წაუგებელი მატჩების სერია ერთით გაზარდა.

**ინდიანა 82:70 ატლანტა**

**ინდიანა: მილერი (22)**

**ატლანტა: სმითი (17)**

**მაიამი 87:99 ორლანდო**

**მაიამი: ჰარდევეი (22+11 პასი)**

**ორლანდო: ანდერსონი (24)**

ფლორიდულ დერბიში შაკილ ონილის ყოფილმა გუნდმა ორლანდომ თავი არ დაზოგა და მოგებით ნიუ ჯერსის დაწევის თეორიული შანსი დაიტოვა. ამ გუნდებს შორის ყველაფერი გუშინ, 17 აპრილს უნდა გარკვეულიყო, როცა ორლანდო ნიუ ჯერსის შინ შეხვდა.

**შარლოტი 109:103 ნიუ ჯერსი**

**შარლოტი: რაისი (21), დივაცი (20+12 მოხსნა)**

**ნიუ ჯერსი: კასელი (27+10 პასი), გატლინგი (25+12 მოხსნა), ვან ჰორნი (24)**

**ბოსტონი 109:117 მილუოკი**

**ბოსტონი: უოლკერი (24)**

**მილუოკი: ბრენდორი (22), კარი**

ორივე გუნდისთვის ყველაფერი ნათელია — ბოსტონიცა და მილუოკიც დამშვიდობებული არიან პლეი ოფის ციებცხელებას, ამიტომ თავიდანვე უარი თქვეს დაცვაზე და გულშემატკივართა გასახარად ლაღი თამაში გააჩაღეს, რაშიც სტუმარმა უფრო გამოიჩინა თავი.

**ვაშინგტონი: 101:93 კლივლენდი**

**ვაშინგტონი: მიურეი (25), ჰოვარდი (20), ჩინი (20)**

**კლივლენდი: ილგაუსკასი (25)**

კლივლენდის ძლევით ვაშინგტონმაც შეინარჩუნა პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსი. დარჩენილ ორ შეხვედრაში დედაქალაქელებს თანადივიზიონელ მაიამისთან და ბოსტონთან მოუწევთ თავის გამოდება.

16 აპრილი

**ვანკუვერი 97:110 სან ანტონიო**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი 32**

**სან ანტონიო: დანკანი (32+10 მოხსნა +6 დაფარება)**

ლეიკერსისგან გაბითურებულმა სან ანტონიომ კანადურ გუნდთან დაამტკიცა თავისი ძალა. მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს ტეხასელთა მთავარ იარაღს, ტიმ დანკანს, ისევე, როგორც სტუმრებმა აბდურ-რაჰიმს, მაგრამ დანკანს თანაგუნდელებიც წაეშველნენ, ვანკუვერელს კი მხარდაჭერა დააკლდა.

**გოლდენ სტ. 88:82 დალასი**

**გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (25), დელკი (22)**

**დალასი: ფინლი (20)**

**პორტლენდი 99:90 კლიპერსი**

**პორტლენდი: უოლესი (21), საბონისი (20+12 მოხსნა)**

**კლიპერსი: ოსტინი (23+11 მოხსნა), მიურეი (22)**

მასპინძელმა უოლესმა 21 ქულიდან 11 მატჩის ბოლოს გაუხერხა თავისიანებს.

**იუტა 99:86 საკრამენტო**

**იუტა: მელოუნი (21)**

**საკრამენტო: აბდულ-ვაჰადი (14)**

იუტას ლიდერი კარლ მელოუნი, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, სეზონის უძვირფასესად აღიარონ, ჩვეულად ვერ გაისარჯა, მაგრამ თავი მაინცდამაინც არ მოუკლავს. მისმა გუნდმა ყოველგვარი გართულების გარეშე სძლია მეტოქეს, რითაც ლიგის პირველ გუნდს, ჩიკაგოს გადაუსწრო.

**ნიუ იორკი 108:79 ტორონტო**

**ნიუ იორკი: ჯონსონი (26), მილზი (21+10 მოხსნა)**

**ტორონტო: კრისტი (14)**

მასპინძლებს ძალიან სჭირდებოდათ ტორონტოს ძლევა, ვინაიდან აღმოსავლეთში მეშვიდე ადგილზე გასვლის შემთხვევაში პლეი ოფის პირველ წრეში თავიდან იშორებდნენ ჩემპიონ ჩიკაგოს. ნიუიორკელებმა ერთობ გამოიდეს თავი და იოლად გაუსწორდნენ აღმოსავლეთში უსუსტეს გუნდს.

**ირაკლი ფირაშვილი**

აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო* | 60 | 20 | 75,0 |
| ინდიანა* | 57 | 23 | 71,3 |
| მაიამი* | 55 | 25 | 68,8 |
| შარლოტი* | 50 | 30 | 62,5 |
| ატლანტა* | 48 | 32 | 60,0 |
| კლივლენდი* | 46 | 34 | 57,5 |
| ნიუ იორკი* | 43 | 38 | 53,1 |
| ნიუ ჯერსი | 42 | 38 | 52,5 |
| ორლანდო | 40 | 40 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 40 | 40 | 50,0 |
| მილუოკი | 36 | 44 | 45,0 |
| დეტროიტი | 36 | 44 | 45,0 |
| ბოსტონი | 35 | 45 | 43,8 |
| ფილადელფია | 30 | 50 | 37,5 |
| ტორონტო | 16 | 64 | 20,0 |

დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა* | 61 | 19 | 76,3 |
| სიეტლი* | 60 | 20 | 75,0 |
| ლეიკერსი* | 59 | 21 | 73,8 |
| ფინიქსი* | 55 | 25 | 68,8 |
| სან ანტონიო* | 54 | 26 | 67,5 |
| პორტლენდი* | 46 | 34 | 57,5 |
| მინესოტა* | 43 | 37 | 53,8 |
| ჰიუსტონი* | 41 | 39 | 51,3 |
| საკრამენტო | 27 | 53 | 33,8 |
| დალასი | 20 | 61 | 24,7 |
| ვანკუვერი | 18 | 62 | 22,5 |
| გოლდენ სტეიტი | 18 | 63 | 22,2 |
| კლიპერსი | 16 | 65 | 19,8 |
| დენვერი | 10 | 70 | 12,5 |

* გავიდნენ პლეი ოფში

# ჩვენი წყალბურთი: აღდგომა და ხვალე

არცთუ დიდი ხნის წინათ წყალბურთიც ის სახეობა იყო, ქართველთათვის სიხარული რომ მოჰქონდა. მერე კი, ცნობილ მიზეზთა გამო, წყალბურთსაც ძალიან გაუჭირდა, ისე, რომ, შეიძლება ითქვას, სულს ღაფავს. ბოლო ხანებია, საქმე სასიკეთოდ დაიძრა, რისი ცხადი დასტურიც ეროვნული ნაკრების „მკვდრეთით აღდგომაა". სწორედ ეროვნული გუნდის სადღეისო პრობლემებზე, მის ავ-კარგსა და პერსპექტივებზე გვესაუბრება მისი მთავარი მწვრთნელი გელა ტუკვაძე.



**გელა ტუკვაძე**

დაიბადა 1961 წელს თბილისში
1977-90 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში"
1990-93 წლებში იყო საქართველოს ნაკრების მოთამაშე-მწვრთნელი, 1994 წელს მუშაობდა ნაკრების მთავარ მწვრთნელად
ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონი (1978) და ვიცე-ჩემპიონი (1980), 1979 წლის საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი

— დაახლოებით 3 თვეა, რაც ეროვნული ნაკრები შეიკრიბა. საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ გოიაშვილის ხელშეწყობით გამოგვეყო დრო „ლაგუნა-ვერეზე" საწვრთნელად და მთელი ამ ხნის მანძილზე ყოველ დღე ორჯერ ვვარჯიშობთ. სპორტის დეპარტამენტის ათლეტიზმის ბაზისა და „დინამოს" აუზის დარბაზებსაც ხშირად ვსტუმრობთ. მოთამაშეები დასახულ გეგმებს თავს ართმევენ, ასე რომ, მოსამზადებელი პროცესის მიმდინარეობა დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. ჩემთან ერთად მუშაობენ თენგიზ ივანიშვილი და მოთამაშე-მწვრთნელი ნოდარ ჩოლარია. მოკლედ, ჩვენთვის ყოველი დღე სამუშაოა, ბიჭებს უქმეები, ფაქტობრივად, არცა აქვთ.

**— ნაკრები სამი თვის წინ შეიკრიბაო, თქვით. მანამდე რა და როგორ იყო?**

— ორი წლის წინ, 1996 წელს ნათამაშევი ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი ჩვენი ნაკრებისთვის ბოლო იყო. ამჟამად კი ნაკრები კვლავ აღდგა.

საერთოდ, იმ პერიოდში შავ დღეში ვიყავით, საწვრთნელ ბაზებს ხომ ნუღარ იკითხავდით. დღეს კი მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. შარშან საქართველოს ჩემპიონატიც ჩატარდა და მოთამაშეებიც შევარჩიეთ. ახლა ეროვნულში არიან „დინამოს", თსუ-ს და „ნეპტუნის" მოთამაშეები. ნაკრების საბაზო გუნდი კი „დინამოა". გვყავს ლეგიონერებიც — იუგოსლავიიდან ჩამოვიდა ზვიად დავითიანი, ვისზეც დიდ იმედებს ვამყარებთ; გერმანიიდან — ირაკლი ტატიშვილი, მოსკოვიდან — ნიკოლოზ ჩიქოვანი, იტალიიდან — მეკარე ნიკოლოზ ასათიანი.

**— უახლოესი შეჯიბრება, რომლისთვისაც ემზადებით, რომელია?**

— ვემზადებით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის, რომელიც სლოვენიის ქალაქ კრანეში ჩატარდება 12-18 მაისს.

**— ყოველივე იმას, რაც ბრძანეთ, ფულიც საკმაო სჭირდება...**

— ის, რომ გუნდი ვარჯიშობს, უკვე დიდი საქმეა, მაგრამ ჩვენი ამჟამინდელი პირობები შორსაა სერიოზული მიზნების მისაღწევად საჭირო პირობებისგან. ყველა ეროვნული ნაკრები, რომელთანაც შესარჩევ ეტაპზე მოგვიწევს შეხვედრა, მანამდე დაახლოებით ოთხ ტურნირში მაინც იასპარეზებს. ჩვენ სამისო სახსრები არ გაგვაჩნია და შესაძლოა პირდაპირ თბილისიდან მოგვიწიოს ჩასვლა ამ სერიოზულ ტურნირზე. სათამაშო პრაქტიკა, ფაქტობრივად, არ გვაქვს, ეს კი ბევრ სიძნელეს შეგვქმნის. სათანადო პრაქტიკის გარეშე ძნელია სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი. და მაინც, მწვრთნელები იმედიანად ვართ და ვფიქრობთ, შევძლებთ საკვალიფიკაციო ბარიერის გადალახვას და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშს.

**— იმ საკვალიფიკაციო ეტაპზე რას გვეტყვით, ჩვენს ნაკრებს რომ ელის მაისში?**

— ამ ტურნირის მონაწილენი ორ ჯგუფად დაგვყვეს. ჩვენს ჯგუფში არიან ჩეხეთის, პოლონეთისა და შვეიცარიის გუნდები, მეორეში — სლოვენია, დანია, მოლდოვა და ლიტვა. გათამაშების ფორმულა კი ასეთია — ჯგუფებში გამარჯვებულთ ფინალურ ეტაპზე თამაში განაღდებული კი აქვთ, მაგრამ ისინი მაინც შეხვდებიან ერთმანეთს საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულის გამოსავლენად. ჯგუფებში მეორე-მესამე ადგილებზე გასულნი ჯვარედინი პრინციპით შეხვდებიან ერთმანეთს, ამათში გამარჯვებული ორი გუნდი კი შეუერთდება ჯგუფებში პირველ ორ გუნდს და ეს ოთხეული თურქეთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს განთესილ გუნდებთან ერთად.

**— რა შანსები აქვს ჩვენს ნაკრებს ამ ტურნირზე?**

— აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ფინალურ ეტაპზე. ჩვენს ამოცანას უთუოდ ართულებს ის გარემოება, რომ მეტოქეებზე ბევრი არაფერი ვიცით, მათი დღევანდელი დონის შესახებ ან ძველი, ჩემი მოთამაშეობისდროინდელი შთაბეჭდილებებით ანაც განაგონის მიხედვით ვმსჯელობთ.

**— მთავარ კონკურენტებად ვის თვლით?**

— პოლონეთს, მასპინძელ სლოვენიას, ლიტვას და მოლდოვას.

**— წეღან, ლეგიონერებზე რომ საუბრობდით, არ გიხსენებიათ რევაზ ჩომახიძე. რატომ?**

— ჩომახიძე ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს და თამაშობს. იგი ახლა იქაური მოქალაქეა და ამიტომ არ გვყავს ნაკრებში, თორემ ის რომ გუნდში მყავდეს, მაშინ რა მიჭირდა, შემეძლო მეთქვა, რომ ფინალურ ეტაპზე უკვე გასულები ვართ. ის უმაღლესი კლასის სპორტსმენია, 1993 წელს მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, მერე ოთხი წელი ფლორენციაში, იქაურ კლუბში თამაშობდა, ამჟამად კი მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდის ღირსებას იცავს.

**— არავის უცდია მასთან მოლაპარაკება საქართველოში დაბრუნების თაობაზე?**

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას განზრახული აქვს ოლიმპიადის შემდეგ ჩვენს ნაკრებში თამაში. ისე კი, მე მას, როგორც სპორტსმენს, ვერ გავამტყუნებ. ის მაღალი დონის სპორტსმენი, ტალანტია და შანსი აქვს, ბევრს მიაღწიოს საერთაშორისო სარბიელზე, რასაც საქართველოში დარჩენის შემთხვევაში ნამდვილად ვერ შეძლებდა. რეზო ახლა რუსეთის ნაკრების ლიდერია, რუსეთის ნაკრები კი საკმაოდ ძლიერია, ამიტომ მას ბევრის მიღწევაც შეუძლია. ჩომახიძეს ძალიან უნდა ოლიმპიადაზე ასპარეზობა და წარმატების მიღწევა. თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ამჟამად 24 წლისაა, შეიძლება ითქვას, რომ მას ოლიმპიადის შემდეგაც ბევრის გაკეთება შეუძლია ჩვენთვის.

**— ნაკრების დღევანდელი შემადგენლობიდან ყველაზე მეტად ვისი იმედი გაქვთ?**

— ლეგიონერ დავითიანისა და გალაქტიონ ლაითაძის. ლაითაძე შარშან ფინეთში თამაშობდა და იქაური ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეც გახდა. საერთოდ, მე ყველათი კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი სათამაშო პრაქტიკა არა აქვთ.

**— ბატონო გელა, იმ ხალხზეც ვთქვათ, ვინც მუშაობაში გეხმარებათ.**

— ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი ყოველმხრივ მხარში გვიდგას, შესაძლებლობის ფარგლებში გვეხმარება სპორტის დეპარტამენტიც, თუმცა მის მიერ გაწეული დახმარება ძალზე მცირეა. გვეხმარებიან აგრეთვე ბათუმის საზღვაო პორტი და ყოფილი წყალბურთელები გუგა ოსიპოვი და კახა კანდელაკი ფირმა „კოკა-კოლადან".

**— წყალბურთში ამდენ ხანს მოსაქმიანე ადამიანს როგორ გესახებათ ქართული წყალბურთის მომავალი?**

— უკეთესი მომავლის დიდი იმედი მაქვს. პირველი შედეგები უკვე არის, თანაც საკმაოდ სერიოზულიც. 1982 წელს დაბადებულ ქართველ ჭაბუკთა ნაკრები რუს თანატოლთა ღია ჩემპიონატის ფინალურ ოთხეულშია. საკმაოდ ნაყოფიერად საქმიანობენ „მართვეში". ბავშვთა მზადებას სერიოზული ხალხი უდგას სათავეში და ეს გვაიმედებს, რომ ერთ-ორ წელიწადში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები ექნება.



ნაკრები გვყავს და ვარჯიშობს

**ირაკლი თავაძე**



ამიერიდან, სიტყვა „ნოკაუტს" არა მხოლოდ კრივში, ჭადრაკშიც ხშირად გაიგონებთ ხოლმე. საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა, წლევანდელი, 58-ე ჩემპიონატი სწორედ ნოკაუტ-სისტემით, ნოკაუტ-მატჩებით ტარდება. ამნაირად ჩვენი მოჭადრაკეები პირველად თამაშობენ, ასე რომ, ალბათ დაგაინტერესებთ, რა არის და როგორ.

# ნოკაუტების მარათონი

რეიტინგის მიხედვით დაწყვილებული მეტოქენი ჯერ 2 პარტიას თამაშობენ კლასიკური ყაიდით ანუ 2-2 საათი 40 სვლაზე, შემდეგ კი თითო-თითო პარტიის ბოლომდე. თუ ამ 2 პარტიით გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ისევ 2, ამჯერად 25-25-წუთიანი პარტიებია სათამაშო. ვთქვათ, აქაც ფრეა, მაშინ 2 ბლიცის — 5-5-წუთიანი პარტიების ჯერია, ოღონდ თუ ვერც ამაში იმარჯვა რომელიმემ, ისევ ბლიცი იქნება პირველ გამარჯვებამდე. სხვათა შორის, სწორედ ამ ნოკაუტ-მატჩების სისტემით გამართა ფიდემ მსოფლიოს 1997 წლის პირველობა.

ჩვენი ვაჟი მოჭადრაკეების (თუმცა, არა მხოლოდ მათი — ჩემპიონატი ექვსმა ქალმაც დაამშვენა: ნინო ხურციძემ, მაია ლომინეიშვილმა, სოფიკო ტყეშელაშვილმა, რუსუდან გოლეთიანმა, სოფიკო ნიკოლაძემ და ნატო ეძგვერაძემ) ეს პირველობა ეტაპობრივია და ჯერ მხოლოდ პირველი ჩათავდა. საერთოდ კი, ჩემპიონატს ორმაგი მისია აკისრია. ერთი ისაა, რომ წლეულს, შემოდგომაზე მოჭადრაკეთა და ყალმუხთა პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის მშობლიურ ელისტაში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა უნდა გაიმართოს. ჩვენი ვაჟების ნაკრების 3 წევრის ვინაობა უკვე ცნობილი — ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, 58-ე ჩემპიონატმა კი ნაკრების კიდევ 2 წევრის ვინაობა უნდა გაარკვიოს (მეექვსეს ჭადრაკის ფედერაცია დაასახელებს). მეორე ამოცანად მოჭადრაკეებს ეს აქვთ: პირველ ოთხეულს მსოფლიოს პირველობის ზონალურ ტურნირზე გამოსვლის უფლება მიეცემა.

ჩემპიონატის პირველი ეტაპის პირველ წრეში 24 მოჭადრაკე ჩაება. ნოკაუტ-მატჩების შემდეგ 12 წაგებული ტურნირს დაემშვიდობა, 12 გამარჯვებულს კი დაემატა ამდენივე, უფრო მაღალი რეიტინგის მქონე და ახლა ამ 24-მა განაგრძო ბრძოლა მეორე წრეში ისევ ნოკაუტ-მატჩებით. მეორე წრის მერე 12 „გადარჩენილი" მესამეში ერთმანეთს ასე დაუწყვილდა: სოფიკო ტყეშელაშვილი — გიორგი ბალათუროვი, გენადი ზაიჩიკი — დავით შენგელია, მიხეილ მჭედლიშვილი — გიორგი ყაჭეიშვილი, ლაშა ჯანჯღავა — ალექსანდრე ყაშაშვილი, გიორგი ბახტაძე — ხვიჩა სუპატაშვილი, დავით ლობჟანიძე — ალექსანდრე დგებუაძე. ბალათუროვმა 2:0 მოუგო ტყეშელაშვილს, სუპატაშვილმა და დგებუაძემ კი 1,5:0,5 აჯობეს ბახტაძესა და ლობჟანიძეს. ჯანჯღავასა და ყაშაშვილის ძირითადი პარტიები 1:1 დასრულდა, 25-წუთიანებში ერთში ყაიმი იყო, მეორე ჯანჯღავამ მოიგო და 2,5:1,5 გაიმარჯვა. გამოცდილმა დიდოსტატმა ზაიჩიკმა ვერც ძირითად პარტიებში აჯობა შენგელიას და ვერც 25-წუთიანებში (2:2), ბლიცი კი ორივე წააგო და საბოლოოდ შენგელიამ 4:2 მოიგო. ყაჭეიშვილმა და მჭედლიშვილმა ყველაზე დაძაბული მატჩი გამართეს. ექვსივე „სამნაირი" პარტია ყაიმით დაასრულეს, გადამწყვეტ ბლიცში კი ყაჭეიშვილმა იძალა და 4:3 გაიმარჯვა. აი, ასე გამოვლინდა პირველი ეტაპის ექვსი გამარჯვებული: ბალათუროვი (რეიტინგი 2535), ყაჭეიშვილი (2520), ჯანჯღავა (2495), სუპატაშვილი (2490), დგებუაძე (2470) და შენგელია (2360), რომელთაც მეორე ეტაპზე გია გიორგაძე (2605) და ზურაბ სტურუა (2595) დაემატებიან და ეს რვა მოჭადრაკე 30 აპრილიდან საქართველოს ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად იბრძოლებს. რეიტინგმა მეორე ეტაპის პირველი წრისთვის მეტოქენი ასე დააწყვილა: გიორგაძე — შენგელია, სტურუა — დგებუაძე, ბალათუროვი — სუპატაშვილი, ყაჭეიშვილი — ჯანჯღავა. ამ წყვილების ოთხი გამარჯვებული მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირზე ითამაშებს, საქართველოს ჩემპიონის ვინაობას კი 10 მაისს შევიტყობთ.

**რამაზ ცერცვაძე**

# ჩემპიონს ზევრის უფლება აქვს

14 აპრილს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის. შემადგენლობა საკმაოდ წარმომადგენლობითია. 36 მოჭადრაკეს შორის არიან დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი, საერთაშორისო ოსტატები თამარ ხმიადაშვილი, მირანდა ხორავა, ინგა ხურცილავა, სოფიო ნიკოლაძე და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ჩვენი ქალთა ჭადრაკის ამომავალი ვარსკვლავები: რუსუდან გოლეთიანი და 14 წლის ანა მათნაძე, რომლებიც ბოლო ხანებში მიღწეული შედეგებით გვაიძულებენ ვირწმუნოთ, რომ ამ ტურნირში, შესაძლოა, პოტენციური მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობს.

ტურნირის მთავარი მსაჯის მოადგილის ევგენი მელიქსეთ-ბეგის თქმით, უძლიერესი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულთან ერთად მომავალ საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა ნაკრებში IV, სათადარიგო დაფაზე თამაშის უფლებას მიიღებს. გარდა ამისა, პირველ სამ ადგილზე გასული მოჭადრაკეები მსოფლიოს ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში მონაწილეობას დაიმსახურებენ, თუმცა, ბევრი რამაა დამოკიდებული ფიდე-ს მორიგ რეიტინგ-ლისტზე, რომელიც იღბლიან შემთხვევაში საშუალებას მოგვცემს ზონალურ ტურნირზე სამზე მეტი მოჭადრაკეც მივავლინოთ.

ჩემპიონატში უკვე სამი ტური გათამაშდა. ქულათა მაქსიმუმით ლიდერობენ ლომინეიშვილი და სოფიკო ტყეშელაშვილი. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან სოფიკო ტერელაძე, ნატო ეძგვერაძე, ლელა ჯავახიშვილი და ნიკოლაძე.

მე-4 ტურის ცენტრალური პარტია ლიდერებს შორის გათამაშდება. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ტერელაძე — ეძგვერაძისა და ჯავახიშვილ — ნიკოლაძის პარტიები.

**დავით გულუა**

# მადლობა მადლისთვის

ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ფალავანი ლევან თედიაშვილი და მისი ოჯახის წევრები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სამშობლოს სიყვარულით და სიქველით. თედიაშვილების ოჯახმა ეს, უწინარესად, სამშობლოს შეწირული ვაჟკაცობით დაამტკიცა, ქველი საქმით ხომ, ვინ მოთვლის, რამდენჯერ... 1992 წელს ბატონ ლევანს აკი წლის უპირველესი მეცენატის ტიტულიც მიენიჭა. ქართველთა საამაყო ფალავანს კეთილი საქმის კეთებაში მეუღლეც მხარში უდგას. ერთი თვის წინ, ლევან თედიაშვილის 50 წლის იუბილის დღეებში ქალბატონმა ნანამ, როგორც ავტორ-შემდგენელმა, გამოსცა წიგნი „ლევან თედიაშვილი — ფალავანი და მოქალაქე", რომლის შემოსავალი მთლიანად მოხმარდება მართლაც საჭირო და საშურ საქმეს — გაზეთ „ფალავანის" გამოცემას.



ქალბატონ ნანა მჭედლიშვილისთვის სიქველე ჩვეული საქმეა

რა გასაკვირია, რომ სახელოვანი ფალავნის მეუღლემ, ქალბატონმა ნანა მჭედლიშვილმა, პროფესიით ოფთალმოლოგმა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, კარგად უწყის ჭიდაობის ყადრი და მადლი, მაგრამ მან ისიც ჩინებულად იცის, რომ ჩვენს ჭიდაობას, მის უმდიდრეს ტრადიციებსა და დღევანდელობას, თავისი „მცირე მატიანეც" სჭირდება და სწორედ ამიტომ შეეწია გაზეთ „ფალავანს", რისთვისაც ჭიდაობის ქომაგთაგან დიდი და წრფელი მადლობა ეკუთვნის.

**ზვიად შევარდენიძე**



# ნაგანო რუსთაველზე



ავთანდილ გურასაშვილი

თურმე გოგი თოფაძეს, საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელს, დღემდე ურეკავენ და საყვედურობენ: ეგ საქმე უჩვენოდ როგორ გადაწყვიტეთ, საოლიმპიადო დელეგაციაში რატომ ჩვენ არ ჩაგვრთეთ და ნაგანო არ გვაჩვენეთო. აბა, ერთი, წარმოიდგინეთ, რამდენ ქართველს გაუჩნდებოდა სანაგანოე სურვილი. ათასიც რომ წაეყვანა, მომდურავი და მოწუწუნე მაინც არ დაილეოდა.

გოგი თოფაძე, მოგეხსენებათ, წინდახედული და პრაქტიკული კაცია: ერთი ჩვენი კოლეგა ამოირჩია, იმას უსპონსორა და უპატრონა, ხელის გულზე ატარა და ამანაც საქმე გაუჩარხა.

ნაგანო თბილისში ჩამოუტანა!

განა მარტო ერთი-ორი ქუჩა და სახლი, მთელი ნაგანო — თავისი ცენტრითა და გარეუბნებით, ტაძრებითა და მთებით, სპორტული დარბაზებითა და სათხილამურო ტრასებით, სტუმრებითა და მასპინძლებით, სპორტსმენებითა და მაყურებლებით, ჰოკეითა და ციგურაობით.

ეგ კი არა, იაპონიის იმპერატორი და იმპერატრიცაც თბილისში გვაახლა.

ავთანდილ გურასაშვილზე და მის პერსონალურ ფოტოგამოფენაზე მოგახსენებთ.

აბა, ახლა გამოტყდით: ვის უნდოდა ნაგანოს ნახვა? თამამად, თამამად, ნუ მოგერიდებათ. რა პრობლემაა. მოდით რუსთაველის თექვსმეტში და იხილეთ ნაგანო.

დედაქალაქის დედაქუჩაზე — TMS-ის საგამოფენო დარბაზში.

სპონსორი არ დაგჭირდებათ — შესვლა თავისუფალია. და საერთოდ: სპონსორებს ნუ გაუთამამდებით. მით უმეტეს, ნუ გაუბრაზდებით და ნუ უსაყვედურებთ. ისინი ჩვენს პატივისცემას იმსახურებენ.

განიმსჭვალეთ მადლიერებით და აღტაცებით.

ხუთი ათას დოლარად სულ ცოტა ხუთი ათასმა კაცმა „იმოგზაურა" იაპონიაში — წინა ორშაბათიდან შაბათამდე. მეგზური ჩინებული გვყავდა: ავთანდილ გურასაშვილი. კაცი, რომელიც მართალია, თავს არ მიიჩნევს პროფესიონალ ფოტორეპორტიორად, მაგრამ ხუთ ფოტოკონკურსში მონაწილეობდა და ხუთივეჯერ პრემია დაიმსახურა.

ავთანდილ გურასაშვილს უფრო მისი წერილებით და წიგნებით იცნობენ, ვინემ — ფოტოებით. არადა, კალამზე ნაკლებ არც თვალი უჭრის.

გაიარეთ რუსთაველზე და ამაში თავად დარწმუნდებით.

**ელგუჯა ბერიშვილი**

## მაიკლ გერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი მეთერთმეტე

# იყო სიცილიანი და დიდი მოკრივე

### ჰოსპიტალში

მაიამი ბიჩის ერთ-ერთ ჰოსპიტალში რომ კვდებოდა, ჭაღარა, კეთილთვალება ზანგი, ცალი თირკმელი სულ არ ჰქონდა, მეორე კი ველარაფერში ეხმარებოდა. მერე ზანგი აღესრულა. ეს იყო ზუსტად ორი წლის წინათ, განსვენებული 59 წლისა იყო და მაიამურმა ტაბლოიდებმა ნახევარსვეტიანი ნეკროლოგები მიუძღვნეს მის განვლილ ცხოვრებას.

სპორტში ხშირად ხდება ხოლმე ასე და არც კრივია გამონაკლისი: ჩვენს გვერდით დიდი კაცი გაჩნდება ხოლმე, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამოისობით მას ძნელად ვამჩნევთ. ალბათ, ღმერთს არ მოუმადლებია მისთვის ყვირილის, ხალხში ტრიალის, შოუმენობის ნიჭი. ხშირად ასეთი კაცი ათასებში ჩაიკარგება ხოლმე თავისი სიჩუმის წყალობით. მისი ოსტატობა და არტისტიზმი კი მხოლოდ ერთეულებისთვის რჩება სამახსოვრო.

ის ზანგიც ასეთი გახლდათ. მას ლუის როდრიგესი ერქვა და მაიამიში კუბიდან გადმობარგებულიყო.

პროფესიული კრივის ერთ-ერთ საშუალო წონაში, „ველთერში" მოღვაწეობდა 60-იან წლებში და როგორც იმ დროის საკრივო მწერლები ოხუნჯობდნენ, ლუისი იყო საუკეთესო ვინმე კუბის რევოლუციამ რომ გადმოისროლა ამერიკაში.

უკან მოსახედიც ჰქონდა: 121 ბრძოლა, აქედან 107 გამარჯვება, აქედან ნახევარზე მეტი ნოკაუტით. მაგრამო, იტყვის კრივის მავანი ლირიკოსი, ეს მხოლოდ ის არის, რაც ნებისმიერ საკრივო ცნობარში წერია როდრიგესის გვარის გასწვრივ და მეტი არაფერიო. ჩვენც მანდა ვართ, სტატისტიკა საჭირო მეცნიერებაა, მაგრამ კაცის ცხოვრებას ვერ აღწერს.



ასე უქნევდა თავის გრძელ მკლავებს ლუისი: ოლიმპიური გმირი სკიტერ მაკკლური მედისონ სკვერში გაილახა

ყოფა და ბუნება აწგარდაცვლილი კუბელისა კი ნაღდად იმსახურებს გახსენებას.

ის ჩემპიონიც იყო.

ჩემპიონი(ც). მაგრამ ტიტულებითაც ვერ აღწერ ამ წყნარი კაცის ცხოვრებას.

### მხიარული და მაგარი

ვის, ვის და, საკრივო საქმე ანჯელო დანდის მოეკითხება. ყველამ ვიცით, რომ ამ სახელოვან მწვრთნელს მუჰამედ ალი — კასიუს კლეი გაუზრდია. ვიცით, რომ დანდი ბიჭს შეხედავდა და სათვალის სწორებით წაიბურტყუნებდა: „მე ამისგან გავაკეთებ...". ლუის როდრიგესი პროფესიონალად კუბაზე შეიქნა, მაგრამ 1959 წელს, 22 წლისა ამერიკაში ჩამოვიდა, რახან ხედავდა, რომ სიერამაესტრას მთებიდან ჰავანაში შემოვარდნილი ფიდელის ლაშქარი მის პროლიცენზიას თავზე გადაახევდა.

ამერიკაში პირველი ჩხუბი „ველთერის" ოდინდელ ჩემპიონ ვირჯილ აკინსს გაუმართა და ქულებით მოუგო. ამის შემდეგ როდრიგესი ანჯელო დანდის ხელში აღმოჩნდა. კარიერის უკეთესი წლები სწორედ მის ხელში გაატარა.

დანდის შეუძლია საათობით ილაპარაკოს ლუისის შესახებ. მოხუცმა ხომ ყველაფერი იცის, მას ყველაფერი ახსოვს.

ანჯელო დანდი: „ოქრო, ოქრო ბიჭი იყო. საუცხოო ადამიანი. ერთი ხალისი იყო მის გვერდით ყოფნა. ალის ძალიან უყვარდა, რადგან ლუისი მოცინარი და მხიარული ვინმე იყო. მე ასე მგონია, რომ ალიმ ბევრი რამ შეითვისა მისი ხასიათიდან. როცა ლუისზე ვლაპარაკობ, ჯერ კაცი მახსენდება, მერე მისი საკრივო ოსტატობა. იმგვარი ხასიათი ჰქონდა, რომ ჯერ მისი მოცინარე სახე დამიდგება ხოლმე თვალწინ. მაგრამ ის გამორჩეული მოკრივე იყო. ასეთები ახლა აღარ არიან. იშვიათია ასეთი ტექნიკა და არტისტიზმი, ასეთი სისწრაფე.

ის მოწინააღმდეგეს სწორედ თავისი არტისტიზმით და მოუღლელობით თრგუნავდა. ერთხელ ჰურაკან კარტერმა ვერაფერი რომ მოუხერხა, წელზე შემოაჭდო ხელები და რინგიდან გადააგდო.

ვინ იყო ლუისი? „ველთერის" ტანხმელი მოკრივე. მისი თავისებურება ის გახლდათ, რომ ყველასთან შეეძლო კრივი. განა ეს ბევრს ხელეწიფება? წონაში რომ მოიმატა და საშუალო წონის დივიზიონში გადაბარგდა, არავისთან ერიდებოდა ჭიდილს. ვინც კი ძაან ბიჭი იყო საშუალო წონაში, ყველას ეკრივა. ჰურაკანს აჯობა, ბენი ბრისკი ორჯერ წააქცია... კაცი იყო, ნამდვილი მებრძოლი..."

### ბედი და იღბალი

ის არ იყო ხმაურიანი კაცი.

იგებდა და აგებდა. სხვას უკეთ გამოუვიდოდა საჩემპიონო საქმე, მას კი თავისი ფიქრები ჰქონდა.

რომში რომ ეკრივა ნინო ბენვენუტის, 60-იანი წლების საშუალო წონის მეფეს, მისი ცხოვრების და ხასიათის საუცხოო გამოხატულება იყო.

ნინო ბენვენუტი იტალიური კრივის სიმბოლო იყო, საჩემპიონო ბრძოლა რომში ტარდებოდა, რეფერიც იტალიელი იყო.

არ არსებობდა ლუის როდრიგესის მომრევი კაცი ხანგრძლივ, მომქანცველ ბრძოლაში. ლუისი არ იღლებოდა. თუ ის თავის ტაქტიკას არ უღალატებდა, უეჭველად გაიმარჯვებდა.

რომშიც ასე იყო: მერელა დათვალეს — თორმეტრაუნდიანი ბრძოლის თერთმეტი რაუნდი როდრიგესს პირწმინდად მოეგო ბენვენუტისთვის.

მეთერთმეტე რაუნდი რომ დამთავრდა და ლუისი კუთხეში ჩამოჯდა, დანდიმ ყურში ჩაჰყვირა: „ასე გააგრძელე! მშვიდად დაამთავრე! მოგებული ხარ!" მაგრამ კუბელმა თავი გააქნია უარის ნიშნად: „უნდა წავაქციო" — სუნთქვას ამოაყოლა ორი სიტყვა. „არა, არა, შორიახლოს დაუდექი, არბენინე..."

ცხოვრებაში ბევრი ნოკაუტი მოეხერხებინა, მაგრამ ასეთი დონის ჩხუბებში არცერთი. არ იყო „ქეიოპანჩერი", „ბოდიპანჩერი" კი დიდებული გახლდათ, სწორუპოვარი.

და გავიდა იმ მეთორმეტე რაუნდში და თავზეხელაღებით შეუტია. ბენვენუტის არც ჰქონდა გამოსავალი. მან ისეთი ცაცია ჰუკი მოიქნია, რომ ლუისს რომ არ მოხვედროდა, მომქნევი რინგიდან გადავარდებოდა. მოქნევის წამს იტალიელს არცერთი ფეხი არ ედგა ფიცარნაგზე.

ლუისი წაიქცა. იტალიელი მსაჯი თავს წამოადგა და თვლა დაიწყო: „უნ, დუე, ტრე..."

ძალიან სწრაფად ითვლიდა. გასაგებია, იტალიელი იყო. დანდი კი კუთხეში იდგა და ფიქრობდა: „მორჩა, გათავდა..."

ძალიან კუბელი იყო, ძალიან ზანგი, ძალიან მხიარული და ძალიან გულუბრყვილო.

დღეს რომ ეკრივა?

„მთელს დივიზიონს გაწმენდდა. ყოფას უტირებდა ცრუ მებრძოლებს. გამოაჩენდა, კლასი რაც არის" — ესეც ანჯელო დანდის სიტყვებია.

### რატომ იყო ძლიერი

მართლაც უცნაური იყო:

ლუის როდრიგესი გახლდათ დიდი, დიდებული მოკრივე, შესაბამისი პატივი და ღირსება კი არ რგებია.

რა აკლდა? ბედი, იღბალი თუ ხასიათი.

კრივის სახელმოხვეჭილი მეისტორიე ჰენკ კაპლანი ასე გვიამბობს: „ის ერთ-ერთი უდიდესი მოკრივე იყო. შუგარ რეი რობინსონის შემდეგ არ მინახავს მებრძოლი, ასე რომ სცოდნოდა კრივი. არც ასეთი დახვეწილი და აკურატული მინახავს ბევრი. ის არ იყო კუნთებით თავმომწონე ჯეელი. გრძელი, ხორციანი მკლავები ჰქონდა, უსწრაფესი დარტყმა და მოქნილი წელი. მას, რინგზე მდგომს, ხიფათის ზონას, ელექტროობის გამანაწილებელ ჯიხურს ვამსგავსებდი, ოღონდ გამაფრთხილებელი ნიშნების გარეშე"

და აი, რატომ იყო ის გამორჩეული და დიდი მოკრივე: მისი საკრივო გაქანება წონას, დივიზიონს სცდებოდა. ხომ დიდებული იყო მარვინ ჰაგლერი? მაგრამ ეს იმ თავისი კონკრეტული წონის იქით ნული იყო. ლუისი კი ეჰა! ლუისი, ლუის როდრიგესი ეს სხვა რამ გახლდათ.

მისი დარტყმის ძალა არ იყო სანიმუშო. ეს არ იყო ვარსკვლავის ძალა. ამბობდნენ კიდეც, მისი დარტყმის ძალა პირდაპირ ჰკიდია მის კეთილ ბუნებაზე, ასეთი ხასიათის კაცი მონოკაუტედ და ქილერად ვერ იქცევაო. სამაგიეროდ, მან სხვა რამ მოიტანა კრივში — სისწრაფე. სწორედ მან დაანახვა საკრივო სამყაროს, რომ კრივი მხოლოდ მუშტი არ იყო.




ლუის როდრიგესი ძველ სარეკლამო ფოტოზე

დანდიმ რომ გვერდიგვერდ ახსენა ისა და ალი, არაფერი შეშლია. მათი პრინციპი ერთი იყო, ალის სხვაც მეტი ღირსება ჰქონდა, მაგრამ სისწრაფე, მოქნილობა და აზროვნება ერთმანეთთან აახლოვებდა ამ ორ განსხვავებულ მებრძოლს.

ლუის როდრიგესს არასოდეს ჰქონია ტანჯული სახე. რინგზე ის არასოდეს განადგურებულა. წაგების შემთხვევაშიც კი ის ჩხუბში წაუგებელი იყო.

თუმცა, აქაც არის გამონაკლისი: ოთხი შეხვედრა გრიფიტთან.

### გრიფიტი

აბა, ეს იყო არაადამიანური შავი აგრესია, ლამის მარადიული მეფე „ველთერის" წონისა. ემილ გრიფიტს ჰქონდა ერთი საუცხოო თვისება, მისი ორთაბრძოლები ყოველთვის მისი წესებით, მისი ტაქტიკით მიმდინარეობდა. მოგვიანებით, მასაც წაუგია, იგივ ნინო ბენვენუტისთან, მაგრამ ეს მერე იყო.

როდესაც ეს ორი საუცხოო მოკრივე პირველად შეხვდა ერთმანეთს, 1960 წელი იდგა. გრიფიტმა ორიოდ დარტყმით, ერთი მსაჯის გადაწყვეტილებით აჯობა როდრიგესს. ძალიან მძიმე ათრაუნდიან ბრძოლაში.

სამი წლის თავზე პრეტენდენტმა როდრიგესმა კიდევ გამოიწვია ჩემპიონი გრიფიტი. ადრეულ რაუნდებში ლუისმა დაჯაბნა გრიფიტი, მაგრამ, იმის აგრესიამ თავისი გაიტანა და რომ არა გონგი, ის ტიტულს დაინარჩუნებდა.

ლუის როდრიგესი ჩემპიონი გახდა!

მაგრამ ჩემპიონად მხოლოდ ორმოცდახუთი დღე იყო. ესეც ლუისის ბედი იყო.

რევანში „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართა, ასე ვთქვათ, ემილ გრიფიტის ტერიტორიაზე. ამ ლეგენდარულ დარბაზში გრიფიტს სულ სხვა სული და ძალა ეძლეოდა. ნიუ იორკი გრიფიტის ადგილი იყო და ლუისმა წააგო, წააგო ისევ მსაჯთა თვლით.

პრესლოჟაში ოცდაოთხი კრივზე მწერალი იჯდა. ჩვიდმეტმა ამათგანმა ლუისის სასარგებლოდ დათვალა დარტყმები. ხმაური დიდი იყო. ლუისს კი არაფერი უთქვამს, მხოლოდ დანდიმ მიუგო რეპორტიორებს: „ლუისი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ნებისმიერის დამარცხება შეუძლია. რაც შეეხება გრიფიტს, ნიუ იორკში ტყვიამფრქვევით თუ წააქცევ."

მეოთხედ ლას ვეგასში შეებნენ ერთმანეთს ერთი წლის თავზე. ამასობაში, გრიფიტის დარტყმით უკვე მომკვდარიყო პრეტენდენტი ბენი „კიდ" პარეტი.

ესეც უმძიმესი ბრძოლა იყო. ორივე მოკრივე დაისაჯა ქამარსქვემოთა დარტყმებისთვის. კვლავ ძველი სურათი იდგა: როდრიგესი კვლავ თავისებურად კრივობდა, გრიფიტი კვლავ ძალაზე იყო. და კვლავ დათვლა: 69-67, 70-68, 70-71 გრიფიტის სასარგებლოდ.

ამის შემდეგ როდრიგესი საშუალო წონაში გადაბარგდა. მალე, გრიფიტიც მას მიჰყვა...

ასეთი იყო მისი ბედი და იღბალი, თუ უიღბლობა.

### მოგონებანი

ძმაკაცები ჩამოსხდებიან და ჰყვებიან ლუის როდრიგესის ამბავს.

მაიამელთა კუბური თემი [illegible] არის და ძლიერიც. დასხდებიან და ჰავანას იხსენებენ.

„ლუისი ძალიან ნიჭიერი კაცი იყო" — ამბობს ენრიკე ესპინოსა, ძველი საკრივო მწერალი და ლუისის ძმაკაცი — „საოპერო ხმა ჰქონდა, საუცხოოდ ცეკვავდა. კუბის ტელევიზიის ნამდვილი გმირი გახლდათ. მერე კასტრო მოვიდა და ყველანი აქეთ გამოვიხიზნეთ. ეჰ, ის საუცხოო მსახიობიც იქნებოდა, საუცხოო წამყვანიც, კრივი არჩია..."

ლუის როდრიგესს იმ თავისი კეთილი ხასიათის წყალობით, ცუდისმთქმელი არ დაუტოვებია ქვეყანაზე. ერთხელ საკრივო მესვეტემ კლურ მოშერმა დაუწერა გაზეთში, მაგას ნოკაუტით მოგება არ ძალუძს, ერთი ქეთინო ბიჭიაო. ერთხელაც, ლუისი კლდედ შერაცხულ კარლ ჰაბარდს ეკრივებოდა და მეოთხე რაუნდში წააქცია კიდეც. ხმაური, ერთი ამბავი, ლუისი კი თოკებთან მოდის და პრესლოჟისკენ იცქირება.

„კლურ, კლურ" — ყვირის ლუისი — „ეს კაცი რეფერიმ ჩააგდო ნოკაუტში."

არა, ბევრი შთამბეჭდავი ბრძოლა გადაუხდია.

როგორ გგონიათ, ვინ აღიარეს 1960 წელს ამერიკის საუკეთესო ოლიმპიურ მოკრივედ? მუჰამედ ალი? არა, ვილბერთ „სკიტერ" მაკკლური. ის წამსვე პროდ გარდაისახა და ზედიზედ მოიგო 14 ორთაბრძოლა. მერე ლუის როდრიგესი დაუხვდა, პირველადაც წააგო, მეორედაც და თქვა: „კუბელს აღარ შევხვდები. არაადამიანურად სწრაფია."

და რაღა უქნა დენი მოიერს, რომელიც ჩემპიონთა ცემით იყო ცნობილი? არც კი ალაპარაკა. მეცხრე რაუნდში დააგდო და მანამდე მთელი რვა რაუნდი ნელ-ნელა აცლიდა ღონეს.

ოცდათოთხმეტი წლისა იყო, როცა ტონი მანდინი დასცა, პირველსავე რაუნდში. ტონი უკვე ქვემძიმეწონოსნად ითვლებოდა.

სხედან და ჰყვებიან, ესპინოსას და ფრედი პაჩეკოს გულისტკივილი აქვთ.

ერთი ის, რომ ლუისი აღარ არის, და მეორე, ვინ აღარ შეუყვანიათ კანასტოტას კრივის დიდების დარბაზში და ლუის როდრიგესისთვის კი იქ ადგილი ვერ მოუნახავთ.

„აბა, ვინ უნდა იყოს იქ?" — ცხარობს კაპლანი — „მაგრამ ლუისი ხომ ჩუმი და კეთილი კაცი იყო. ალბათ, ამიტომაც დაავიწყდათ."

„დაავიწყდათ?" — კითხულობს ემილ გრიფიტი — „მე ის არასოდეს დამავიწყდება. მან შემშალა. იყო თუ არა დიადი მოკრივე? ამას რა კითხვა უნდა? ის იყო ყველა დროის, უნივერსალური მებრძოლი. ათობით კაცი, ჩემი ჩათვლით, მას რომ დაუჯაბნია. დიდების დარბაზის წევრის პატივშია, ის კი არა, გაგიჟდები კაცი..."

### მას უნდოდა

სიკვდილამდე ორი დღით ადრე ლუის როდრიგესს სტივ გორდონმა დაურეკა.

გორდონი ის კაცია, ინტერნეტში რომ „კიბერ ბოქსინგ ზონ ვებსაიდს" ჩაუყარა საფუძველი. დიდების დარბაზზე ჩამოუგდო სიტყვა. ლუისს ტკივილი სტანჯავდა, მაგრამ ძლიერი, გაუტეხელი ხმა ჰქონდაო, იგონებს ეს კაცი. სულაც არ ვფიქრობ ემაგ დიდების დარბაზზე, ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი ამბებიც არსებობსო.

ასეთი ბიძაკაცი იყო, სამოცისა ვერ შესრულდა.

ფრედი პაჩეკომ, მისმა ძველმა მეგობარმა და მხატვარმა მაიამიში თავისი ნახატი ჩამოიტანა.



ეს ბრძოლა ემილ გრიფიტის წინააღმდეგ ლუისმა ქულებით მოიგო. თუმცა გრიფიტის მუშტი არაერთხელ მოხვდა ცხვირ-პირში

ზედ საკრივოდ ჩაცმული ლუისი გამოხატა.

ეს არ იყო საკრივო სურათი, ეს უფრო გაცინებული ლუის როდრიგესი იყო.

„ასეც უნდა ყოფილიყო" — თქვა ესპინოსამ — „მას უნდოდა, რომ ასეთი დაგვხსომებოდა. ასეთი იყო და იმიტომ."

და მართლაც, ლუის როდრიგესი ასეთად უნდა ახსოვდეთ — გაცინებული, კეთილ კაცად, რომელიც, სხვათა შორის, დიდი მოკრივე იყო.

რეგულარული ჩემპიონატი

# ვარსკვლავები შანსს იყენებენ

**დალასი — დეტროიტი 3:1**

**შაიბები: ადამსი 13 (1:0), ნაბლი 7 (1:1), ვერბიკი 29 (2:1), ვერბიკი 30 (3:1)**



აიზერმანისა და ლარიონოვის არყოფნაში სერგეი ფიოდოროვი (91) ვეღარ ხეირობს

მავანთა აზრით, ამ მატჩის მოსაგებად ლიდერები მაინცდამაინც თავს არ მოიკლავდნენ, რადგან ბოლო წლებში ჩემპიონატში გამარჯვება პლეი ოფში უიღბლობის მომასწავებლად იქცა (90-იან წლებში მხოლოდ რეინჯერსმა (1994) შეძლო ჩემპიონატისა და თასის მოგება). ამიტომ საკმაოდ ინერტული თამაში იყო მოსალოდნელი, მაგრამ პირველივე წუთებიდან უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა და ეს უფრო სტუმართა დამსახურება იყო: ისინი ბევრს უტევდნენ და დარტყმების რაოდენობითაც თითქმის სამჯერ აჯობეს მეტოქეს (45-16), მაგრამ მათ თავდასხმას აშკარად ეტყობოდა დაშავებული პლეიმეიკერების — სტივ აიზერმანისა და იგორ ლარიონოვის არყოფნა. გარდა ამისა, საუცხოოდ ითამაშა მასპინძელთა მეკარე ედ ბელფორმა. დეტროიტელთაგან განსხვავებით, „ვარსკვლავებმა" თითქმის ყველა რეალური შანსი გამოიყენეს და ადამს — ნუინდაიკ (3 პასი) — ვერბიკის სამეულიც ჩინებულად გაუძლვა გუნდს. მატჩის ბედი 46-ე წუთზე გადაწყდა, როცა ვერბიკმა შეუმჩნევლად შეუცვალა მიმართულება მცველ სიდორის მიერ დარტყმულ შაიბას და დალასმა ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი დღით ადრე გაინაღდა კონფერენციაში გამარჯვება.

ოდესმე ყველაზე ხანგრძლივი ტრადიციაც კი ირღვევა. ეს სამწუხარო ხვედრი ჩიკაგომაც გაიზიარა, რომელიც 28 წლის განმავლობაში პირველად აღმოჩნდა პლეი ოფის მიღმა. ტორონტოს მიერ ჩიკაგოელთა ძლევამ (სხვათა შორის, სწორედ ტორონტომ გადაუწურა აღმოსავლეთში ფინალური საგზურისთვის მებრძოლ კაროლინას იმედები) ცხადი გახადა, რომ „ქორები" ვეღარ გაუტოლდებოდნენ ლიგის რეკორდის მფლობელ ბოსტონს, რომელმაც შარშან შეწყვიტა თავისი 29-წლიანი საპლეიოფო სერია. ჩიკაგოელებს არც წამყვანი ცენტრის, ჟამნოვის დაბრუნება წაადგათ. მიუხედავად იმისა, რომ რუსმა (1+1,21) კარგად ითამაშა და მე-3 წუთზე პასით ამონტეც (30) ახეირა, მასპინძლებმა შეძლეს ინიციატივის ხელში ჩაგდება. ამაში მათ გარკვეულწილად „მეომარმა" ტაი დომიმაც შეუწყოთ ხელი, რომელმაც სტუმარ კემ რასელს რამდენჯერმე ისე ძლიერად უთავაზა თავში, რომ ტვინის შერყევა მიაღებინა და ჩიკაგოელი საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. გაოცებული „ქორები" გონს ვეღარ მოვიდნენ, დომის კი ნჰლ-ის „პოლიციელთა" ავტორიტეტად მიჩნეულმა ბობ პრობერმაც ვერ აჯობა.

ცხადია, ჩიკაგოელთა უიღბლობით უმალ ისარგებლეს მისმა კონკურენტებმა. ედმონტონმა პირველ ნახევარში საკუთარ კარში გაშვებული ორი შაიბა არ აპატია ანაჰაიმს. „მენავთობეთა" გასახარად, სულ უფრო თვალსაჩინო როლს თამაშობენ გუნდის დებიუტანტები იანე ნიინიმა (3 პასი) და სკოტ ფრეზერი (1+1,12), რომელიც განსაკუთრებით რიცხვმრავლობაში გამოირჩევა. რაც შეეხება კალიფორნიელებს, მათ კალგარიში ფრეც აძლევდათ ხელს და მიაღწიეს კიდეც თავისას, თუმცა გამარჯვებაც შეეძლოთ — თავიანთი საუკეთესო ბომბარდირის ფრიზენის (1+1,31) გოლის შემდეგ 3:1 იგებდნენ.

პიტსბურგში იაგრისა და კონსტანტინის უთანხმოება ლამის კონფლიქტამდე მივიდა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. სუპერფორვარდმა მოუბოდიშა მწვრთნელს, რომელმაც იგი დააბრუნა პირველ სამეულში და ჩეხმაც არ გაამტყუნა ქომაგთა იმედები. მართალია, აუტსაიდერი ტამპა მედგრად შეებრძოლა „პინგვინებს", მაგრამ იაგრმა (1+2,34) ერთობ მოინდომა და, როგორც იქნა, გადალახა 100-ქულიანი ზღვარი, გარდა ამისა, კარიერაში მე-300 გოლი მიითვალა. ამის შემდეგ ჩეხი, ისევე როგორც გუნდის კიდევ რამდენიმე ლიდერი, დაასვენეს, თუმცა პიტსბურგელებმა უამათოდაც იოლად აჯობეს იმედგაცრუებულ კაროლინას. გამოცდილ რონ ბრუნთან (2 შაიბა) ერთად ახალბედა ევროპელები — მოროზოვი (1+1,13) და ლანგი (1+1,9) გამოირჩნენ.

ნიუ ჯერსისა და ბუფალოს შეხვედრაში სუპერმეკარეების — ბროდოსა და ჰაშეკის დუელი არ შედგა. „დომინატორს" რაღაც ინფექცია შეეყარა, რამაც მისი ნიუჯერსელი კოლეგა ერთობ მოადუნა და პირველ პერიოდში გაშვებული სამი შაიბის შემდეგ იგი გამოცვალეს კიდეც, თუმცა მისმა პარტნიორებმა ძალიან შედეგიანად ითამაშეს და ოვერტაიმის ბოლო წამებზე „ეშმაკთა" მცველმა სტივენსმა შორეული დარტყმით დალაშქრა ჰაშეკის შემცვლელი შილდსის კარი. სხვათა შორის, ეს მატჩი ნიუჯერსელთა ლიდერების — დუგ გილმორისა (1 პასი) და რენდი მაკეის (24) დაბრუნებით აღინიშნა.

მას შემდეგ, რაც დალასმა გაინაღდა დასავლეთში პირველი ადგილი, „ვარსკვლავებმა" ოდნავ მოადუნეს ყურადღება და ამით ფინიქსი ასარგებლეს — მცველ დიდაკის 2 გოლის (სულ 8) წყალობით გამარჯვებულმა მასპინძლებმა კონფერენციაში მე-6 ადგილი დაიბევეს და პლეი ოფის პირველ რაუნდში დეტროიტს შეხვდებიან.

მანამდე უკვე გარკვეული ლოს ანჯელესისა და სენტ ლუისის წყვილის პლეი ოფისწინა შეჯახება კი მეტად დაძაბული და უშეღავათო გამოდგა, რაც უეჭველად გაზრდის მაყურებლის ინტერესს ამ დუელის მიმართ. მართალია, ამჯერად „ბლუზმენებმა" იმძლავრეს ჰალისა (2 პასი) და ტარჯონის (1+1,20) დუეტს კონროის მეორე სამეულმაც აუბა მხარი) და პირველივე პერიოდში გადაწყვიტეს მატჩის ბედი, მაგრამ მეორე პერიოდში მოედანზე ისეთი შეხლა-შემოხლა ატყდა, რომ მსაჯმა ერთბაშად 156 საჯარიმო წუთით დააშოშმინა მეტოქეები.

თავიანთ ბოლო საშინაო მატჩში „რეინჯერებმა" ოდნავ გააქარწყლეს წლეულს უხეიროდ მოასპარეზე გუნდის შთაბეჭდილება და თანაქალაქელ აილენდერსს 4:2 მოუგეს, მაგრამ ყოველივე ეს ისევ და ისევ გრეცკისა (1+1,23) და მისი ათამაშებული პარტნიორის, კოვალიოვის (1+2,22) ძალისხმევით მოხერხდა. სტუმარმა პალფიმ 43 შაიბამდე გაზარდა თავისი სნაიპერული მარაგი.

როგორც იქნა, ტრავმებით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ხელი გამოიღეს კოლორადოელმა პეტერ ფორსბერგმა და ფილადელფიელმა ერიკ ლინდროსმა. ერთი თამაშიც საკმარისი გამოდგა, მაყურებლებს ძველებური ფორსბერგი რომ ეხილათ — პეტერმა ჩინებულად ააწყო უიმისოდ ფრთებჩამოყრილი კამენსკისა (1+2,26) და კლოდ ლემიეს (24) თამაში და სან ხოსეს კარში გატანილ ოთხივე გოლში შეიტანა თავისი წვლილი (2 გოლს 2 პასი დაამატა), თანაც ერთხელ უმცირესობაში შეაგდო.

გამოჯანმრთელების შემდეგ ნათამაშევ მეორე მატჩში გაიბრწყინა ლინდროსმაც (2+1,30), რომელმაც ძველ პარტნიორ ლეკლერთან (51) ერთად გააცამტვერა ფლორიდელთა დაცვა. ეს დუეტი განსაკუთრებით კარგად რიცხვმრავლობაში მოქმედებდა, რაზეც ლეკლერის პერსონალური რეკორდიც მეტყველებს — 1 გოლი და შედეგიანი პასი.

მონრეალმა ოტავასთან გამარჯვებით, ფაქტობრივად, გაინაღდა კონფერენციის მეშვიდე ადგილი და შესაბამისად პირველ რაუნდში პიტსბურგს შეერკინება, ხოლო „სენატორები", როგორც ვარაუდობდნენ, თვით ნიუ ჯერსის შეებრძოლებიან.

**სამველ ლარიბიანი**

# პროფები მსოფლიოს ჩემპიონატზე: ისევ კრახი თუ ტრიუმფი?

ახლა, როცა რეგულარული ჩემპიონატი თითქმის დამთავრდა და პლეი ოფის მიღმა დარჩენილი გუნდების ვინაობაც გაირკვა, თამამად შეიძლება იმ ნჰლ-ელთა დასახელება, რომელთაც მორიგ მსოფლიოს ჩემპიონატზე (1 მაისს დაიწყება ციურიხში) თავიანთი ნაკრებების გაძლიერება ძალუძთ. ევროპელთაგან ნჰლ-ის პირველობის შედეგებით ყველაზე მეტად რუსეთისა და შვედეთის ეროვნული გუნდების მწვრთნელები გაიხარებდნენ.

რუსებს, რომელთაც კვლავ ვლადიმერ იურზინოვი გაუძღვებათ, ფაქტობრივად, არ ექნებათ მეკარეებისა და თავდამსხმელების პრობლემა. მათ კარს ორივე ოლიმპიელი — ანაჰაიმელი მიხაილ შტალენკოვი და ჩიკაგოელი ანდრეი ტრეფილოვი დაიცავს, ფორვარდთა არჩევანი კი დიდია: 12 ნჰლელიდან ყველაზე რეალური კანდიდატები, უდავოდ, პაველ ბურე და ალექსანდრ მოგილნი არიან (თუმცა მოგილნი საკმაოდ გულგრილად ეხმაურება ამგვარ მიწვევებს). ექვსი „გათავისუფლებული" თავდამსხმელი იურზინოვს ნაგანოშიც ახლდა — ჟამნოვი, ვალერი ბურე, ტიტოვი, ნემჩინოვი, კრივოკრასოვი და იგივე პაველ ბურე. რუსთა აქილევსის ქუსლი მცველთა პოზიციაა, რადგან ტორონტოელი იუშკევიჩის გარდა ისინი ვერავის შეიმატებენ.

რაც შეეხება შვედეთის ნაკრებს, იგი, შესაძლოა, რუსებზე უკეთ დაკომპლექტდეს: წინა ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე სალო, მცველები — ამომავალი ვარსკვლავი მათიას ოლუნდი (ვანკუვერი) და კენი იონსონი (აილენდერსი), უძლიერესი ფორვარდები — მატს სუნდინი (ტორონტო), რენბერგი (ტამპა), სუნდსტრიომი (რეინჯერსი), შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი ნიულანდერი (კალგარი), სანდსტრიომი (ანაჰაიმი) და გარპენლოვი (ფლორიდა). ასე რომ, შვედთა მწვრთნელები თავაუტკივებლად ხვდებიან საჩემპიონატო სამზადისს.

მეტი საფიქრალი აქვთ ჩეხებს, რომელთაც დიდი-დიდი შვიდი ნჰლ-ელის მიწვევა შეუძლიათ. მათგან მხოლოდ რობერტ რაიჰელს (აილენდერსი), რობერტ კრონს (კაროლინა), 1997 წლის მსოფლიოს პირველობის აღმოჩენად მიჩნეულ მარტინ პროჰაზკას (ტორონტო) და ვლადიმერ ვუიტეკს (ტამპა) უთამაშიათ ნაკრებში, დანარჩენები კი ჯერ ნჰლ-შიც არ დამკვიდრებულან. რაც შეეხება სლოვაკებს, მათ, შესაძლოა, მცველი შვეჰლა და ფორვარდი პალფი (აილენდერსი) შეემატოთ.

„სუომის" გუნდი სამად-სამი ჰოკეისტის იმედადაა. ვნახოთ, როგორ უშველით ფინელებს ტეემუ სელიანეს, იურკი ლუმესა (ვანკუვერი) და სამი კაპანენის (კაროლინა) ავტორიტეტი.

ახლა აშშ-ისა და კანადის ნაკრებებზეც ვთქვათ. ცხადია, მათ ბევრად მეტი კანდიდატი ჰყავთ, თუმცა სწორედ ეს ართულებს რეალურ პრეტენდენტთა შერჩევას. არადა, როგორი ვარსკვლავები დააშვენებდნენ „ნეკერჩხლის ფოთლებს": მარკ მესიე, თეო ფლეური (კალგარი), ტრევორ ლინდენი (აილენდერსი), კეიტ პრიმო (კაროლინა). ნაკლებად ცნობილი ჰოკეისტებიც გააძლიერებდნენ გუნდს — რობ ზამუნერის (ტამპა), ბრაიან მაკებისა (ვანკუვერი) და ედ ჟოვანოვსკის (ფლორიდა) დარი მოთამაშენი კანადელებს მრავლად ჰყავთ.

შემადგენლობით აშშ-ის ნაკრებიც არანაკლებ მოიწონებს თავს. განსაკუთრებით დაცვა გამოირჩევა, სადაც ბრაიან ლიჩსა (რეინჯერსი) და კრის ჩელიოსთან (ჩიკაგო) ერთად, შესაძლოა, ახალგაზრდა ბრაიან ბერარიც (აილენდერსი) ვიხილოთ. ასე რომ, ნჰლ-ის ვარსკვლავთა ასპარეზად ქცეული მსოფლიოს ჩემპიონატი, უდავოდ, საინტერესო იქნება, მით უმეტეს, რომ გადამწყვეტ თამაშებამდე პროფესიონალებს, ალბათ, პლეი ოფის პირველ რაუნდში გამოვარდნილი კლუბების ოსტატებიც შეუერთდებიან. თუმცა ნუ გვავიწყდება, რომ უმძიმესი სეზონით გადაღლილი ანაც ტრავმებით გატანჯული ჰოკეისტები ხშირად უარობენ თავიანთი ნაკრებების ღირსების დაცვას. გარდა ამისა, ჩრდილოამერიკული ლიგის მოთამაშეობა ყოველთვის როდია წარმატების გარანტია — ეს ჩეხების იაპონურმა ტრიუმფმაც დაადასტურა.

## ტეემუ სელიანეს წილი და წვლილი



ერთადერთი, ვინც ანაჰაიმის არასახარბიელო ასპარეზობით გულნატკენ გუნდის მესვეურებს ახალისებს, ტეემუ სელიანეა. „იხვების"ახალ რეკორდს — 52 გოლს ფინელმა კიდევ ერთი მიღწევა მიუმატა: იგი ლიგის ისტორიაში მეოთხე მოთამაშეა, რომელსაც თავისი კლუბის გოლების 25 პროცენტი გაუტანია. კერძოდ, ანაჰაიმელი სუპერფორვარდის წილი 27,2 პროცენტია.

სელიანეს სამი წინამორბედი კი ლეგენდარული მორის რიშარი და თანამედროვე ბომბარდირები — ვაშინგტონელი პეტერ ბონდრა და სენტლუისელი ბრეტ ჰალი გახლავან. ამ უკანასკნელმა ორჯერ — 1990-91 და 1991-92 წლების სეზონში იზეიმა ეს წარმატება.

## ნუინდაიკსაც ელირსა

დალასელმა ჯო ნუინდაიკმა კვირის საუკეთესო მოთამაშეობა 4 მატჩში გახერხებული 5 გოლითა და 3 პასით დაიმსახურა. 31 წლის ცენტრფორვარდის საუცხოო კარიერა ტრავმებმა და უიღბლობამ შეაფერხა და ჯო მაშინღა ათამაშდა, კალგარიდან თავის ახლანდელ კლუბში რომ გადავიდა. წლევანდელი გარჯა კი დაუფასდა — ნუინდაიკი 1991 წლის მარტიდან აღარ ეღირსებინათ კვირის რჩეულად. დალასელმა მოთამაშემ თანაგუნდელ მეკარე ედ ბელფორს (4 მოგება და საშუალოდ 1,73 გაშვებული გოლი) და სანხოსელთა კარის დარაჯ მაიკ ვერნონს (1 გაშვებული გოლი 3 მატჩში) გაუსწრო.

## ტოკეტი — შარი ყინულზე

ფინიქსელმა რიკ ტოკეტმა იმდენი გააკეთა სეზონის ყველაზე უხეში მოთამაშის წოდების მოსაპოვებლად, რომ ამ საქმეში ხელგაწაფული ბრაიან მარჩმენტი უკვე კარგა ხანია, ჩამოიტოვა. ტოკეტის პირველი მსხვერპლი ედმონტონელი რაიან სმიტი გახლდათ, მერე კი დეტროიტელი სტივ აიზერმანის ჯერი დადგა, რომელიც ისე დაშავდა, რომ ძლივს მოასწრო საოლიმპიადოდ გამოჯანმრთელება. 5-მატჩიანმა დისკვალიფიკაციამ ფინიქსელს თითქოს ჭკუა ასწავლა, მაგრამ ახლახან „კოიოტმა" კვლავ შეგვახსენა თავი: სენტლუისელი პელერინისთვის მოქნეული ყვანჯი ორმატჩიან და 1000-დოლარიან ჯარიმად დაუჯდა. თუმცა, ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ასეთი თავხედობა გაცილებით მკაცრად უნდა ისჯებოდეს.

## გრეცკის ნაკრები აღარ უნდა

„ნიუ იორკ რეინჯერსის" ერთ-ერთმა ლიდერმა უეინ გრეცკიმ უარი თქვა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი კლუბი უკვე გამოეთიშა პლეი ოფისთვის ბრძოლას.

– „ოლიმპიადა დამთავრდა თუ არა, მე განვაცხადე, რომ ნაკრებში აღარ ვითამაშებდი და გადაწყვეტილებას აღარ შევცვლი" — თქვა გრეცკიმ და დაამატა, რომ შარშან ბომბარდირთა დავაში მეხუთე ადგილზე მყოფი და თასზე ფლორიდასთან საპაექროდ განწყობილი უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე დღეს, როცა ჩემპიონატის მეორე ბომბარდირია და მისთვის სეზონი ერთ კვირაში დასრულდება.

## მოდანო ისევ მოდაშია



მიუხედავად იმისა, რომ დალასის წამყვანი ფორვარდი მაიკ მოდანო წლეულს ტრავმებმა გატანჯა და ამის გამო ორჯერაც გამოეთიშა ჩემპიონატს, „ვარსკვლავთა" მესვეურები უყოყმანოდ უკავშირებენ მას გუნდის უახლოეს მომავალს. სამშაბათს თავდამსხმელმა ექვსწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამ ხნის განმავლობაში 43 მილიონს მიიღებს.

27 წლის მაიკ მოდანო (21 გოლი და 36 პასი 51 თამაშში) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ხუთჯერ გახდა კლუბის საუკეთესო ბომბარდირი. იგი, სავარაუდოდ, ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს, 18 აპრილს დაუბრუნდება ყინულს.

## ნედვედი ჩამოალაბორანტეს

როგორც იქნა, გადაწყდა წლევანდელი სეზონის ყველაზე ჯიუტი მეამბოხის, პიტსბურგელი პეტრ ნედვედის ბედ-იღბალი. კლუბის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლობით გულაცრუებულმა ფორვარდმა იჰლ-ის (ჰოკეის საერთაშორისო ლიგა) ერთ-ერთ კლუბთან, ლას ვეგასთან გააფორმა კონტრაქტი და თავის პირველივე მატჩში გოლი და 2 შედეგიანი პასი მიითვალა. ნედვედს დიდხანს არ აცალეს მშვიდად ყოფნა — თურმე მისი იჰლ-ში თამაში ეწინააღმდეგება ამ ლიგის კანონებს და უიღბლო ფორვარდს ახლა საარბიტრაჟო კომისიაში ელის საქმის გარჩევა.


„სარბიელი" სათანამშრომლოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთ და დამწყებთ, რომელთაც სურთ წერონ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე, ჭიდაობასა და ჭადრაკზე;

მთარგმნელებს, გამოცდილთ და დამწყებთ, ინგლისურიდან გადმოსაქართულებლად.

მსურველები შემოგვეხმიანონ ხუთშაბათს 12-დან 15 საათამდე ან კვირას 14-დან 16 საათამდე

ტელ: 39 48 29 ან 39 40 08;

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, მე-4 სართული



ბავშვთა ქალაქ „მზიურის" საჩოგბურთო კორტებზე ცხადდება 6-8 წლის ბავშვების მიღება. მოზარდები ივარჯიშებენ ევროპისა და სსრკ მრავალგზის ჩემპიონის, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თეიმურაზ კაკულიას ხელმძღვანელობით.



მიღება ყოველდღე, 25 აპრილამდე, 9-დან 10 და 16-დან 20 საათამდე.

# სამურაები

უკვე 30 წელზე მეტია, ამომავალი მზის ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს ფორმულა 1-ის ცხოვრებაში. ტრასებზე იაპონელი პილოტები სხვადასხვა საჯინიბოთა სახელით ასპარეზობენ, თუმც დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნიან. „ჰონდას“ ძრავებმა კი მთელი ეპოქა შექმნა და შარშან იაპონური საბურავებიც („ბრიჯსტოუნი“) გამოჩნდა ბოქსებში. 1976 წლიდან „იაპონიის დიდი პრიზიც“ ტარდება და სამურაები თავიანთ ტრასებზე მეორე ეტაპის გამართვასაც ითხოვენ. კუნძულზე ავტოსპორტი მეტად პოპულარული გახლავთ და იქ გამართული ასპარეზობა არასდროს განიცდის მაყურებელთა ნაკლებობას, ის კი არა, ასობით ათასი ავტომოყვარული უბილეთოდ რჩება. იაპონელები საკუთარ ჩემ-



სატორუ ნაკაჯიმა

პიონატებსაც აწყობენ ავტოსპორტის სხვადასხვა სახეობაში, წლეულს კი CART-ის სერიის ეტაპიც ჩაატარეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სხვა კონტინენტელი პილოტები აშკარად ჩაგრავენ იქაურებს და მათ იაპონიის ჩემპიონის ტიტულსაც ართმევენ. მიუხედავად ამისა, ბოლო წლების მსოფლიოს პირველობებში ყოველთვის მონაწილეობს ერთი ან ორი იაპონელი, რომელთაც მდიდარი ფირმები უმაგრებენ ზურგს.

კუნძულელებმა პირველად 1964 წელს სცადეს ფორმულა 1-ის დაპყრობა, როდესაც „გერმანიის დიდ პრიზზე“ „ჰონდას“ გუნდის დებიუტი შედგა. საკუთარი წარმოების შასიზე საკუთარივე 12 ცილინდრიანი, ჰაერით გაციების ძრავი იყო დამონტაჟებული, რომელიც 250 ცხენისძალისა იყო. ამ კონსტრუქციაში შასი მოისუსტებდა და ამიტომაც პირველივე რბოლა ავარიით დასრულდა. მომდევნო სეზონში იაპონელებმა გაუმჯობესებული შასი „გამოიყვანეს“ და პირველი ქულებიც მოიპოვეს, ჩემპიონატის მიწურულს კი „მექსიკის დიდი პრიზზე“ რიჩი გინტერმა სენსაციური გამარჯვება მოუტანა „ჰონდას“. შემდგომში იაპონელებმა უარი თქვეს საკუთარი შასის მომზადებაზე და მას „ლოლასგან“ ყიდულობდნენ. მალე ინგლისელმა ჯონ სურტისმა მეორე გამარჯვებაც აჩუქა იაპონელებს. მიუხედავად ამისა, ისინი ჩემპიონატზე საკუთარი გუნდით აღარ წარმდგარან და ძირითადად ძრავების მიწოდებით კმაყოფილდებოდნენ. შესანიშნავ შედეგებსაც აღწევდნენ — მათ მიერ მომზადებული მოტორები 72 გამარჯვებას ითვლის.

70-იან წლებში კუნძულელთა გუნდი კვლავ მოევლინა ფორმულა 1-ს. 1974 წელს „ბრიტანეთის დიდ პრიზზე“ გამოჩნდა სამურაების ახალი ქმნილება „მაკი“, მაგრამ ამ კონსტრუქციამ კვალიფიკაცია ვერ გაიარა, შემდგომ ეტაპზე „ნიურბურგრინგზე“ კი ავარია განიცადა. 1975 წელს იაპონელმა პილოტმა ფუშიდამაც ვერ შეძლო სტარტზე გამოსვლა, საქმეს ვერც ევროპელმა მრბოლმა ტრიმერმა უშველა. იაპონელებმა ბოლოს 1976 წელს, „იაპონიის დიდი პრიზის“ პირველ გათამაშებაზე სცადეს „მაკის“ სტარტზე გამოყვანა და ეს მცდელობაც კრახით დასრულდა. ამავე დღეს შედგა კიდევ ერთი იაპონური გუნდის — „კოჯიმას“ დებიუტი. მომდევნო წელს კი „ფუჯის“ ტრასაზე უკვე სამი ადგილობრივი პილოტი გამოვიდა საასპარეზოდ, მათგან ორი „კოჯიმას“ საჭეს უჯდა. ამჯერად უფრო იღბლიანად დასრულდა ყველაფერი: ჰოშინომ მე-11, ხოლო ტაკაჰარამ მე-19 სასტარტო ადგილი მოიპოვეს, პირველისთვის რბოლაც წარმატებით წარიმართა და მან მეთერთმეტემ მიაღწია ფინიშს.

ამის შემდეგ ფორმულა 1-ში იაპონური გუნდი არ გამოჩენილა, პილოტები კი რეგულარულად მონაწილეობდნენ ჩემპიონატში. პირველი იაპონელი პილოტი, ვინაც მთელი სეზონი ჩაატარა, სატორუ ნაკაჯიმა იყო. მდიდარი სპონსორები და ძრავის დამამზადებლები ყოველთვის პოულობდნენ საშუალებას, რომელიმე გუნდში მოეწყოთ თანამემამულეები, თუმცა ძირითადად ეს საშუალო შეძლების „საჯინიბოები“ იყო და იაპონელი პილოტებიც მაჩანჩალათა შორის იყვნენ, თუმცა 1-2 ქულის მოპოვებას ყოველთვის ახერხებდნენ. „ჰონდამ“ მეორედ 1983 წელს შეუტია ფორმულას, როდესაც ტრასებზე ამ ძრავით აღჭურვილი „სპირიტი“ გამოჩნდა, შემდეგ ეს ტურბოძრავი „უილიამსმა“ და „მაკლარენმა“ იგდეს ხელთ და 1985 წელს კეკე როსბერგმა „უილიამს-ჰონდათი“ მესამე ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი. აქედან იწყება „ჰონდას“ ტრიუმფი ავტოსპორტის უმაღლეს კლასში. 1987-91 წლებში სენამ, პროსტმა და პიკემ „ჰონდას“ ძრავებით ჩემპიონის ხუთი ტიტული მოიპოვეს, 1988 წელს გამართული 16 რბოლიდან კი სენამ და პროსტმა „მაკლარენ-ჰონდათი“ 15 ეტაპი მოიგეს, რაც იაპონური ძრავების უმაღლეს დონეზე მეტყველებს. იაპონური ტექნიკა ზეიმობდა, მაგრამ პილოტები არაფრით გამოირჩეოდნენ. ერთადერთი, რომელმაც 1990 წელს „იაპონიის დიდ პრიზზე“ პოდიუმზე ასვლა მოახერხა, აგური სუძუკი



ტორანოსუკე (ტორა) ტაკაჯი

გახლდათ. პილოტებს „მხარი აუბა“ „იამაჰას“ ძრავამაც, რომელიც საინტერესო საინჟინრო სიახლეების მიუხედავად, წარმატებებს ვერ აღწევდა და წლეულს სულაც მიატოვა ასპარეზობა.

ამ სეზონში ჩემპიონატში ორი იაპონელი მონაწილეობს — სინჯი ნაკანო და ტორი ტაკაჯი. პირველი „ჰონდას“ პროტეჟე გახლავთ, მეორეს კი სატორუ ნაკაჯიმა უმაგრებს ზურგს. ტაკაჯის იაპონელები ამომავალ ვარსკვლავად თვლიან და მართლაც, მან არგენტინაში მე-12 სასტარტო ადგილი მოიპოვა „ტირელის“ სუსტი ბოლიდით. ეს კი დებიუტანტისთვის ურიგო შედეგი არ გახლავთ.

იაპონელებმა CART-შიც სცადეს ბედი და, ფორმულელ თანამოძმეთა მსგავსად, აქაც ვერაფრით გამოიჩინეს თავი. ჰირო მაცუშიტა უკვე კარგა ხანია, ამ სერიაში მონაწილეობს და მხოლოდ რამდენიმე ქულას ითვლის. სამაგიეროდ, „ჰონდას“ ძრავმა აქაც ივარგა და ბოლო ორი წელია, ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. უახლოეს მომავალში „ჰონდა“ კვლავ თავისი გუნდით აპირებს ფორმულა 1-ში მონაწილეობას და გამრჯე იაპონელ პილოტებს, ალბათ, თავის გამოჩენის საშუალება მიეცემათ.



აგური სუძუკი

**ალეკო ჩაგუჩიანი**



# განკითხვის დღე

**ბარსელონა. ესპანეთი.**
**Conde De Godo-ს პირველობა.**
**ტარდება თიხნარზე.**
**საპრიზო 950 000 $**

ბარსელონის ტურნირის მეორე წრეში როლან გაროსის ჩემპიონი გუსტავო კერტენი თავისივე გათხრილ ორმოში აღმოჩნდა. აგერ ორიოდე კვირის წინ იყო, დევისის თასზე ესპანეთ — ბრაზილიის შეხვედრისას პორტო ალეგრეში, გუგამ და კომპანიამ ესპანელები ლანძღვა-გინებით რომ აიკლეს და მათი გატეხვა ფსიქოლოგიური ზეწოლით სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. სამაგიეროდ, ესპანეთის კაპიტანმა მანუელ სანტანამ ბრაზილიელთა „სტუმართმოყვარეობისა“ და მათი ლიდერის თავგასულობის ამბავი მთელ მსოფლიოს მოსდო.

ძველმა ცოდვებმა გუსტავოს ოთხშაბათს, კარლოს კოსტასთან შეხვედრაში უწია: კორტზე გამოსვლისთანავე ადგილობრივებმა სტვენითა და შეურაცხმყოფელი შეძახილებით აიკლეს. „ეს შურისძიების ატმოსფერო იყო. ხალხს სურდა, რომ მას იგივე გადაეტანა, რაც ესპანელებს ბრაზილიაში“ — არ დაუმალავს მატჩის შემდეგ კოსტას. ტურნირზე მესამედ განთესილ სამხრეთამერიკელს მთელი შეხვედრის განმავლობაში კუთხეში დაყენებული მოსწავლის გამომეტყველება ჰქონდა და მტრული მიღების გამო მსაჯთან ერთხელაც არ დაუჩივლია. ასე ბედს შერიგებული ირჯებოდა და თითქოს საკუთარი დანაშაულის გამოსასყიდად, ზედიზედ სცოდავდა ერთი შეხედვით იოლ სიტუაციებს. კოსტამ ორ სეტში 6:4, 6:3-ით აიღო თავისიანთა სისხლი.

„ვიცოდი, რომ რაღაც მსგავსი მელოდა, მაგრამ გული მაინც ძალიან დამწყდა, იმედია, ასეთ მიღებას გაისად მაინც გადავურჩები“ — განაცხადა კერტენმა, რომლის თქმით, დევისის თასის შეხვედრის გამო ესპანელ ჩოგბურთელებთან და თავის ახლო მეგობარ კარლოს მოიასთან ურთიერთობა არ გაფუჭებია. მაყურებლებისგან გუსტავოს და თანაგუნდელ ფერნანდო მელიგენის ერთი დღით ადრე, წყვილების შეხვედრაშიც მოხვდათ, როდესაც რუმინულ-ჩეხურ დუეტთან მათ დამარცხებას ბარსელონელები გამარჯვების ყიჟინით შეხვდნენ. თავად მელიგენის, რომელიც პირველი წრეში მოგების შემდეგ ტრიბუნებს უხამსი ჟესტით დაემშვიდობა, ამჯერად სასიხარულო არაფერი ჰქონდა — მას ალბერტო ბერასატეგიმ აყარა შავი დღე 6:1, 6:2.

სამხრეთამერიკელთა გასაჭირი ესპანელებზე არანაკლებ ბრაზილიელ გულშემატკივართაგან განაწყენებული კიდევ ერთ ჩოგბურთელს — ავსტრიელ ტომას მუსტერს გაუხარდა, რომელმაც ორიოდ წლის წინ, დევისის თასზე ამათთან მატჩის გაგრძელებაც კი იუარა: „კარგია, რომ მათაც განიცადეს, თუ როგორია, როცა ამდენი კაცი გიყვირის. ჩემი აზრით, ბრაზილიაში თამაში საერთოდ უნდა აკრძალონ. იქ ჩასვლის შემდეგ ხომ ყველა გუნდს მსგავსი პრობლემები ექმნება.“

ისე, უპრობლემოდ თავად მუსტერისთვის არც მორიგ შეხვედრას ჩაუვლია — ტურნირის 1995-96 წლების გამარჯვებულმა ბარსელონას შემორჩენილ ერთადერთ ამერიკელთან, ტოდ მარტინთან შეხვედრაში საზარდულის ტრავმა მიიღო და 4:6, 6:7 (4:7) წააგო.

მუსტერთან ერთად ასპარეზობას კიდევ ორი ფავორიტი გამოეთიშა: შარშან ხუთი სათიხნარო ტურნირის გამარჯვებულმა და ზემოხსენებული ავსტრიელის მემკვიდრედ შერაცხულმა ფელიქს მანტიამ (5) ჩეხ სლავა დოსედელთან წააგო 4:6, 6:7 (2:7), ავსტრალიის ღია პირველობაზე თვით პიტ სამპრასის გამმწარებელმა სლოვაკმა კაროლ კუჩერამ (4) კი მერვედფინალის საგზური 20 წლის თანამემამულე დომინიკ ჰრბატის გადაულოცა 6:7 (7:9), 2:6.

**მეორე წრე: კარლოს მოია (6, ესპანეთი) — ტომას კარბონელი (ესპანეთი) 8:6, 6:2, 6:2; ალბერტ კოსტა (9, ესპანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:3, 6:4; მაგნუს გუსტაფსონი (14, შვედეთი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:0, 6:1; მარატ საფინი (რუსეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 4:6, 6:3, 7:6 (7:4).**



გუსტავო კერტენი

მოულოდნელობები მეორე წრეში არ დასრულებულა: მერვედფინალში ტურნირზე მეორედ განთესილ ალექს კორეჩასაც მოუწია აბარგება. მის მეტოქეს, იტალიელ ანდრეა გაუდენცის, რომელსაც იუნიორებში როლან გაროსი და ამერიკის ღია პირველობა მოეგო და პირველი ჩოგანიც იყო, თავის დროზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ხშირმა ტრავმებმა პროფესიონალურ სარბიელზე თავის გამოჩენის შანსი არ მისცა, ის კი არა, აპენინელმა თავისი პირველი ტურნირიც კი ექვსი წარუმატებელი ფინალის შემდეგ მხოლოდ გასულ თვეში, კასაბლანკაში მოიგო.

გაუდენციმ ამ დროისათვის საუკეთესო კლასიფიკაციის პატრონ ესპანელთან ცუდად კი დაიწყო, მაგრამ მატჩის სადავეები თანდათან ხელში ჩაიგდო და მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა 4:6, 6:1, 6:2. „პირველ სეტში პასიურად ვირჯებოდი, მაგრამ მისმა წაგებამ დროულად გამომაფხიზლა და მაიძულა, აგრესიულად მეთამაშა“ — ასე ახსნა თავისი წარმატება იტალიელმა.

სავსებით შესაძლებელია, კორეჩას პირველად განთესილი ევგენი კაფელნიკოვიც უკან მიჰყოლოდა, მაგრამ ყველასათვის უცნობ ესპანელ კინო მუნიოსთან შეხვედრაში სოჭელ ჟენიას პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე მსაჯები და ბედი წაეხმარნენ, მესამე ხელის დასაწყისში კი ესპანელი მოუხერხებლად დაეცა და მატჩი კოჭლობითღა ჩაათავა — 7:6 (9:7), 3:6, 6:1 რუსის სასარგებლოდ.

კერტენის მძლეველმა კარლოს კოსტამ მოულო ბოლო იუნიორთა ახლანდელი პირველი ჩოგნის — 18 წლის რუსი მარატ საფინის წინსვლას 6:4, 3:6, 6:2, როლან გაროსის ორგზის ჩემპიონმა სერხი ბრუგერამ (8) კი ბელგიელ ფილიპ დევულფს აჯობა 6:3, 1:6, 7:5.

**მერვედფინალი: ტოდ მარტინი — სლავა დოსედელი 6:3, 7:5; დომინიკ ჰრბატი — მაგნუს გუსტაფსონი 5:7, 6:4, 6:3; ალბერტო ბერასატეგი — ალბერტ კოსტა 6:4, 6:4; კარლოს მოია — ბოგდან ულირახი 6:4, 7:6 (7:3).**

**ტოკიო. იაპონიის ღია პირველობა.**
**ტარდება ჰარდზე.**
**საპრიზო 575 ათასი $**

მაიკლ ჩანგისთვის უიღბლობათა სერიის დასრულებას საშველი არა და არ დაადგა. ჩინური წარმოშობის ამერიკელმა გასული წელი რვიდან შვიდი მარცხით დაასრულა, ავსტრალიასა და ამერიკულ ჰარდის სეზონზე უფერულად იასპარეზა და მარტის დასაწყისში მიღებული მუხლის ტრავმის გამო მთელი თვეც გაუცდა, რის შედეგადაც კლასიფიკაციაში მესამე ადგილიდან მეცამეტეზე ჩამოქვეითდა. მაიკლს მდგომარეობის გამოსწორება აზიური ტურნეთი სურდა, მაგრამ გასულ კვირაში ჰონკონგში პირველივე წრეში წააგო და ციდან ვარსკვლავები არც ტოკიოში დაუკრეფია: იგი ამჯერად კლასიფიკაციაში მასზე ზუსტად 100 საფეხურით დაბლა მყოფ გერმანელ ჰენდრიკ დრეეკმანთან დამარცხდა — 6:2, 5:7, 6:4. სათამაშო პრაქტიკას მოკლებული ჩანგი ხან ზედმეტად მოწადინებული ჩანდა, ხანაც ზედმეტად პასიური, თან ყოფილი სისწრაფისაც არაფერი ეტყობოდა — დრეეკმანმა იგი რამდენჯერმე გააბრიყვა რიგიანი შემოკლებულით. „არა მგონია, ჰენდრიკს ასეთი დარტყმები სხვა დროსაც ეცადა. როცა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვარ, თითქმის ყველა დარტყმას ვუსწრებ. ახლა კი იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ აღარაფერი მტკივა“ — თქვა ჩანგმა მატჩის შემდეგ.

ამერიკელის გავარდნის შემდეგ გამარჯვების ძირითად პრეტენდენტად ინგლისელი ტიმ ჰენმანი (3) დარჩა, რომელმაც ავსტრალიაში ღია პირველობის პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის ფრანგ ჟერამ გოლმარზე იძია შური 6:4, 6:1. ერთ-ერთ ფავორიტად მეთერთმეტედ განთესილი ჟან-მაიკლ გემბილიც უნდა ვიგულოთ. 20 წლის ამერიკელმა ტოკიოში კარიერის პირველი მშრალი მოგება იზეიმა გერმანელ რაინერ შუტლერზე 6:0, 6:0.

**ავთანდილ სვანიძე**


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია
Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

თბილისი, გუდიაშვილის 11, ტელ.: 99 47 53,
მობილური: 8 77 41 72 57; 8 77 41 72 37
e-mail dato@acacia.postnet.ge



# სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით



მთავარი რედაქტორი
ზურაბ პოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე



დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29




ეროვნული ბიბლიოთეკა